

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე

2013, №6

პალატი

სამართალი

1. ხელშეკრულებები

საბიუჯეტო

1. ხელშეკრულებები

- ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობა უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის გადაცემის გამო
- საიჯარო ქირის დავალიანების ანაზღაურება
- განქორწინების მოწმობის გაცემა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე
- ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება
- იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების წესი
- საცხოვრებელი სადგომის ქირაფნობის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

2. ზიანის ანაზღაურება

- პოლიტიკური პარტიისათვის თანხის ანაზღაურება
- კონტრაქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება
- მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა
- ჯარიმის, პირგასამტეხლოს, ზიანის, სანიუთე ქონების საკომპენსაციო თანხის დაკისრება
- ჯარიმა – ადმინისტრაციული სახდელის სახე
- კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმის თანხის გაანგარიშება
- მორალური ზიანის ანაზღაურება
- პასუხისმგებლობა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო
- ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრება
- საპატენტო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობა უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის გადაცემის გამო

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო სასამართლოს საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე

№ბს-381-369(კ-10)

21 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემაღვლები: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, აუქციონზე შექენილი უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 იანვარს ს. ტ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსაგან 34936,5 ლარად შეიძინა ქ. ბორჯომში, ... ქ. №7-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ერთსართულიანი შენობა (ყოფილი ... სამორიგეო), რის საფუძველზეც 2007 წლის 19 ნოემბერს გადაეცა №... საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზემოხსენებული შენობა დაკავებული ჰქონდა სს „...“, რომელმაც მოსარჩელეს წარუდგინა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ს. ტ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული შენობა სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 2006 წლის 29 ნოემბერს, სს „...“ საკუთრებად კი – აღნიშნული ნივთის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემამდე – 2007 წლის 29 ივნისს. აღნიშნულის თაობაზე, მოსარჩელემ 2009 წლის 19 მაისს განცხადებით მიმართა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის საფუძველზე მის მიერ შექენილი ნივთის უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლება მოითხოვა, რაზეც სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის წერილით უარი ეთქვა.

მოსარჩელემ ზემოაღნიშნული წერილი უკანონოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველომ მიუთითა, რომ მას უფლებრივად ნაკლიანი ნივთი არ გადასცემია, მაშინ როდესაც სადავო ქონების სს „...“ სახელზე არსებული სამართლებრივი რეგისტრაცია ნათელს ხდიდა, რომ მას უფლებრივად ნაკლიანი ნივთი გადაეცა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამავე კოდექსის 489-ე მუხლის მიხედვით, ნივთი უფლებრივად უნაკლო იყო, თუ მესამე პირს არ შეეძლო განცხადებინა მყიდველისათვის პრეტენზია თავისი უფლებების გამო. მოცემულ შემთხვევაში კი მესამე პირი – სს „...“ არათუ აცხადებდა პრეტენზიას, არამედ საერთოდ არ აძლევდა მოსარჩელეს ნივთის ფლობის საშუალებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლი აწესებდა გამყიდველის მოვალეობებს ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, კერძოდ, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონე იყო, გამყიდველს ან უნდა გამოესწორებინა ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხებოდა გვაროვნულ ნივთს, შეეცვალა ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. ამასთან, ნივთის ნაკლით მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა ზოგადი წესების მიხედვით.

მოსარჩელის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველომ მოსარჩელის კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ს. ტ-შვილმა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომელმაც 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანებით ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსათვის, მოსარჩელის მიერ მისგან შექენილი უძრავი ნივთის, კერძოდ, ქ. ბორჯომში, ... ქ. №7-ში მდებარე ყოფილი ... სამორიგეო შენობის უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად შპს „...“ ჩაება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განჩინებით კი, საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური ჩაება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ტ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად ივარაუდებოდა, რომ ნივთის მფლობელი იყო მისი მესაკუთრე. ეს წესი არ მოქმედებდა იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდებოდა საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმფცია არ გამოიყენებოდა არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებდა ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში.

რაიონულმა სასამართლომ საქმის მასალებისა და მხარეთა განმარტებების საფუძველზე დადგინილად მიიჩნია, რომ სადავო შენობა ირიცხებოდა საჯარო რეესტრში სს „...“ საკუთრებად და იგი ფლობდა და განკარგავდა მას. ს. ტ-შვილს მის მიერ შექმნილი ქონება ფაქტობრივად არ ჩაბარებია და არც მფლობელობა განუხორციელებია მასზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის მიხედვით კი, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამავე კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება. სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამავე კოდექსის 491-ე მუხლის მიხედვით კი, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის გარემოებებით, შეუძლებელი იყო ს. ტ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან იგი ითხოვდა მის მიერ აუქციონზე შექმნილი ქ. ბორჯომში, ... ქუჩის №7-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლებას, ხოლო დოკუმენტების მიხედვით, მას შექმნილი ჰქონდა ქ. ბორჯომში, ... ქუჩის №9-ში მდებარე შენობა, რომელიც მის მიერ შესყიდვამდე უკვე წარმოადგენდა სს „...“ საკუთრებას.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, ს. ტ-შვილი მხოლოდ მის მიერ ნაყიდი ნივთის ნაკლისაგან განთავისუფლებას ითხოვდა და სხვა მოთხოვნა მას არ ჰქონდა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უსაფუძვლო იყო მისი მოთხოვნა გასაჩივრებული ბრძანების გაუქმების თაობაზეც.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ტ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ს. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს დავალებული უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლებინა ს. ტ-შვილის მიერ შექმნილი უძრავი ნივთი, ყოფილი ... სამორიგეო შენობა, მდებარე – ქ. ბორჯომში, ... ქ. №7-ში და ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №1-1/1895 ბრძანების ბათილად ცნობა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული 2007 წლის 15 ნოემბრის №42 ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, დადგინილად მიიჩნია ასევე მის გარემოება, რომ ს. ტ-შვილმა შეიძინა ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრების 133 კვ.მ. საერთო ფართი, დაკავებული 160 კვ.მ. მიწის ფართობით, რაც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2007 წლის 2 ოქტომბრის №42 სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ს. ტ-შვილმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსაგან მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა (ყოფილი ... სამორიგეო).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მსჯელობას და უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ქ. ბორჯომში, ... ქ. №7-ში მდებარე ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლებისა და მოსარჩელისათვის გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ტ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მის მიერ შეძენილი უძრავი ნივთის, ყოფილი ... სამეურნეო შენობის მისამართი სარჩელში არასწორად იყო მითითებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორი მიუთითებს, რომ, მართალია, საქმეში არსებული მტკიცებულებებით ს. ტ-შვილს საკუთრებაში გადაეცა ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე უძრავი ნივთი, მაგრამ იგივე უძრავი ნივთი, საქმეში მესამე პირად მონაწილე სს „...“ საკუთრებაში დარეგისტრირებული იყო მისამართზე – ქ. ბორჯომი, ... ქ. №9, თუმცა ქ. ბორჯომში არსებობდა მხოლოდ ერთი ... სამორიგეო შენობა.

ამდენად, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოება, არ ისარგებლა მისთვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

კასატორი აღნიშნავს, რომ მისი სასარჩელო განცხადება მოიცავდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 487-ე, 489-ე და 490-ე მუხლების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსათვის ს. ტ-შვილის მიერ შეძენილი ქ. ბორჯომში, ... ქ. №7-ში მდებარე უძრავი ნივთის უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლების დავალებას, რაზეც დაუსაბუთებელი უარი მიიღო.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ს. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის განჩინებით ს. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 1 ივლისს, 12.30 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 29 ნოემბერს ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე შენობა დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად. 2007 წლის 29 ივნისს აღნიშნული ქონება დარეგისტრირდა სს „...“ საკუთრებად, რომელსაც იგი საკუთრების უფლებით ფლობს და განკარგავს. 2007 წლის 23 ივლისს ჩატარებულ აუქციონზე ს. ტ-შვილმა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსაგან შეიძინა ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა. 2007 წლის 15 ნოემბერს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსა და ს. ტ-შვილს შორის გაფორმდა ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე უძრავი ქონების №42 ნასყიდობის ხელშეკრულება. 2007 წლის 19 ნოემბერს ს. ტ-შვილს გადაეცა №... საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. 2007 წლის 2 ოქტომბერს კი მხარეებს შორის გაფორმდა ქონების მიღება-ჩაბარების №... აქტი, რომლის მიხედვითაც, ს. ტ-შვილს გადაეცა ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა, მაგრამ ქონების ფაქტობრივი გადაცემა დადგენილი წესით არ განხორციელებულა. მოგვიანებით, ს. ტ-შვილმა შეიტყო, რომ მის მიერ შეძენილი უძრავი ქონება ჯერ კიდევ მის მიერ შეძენამდე დარეგისტრირებული იყო სს „...“ საკუთრების უფლებით, რის გამოც მიიჩნია, რომ მას უფლებრივად ნაკლიანი ნივთი გადაეცა და 2008 წლის 19 მაისს განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს და მოითხოვა მის მიერ შეძენილი უძრავი ნივთის უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ს. ტ-შვილის განცხადების პასუხად მიწერილ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... წერილზე, რომლითაც ს. ტ-შვილს განემარტა, რომ მის მიერ ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი ... შენობის აუქციონის წესით შეძენა მოხდა კანონის სრული დაცვით. მას მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანებაზე, რომლითაც ს. ტ-შვილს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოების გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსათვის ს. ტ-შვილის მიერ შეძენილი ქ. ბორჯომში, ... ქ. №7-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლების დავალება.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ს. ტ-შვილის სარჩელზე უარის თქმის მოტივად იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ვინაიდან სასარჩელო განცხადებით მოსარჩელე ითხოვდა აუქციონზე შეძენილი ქ. ბორჯომში, ... ქუჩა №7-ში მდებარე უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლებას, ხოლო რეალურად მას შეძენილი ჰქონდა ქ. ბორჯომში, ... ქუჩა №9-ში მდებარე შენობა, სარჩელი ვერ დაკმაყოფილდებოდა.

საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სარჩელში არასწორად მითითებული მისამართის გამო, იმ პირობებში როდესაც საქმის მასალებითაც დასტურდება და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ ს. ტ-შვილის მიერ აუქციონზე შეძენილი და სს „...“ მფლობელობაში არსებული ყოფილი ... სამორიგეო შენობა წარმოადგენს ერთსა და იმავე ობიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც ყოველმხრივ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი).

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგინლად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ს. ტ-შვილის მიერ სასარჩელო განცხადებით სადავოდ გამხდარი, მის მიერ აუქციონზე შეძენილი და სს „...“ სახელზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს ერთსა და იმავე ობიექტს, კერძოდ, ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე ერთსართულიან შენობას (ყოფილი ... სამორიგეო). აღნიშნული ფაქტი საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს საქმეში მონაწილე ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურმა, ასევე სს „...“. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოებს არსებითად უნდა განეხილათ სასარჩელო მოთხოვნები და ზემოაღნიშნული მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებელი იყო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... წერილით ს. ტ-შვილს განემარტა, რომ მის მიერ ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის აუქციონის წესით შეძენა მოხდა კანონის სრული დაცვით და მას მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. აღნიშნული აქტი მოსარჩელემ გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, რომლის 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანებით ს. ტ-შვილს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოების დასაბუთებას, რომ ს. ტ-შვილს გადაეცა უფლებრივად უნაკლო ნივთი და აღნიშნავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის არსებობა არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას, რომ პირს, კანონით დადგენილი წესით, გადაეცა უფლებრივად უნაკლო ნივთი. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მისთვის ქონების ფაქტობრივი გადაცემა დადგენილი წესით არ განხორციელდებულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. ბორჯომში, ... ქ. №9-ში მდებარე შენობა 2007 წლის 29 ივნისს დარეგისტრირდა სს „...“ საკუთრებად, ასევე დადგენილია, რომ იგი საკუთრების უფლებით ფლობს და განკარგავს ხსენებულ ქონებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების

დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მთანადოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამავე კოდექსის 487-ე მუხლის საფუძველზე კი გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლში განმარტებულია ნივთის უფლებრივი და ქონებრივი ნაკლი, რომლის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ითვალისწინებს გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობის სამართლებრივ შედეგებსაც, კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 490-ე მუხლის თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს, ხოლო ამავე კოდექსის 491-ე მუხლი კი ითვალისწინებს მყიდველის შესაძლებლობას ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუმცა ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მყიდველისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა. უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა ნიშნავს იმას, რომ მყიდველს გადაეცემა ხარვეზისაგან თავისუფალი ნივთი. როგორც ზემოთ აღნიშნა, დადგენილია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სიკეთის მიღება კასატორმა ვერ შეძლო იმის გამო, რომ შენობა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და შემდგომაც დაკავებული აქვს მესამე პირს – სს „...“. ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ კასატორს გადაეცა უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების პირობების დარღვევას. ამდენად, მოსარჩელეს გააჩნია კანონით მინიჭებული უფლება მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, კერძოდ, უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემა, ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო სამართლის პრინციპებისადმი შეუსაბამოდ მიიჩნევს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... წერილსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... წერილი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს სადავო საკითხი, ვინაიდან აღნიშნული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... აქტი. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მართალია, ს. ტ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა, მაგრამ საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის ბრძანება წარმოადგენს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ს. ტ-შვილის ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც იგი ასაჩივრებდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... აქტს. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანების გასაჩივრება თავისთავად მოიაზრებს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... აქტის გასაჩივრებასაც, რომლითაც ს. ტ-შვილს უარი ეთქვა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ადეკვატურად უნდა იმსჯელონ მოსარჩელის მოთხოვნაზე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შესახებ და დააკმაყოფილონ ს. ტ-შვილის მოთხოვნა უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის შესახებ, ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ნაკლის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში, იმსჯელონ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე, ანუ ხელშეკრულებით მიღებული შესრულების – თანხის დაბრუნების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იგი ვერ იმსჯელებს სასარჩელო მოთხოვნაზე – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოსათვის ს. ტ-შვილის მიერ შექმნილი უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლისაგან განთავისუფლების დავალების შესახებ, ვინაიდან სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოებს დაავალა ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით თავად გადაწყვიტონ ს. ტ-შვილთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ს. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ტ-შვილის საჩივრი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნება ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... აქტი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე წ ი ტ ა :

1. ს. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ტ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის №... ბრძანება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 2008 წლის 28 მაისის №... აქტი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საიჯარო ქირის დავალიანების ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-738-732(კ-11)

29 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და საკუთრების მონაშობის გაცემის დავალება.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (შემდგომში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ) 10.07.09წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს „მ-96“-ის (შემდგომში შპს „მ-ს“) მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 31.07.97 წ. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს „მ-96“-ს შორის ქ. თბილისში ... დასახლება ... კორპ. №5-ში პირველ სართულზე განთავსებული 191 კვ.მ. ფართსა და სარდაფ სართულის 180 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე გაფორმდა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. მოიჯარეს ქონების გამოსასყიდი თანხის 10937.4 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში 51% უნდა დაეფარა 31.07.98 წლამდე, ხოლო დარჩენილი ნაწილი უნდა გადაეხადა ყოველწლიურად იჯარით აღებული ქონების დარჩენილი ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობით. ამასთან, იჯარის ყოველწლიური ქირის ოდენობა შეადგენდა გამოსასყიდი თანხის 10%-ს – 1093.74 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს. საიჯარო ქირა მოიჯარეს უნდა გადაეხადა წელიწადში ორჯერ თანაბარწილად. 19.09.03წ. ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოსადმი წარდგენილი სარჩელით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო საიჯარო ხელშეკრულების გაუქმებას, ასევე მოპასუხისათვის საიჯარო დავალიანების სახით 4358.5 აშშ დოლარის დაკისრებასა და შპს „მ-96“-ის მფლობელობიდან დაკავებული ფართის გამოთხოვას მოითხოვდა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 27.01.04 წ. განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობების მიხედვით მოპასუხეს საიჯარო დავალიანება უნდა დაეფარა ეტაპობრივად სამ თვეში, ხოლო გამოსასყიდი თანხა უნდა შეეტანა 2007 წლამდე ხელშეკრულებით დადგენილი წესის მიხედვით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ არ შეასრულა არც მორიგების პირობები და არც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „მ-96“-ს 1997 წლის 31 ივლისიდან 2009 წლის აპრილის ჩათვლით ერიცხებოდა საიჯარო ქირის დავალიანება 9443.5 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის საიჯარო ქირის დავალიანების 9443.5 აშშ დოლარის დაკისრება და სკ-ის 172-ე მუხლის თანახმად უკანონოდ დაკავებული ფართის გამოთავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.09.09წ. განჩინებით შპს „მ-96“-ისათვის 27.01.04 წლამდე არსებული საიჯარო ქირის დავალიანების – 4358.5 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში, ვინაიდან სადავო საგნის ამ ნაწილზე არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შე-

სული განჩინება ამავე მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული მოპასუხისათვის საიჯარო ქირის 5085 აშშ დოლარისა და 2009 წლის აპრილის შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 91.14 აშშ დოლარის დაკისრების, ასევე მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაწილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.10.09წ. განჩინებით დადგინდა, რომ შპს „მ-96“-ის ნაცვლად საქმის წარმოება უნდა გაგრძელდეს იყო შპს „მ-ის“ მიმართ, ვინაიდან მცხეთის რაიონული სასამართლოს 25.01.05წ. განჩინებით სამენარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილების თანახმად შპს „მ-96“-ს ეწოდა შპს „მ-ი“. სასამართლოში დავის მიმდინარეობისას მოპასუხე – შპს „მ-მა“ ნაწილობრივ დაფარა საიჯარო ქირის დავალიანება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 21.09.10 წ. სასამართლო სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ 31.07.1997წ. დადებული საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2009 წლის 1 აპრილამდე არსებული საიჯარო ქირის დავალიანების - 3473.37 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, აგრეთვე 2009 წლის აპრილის შემდეგ გადანყვებილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 67.75 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება და თბილისში, ... დასახლება ... კორპ. №5-ში პირველ სართულზე განთავსებული 191 კვ.მ. ფართისა და სარდაფ სართულზე 180 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის შპს „მ-ს“ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა მოითხოვა.

შპს „მ-მა“ 28.10.09წ. აღძრა შეგებებული სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც ქონების გამოსყიდულად ცნობა, მოპასუხისათვის საკუთრების მონაწილის გაცემის დავალება და 31.07.97წ. საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა მოითხოვა. შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოიჯარის მიერ ქონების გამოსასყიდი ღირებულების 51% დაფარულ იქნა 1998 წელს. აღნიშნული გარემოება აღიარებულ იქნა მოპასუხის მიერ 19.09.03 წ. წარდგენილი სარჩელით. საიჯარო ქირა და გამოსასყიდი თანხა მის მიერ შეტანილ იქნა სს „საქართველოს ბანკში“, ხოლო ქვითრები წარედგინა ქონების მართვის დეპარტამენტს. საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას შპს „მ-ის“ სარჩელი ქონების გამოსყიდულად ცნობის მიჩნევის ნაწილში დარჩა განუხილველად მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ამ ნაწილში გამოსძიების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 03.02.2010წ. განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი მოპასუხე შპს „მ-ის“ მიმართ დავალიანების გადახდევინების და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, აგრეთვე შპს „მ-ის“ შეგებებული სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და ქონების გამოსასყიდად ცნობის თაობაზე განსახილველად გადაეზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.09.10წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „მ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 2004 წლის 27 იანვრიდან 2009 წლის აპრილამდე საიჯარო ქირის დავალიანების სახით 3473.37 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, ასევე 2009 წლის აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 67.75 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა დაევალა. სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „მ-ის“ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა მუხიანის დასახლება მე-4,ა მ/რ კორპ. №5-ში პირველ სართულზე განთავსებული 191 კვ.მ. ფართი და სარდაფ სართულზე მდებარე 180 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, შპს „მ-ს“ უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 27.01.04 წ. განჩინებით, საქმეში არსებული სასამართლო ბარათებითა და სპეციალისტის განმარტებით დადგინდად მიიჩნია, რომ შპს „მ-96“-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების პირობათა სისტემატურ დარღვევას. შპს „მ-96“-ს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გადაუხდია ქონების გამოსასყიდი თანხა. დავის მიმდინარეობისას შპს „მ-ის“ მიერ დაფარული იქნა საიჯარო ქირის დავალიანების ნაწილი, რის გამოც დავის გადაწყვეტის მომენტისათვის საიჯარო ქირის დავალიანება იყო 3473,37 აშშ დოლარი. ასევე შემცირდა დარჩენილი გადასახდელი საიჯარო თანხის 10%, რამაც შეადგინა 67,75 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოიჯარეს შეწყვეტილი არ ჰქონდა იჯარით გადაცემული ქონებით სარგებლობა, სამინისტროს სარჩელი საიჯარო თანხის დაკისრებისა და ქონების გამოთხოვის თაობაზე იყო საფუძვლიანი. ამასთან, შეგებებული სარჩელი საკუთრების მონაწილის გაცემის დავალდებულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან მოიჯარეს 1997 წლის 31 ივლისიდან 2007 წლის 31 ივნისის ჩათვლით, ე.ი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ ჰქონდა დაფარული საიჯარო თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.09.10წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შპს „მ-მა“ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.11 წ. განჩინებით შპს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.09.10წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქონების გამოსასყიდი ღირებულების გადახდა არ დასტურდებოდა არათუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, არამედ მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. საქმის მასალების მი-

ხედვით დასტურდებოდა მხოლოდ ქონების გამოსასყიდი ღირებულების 49%-ის გადახდა. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოიჯარეს დარღვეული ჰქონდა იჯარის ქირის გადახდის ვალდებულება და 2004 წლის 27 იანვრიდან 2009 წლის აპრილამდე პერიოდისათვის იჯარის თანხის დავალიანება შეადგენდა 3473,37 აშშ დოლარს, რაც სსკ 361-ე მუხლის საფუძველზე ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების წინამძღვრებს. ასევე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 31.03.99 წ. №1-2/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ 5.2. მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა გადასახდელი საიჯარო ქირის 10%, რაც შეადგენდა 67,75 აშშ დოლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.11 წ. განჩინება საკასაციო წესით შპს „მ-მა“ გაასაჩივრა. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსაზრება თითქოს შპს „მ-ს“ არ გადაუხდია ქონების გამოსასყიდი თანხის 51%, ვინაიდან ამ თანხის შპს-ს მიერ გადახდას აღიარებდა მოსარჩელე 19.09.03 წ. აღძრული სარჩელით და შპს „მ-ის“ შეგებებულ სარჩელზე წარმოდგენილი შესაგებლით. სასამართლომ ასევე არ იმსჯელა ხელშეკრულების 3.3.1. პუნქტზე, რომლის თანახმადაც მოიჯარეს უფლება ჰქონდა იჯარით აღებული ქონება გამოეყიდა ნაწილობრივ. სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 559-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ ორი წლის განმავლობაში მეიჯარის მხრიდან მოიჯარისათვის პრეტენზიის წარუდგენლობის გამო ხელშეკრულება გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. კასატორი ასევე არ ეთანხმდება სასამართლოს მსჯელობას საიჯარო ქირის დაკისრების ნაწილშიც და აღნიშნავს, რომ თუ მოიჯარეს არ ჰქონდა გამოსასყიდი თანხის გადახდის უფლება ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ, შესაბამისად არ გააჩნდა საიჯარო ქირის განსაზღვრის შესაძლებლობა 31.07.97 წ. ხელშეკრულების შესაძლებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის 31.07.97 წ. დადებული საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენდა 10 წელს, ფართის გამოსყიდვის ღირებულება – 10937,4 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში. ამ თანხის 51% მოიჯარეს – შპს „მ-96“ (შემდგომში შპს „მ-ი“) უნდა დაეფარა ერთ წელიწადში, 1998 წლის 31 ივლისამდე, ხოლო დარჩენილი 49% უნდა გადაეხადა ყოველწლიურად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „მ-ის“ მიერ ქონების გამოსყიდვის მიზნით გადახდილ იქნა შემდეგი თანხები: 10.09.98წ. 1001,18 აშშ დოლარი, 14.04.99წ. 1801,80 აშშ დოლარი, ხოლო სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე, 15.06.10წ. – 2557 აშშ დოლარი. ამდენად არ დასტურდება კასატორის მიერ საიჯარო ქონების გამოსყიდვა, ამასთანავე 31.07.97წ. ხელშეკრულების 4.5 მუხლის მიხედვით საიჯარო ქონება მოიჯარის საკუთრებაში გადადიოდა საიჯარო ქონების სრული გამოსყიდვის შემთხვევაში. დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება მის მიერ ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში იჯარით გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულების 51%-ის გადახდის შესახებ. აღნიშნულის დასადასტურებლად ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (სალაროს შემოსავლის ორდერი, საგადასახადო დავალება), საქმის განხილვის არცერთ სტადიაზე არ შექმნილა სსკ-ის 102-ე ან 131-ე მუხლის საფუძველზე პირდაპირი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან შპს „მ-ის“ გათავისუფლების წინაპირობა. საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამოსასყიდი თანხის 51%-ის გადაუხდელობის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების სამმართველოს 19.09.03წ. აღძრული სარჩელი სხვა შინაარსის იქნებოდა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე 19.03.03წ. სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა საიჯარო ქირის დავალიანების გადახდას, რასაც საფუძველად ედო მეიჯარის მიერ ხელშეკრულების განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, უკანასკნელი თავისთავად გამოირიცხავდა უძრავი ქონების გამოსყიდვის მიზნით ქონების ღირებულების გადახდის მოთხოვნას, სკ-ის 515-ე მუხლის შესაბამისად მყიდველს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული გამოისყიდოს უძრავი ქონება, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა იძლეოდა მხოლოდ საიჯარო ქირის დავალიანების მოთხოვნის უფლებას. მოიჯარის მიერ გამოსასყიდი თანხის 51%-ის (5578,07 აშშ დოლარის) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადახდის შემთხვევაში, შპს-ს მიერ 10.09.98წ. და 14.04.99წ. გადახდილი თანხების გათვალისწინებით (13,87 + 1001,18 + 1801,80 აშშ დოლარი), სარჩელის აღძვრის დროისათვის (19.03.03წ.) ქონების გამოსასყიდი თანხა ნაკლები იქნებოდა და ამდენად გამოსათვლელი საიჯარო ქირის დავალიანება სარჩელით მოთხოვნილ თანხაზე გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში უძრავი ქონების ღირებულების 51%-ის გამოსყიდვის შესახებ მოსარჩელის მოსაზრების გაზიარების შემთხვევაშიც, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, კასატორის მიერ ხელშეკრულების არსებითი პირობის – უძრავი ქონების ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 2007 წლის 31 ივლისამდე შეუსრულებლობა. სასამსახურო ბარათის მიხედვით ქონების ღირებულების ბოლო გამოსასყიდი გადახდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ (15.06.10წ.) განხორციელდა. სახეზეა ხელშეკრულების ვადის ამონურვის გამო სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ თანხის ნაწილის გადახდა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იჯარით აღებული ქონების გამოუსყიდველობა. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას კასატორის მიერ ქონების გამოსასყიდი ღირებულების სრულად არათუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, არამედ მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც გადაუხ-

დელობის შესახებ. მხარეთა შორის დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ესადაგება საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 20.09.94წ. №555-1ს დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის“ დებულების მოთხოვნას, რომელიც სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის ზღვრული ვადის სახით ითვალისწინებდა ათწლიან ვადას, სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემის ზღვრულ ათწლიან ვადას ითვალისწინებდა აგრეთვე შემდგომში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 08.09.97წ., 31.03.99წ. ბრძანებებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ დებულებები. ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ 30.05.97წ. კანონის 7.6 მუხლი იმპერატიულად ადგენდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთ-ერთი ფორმის – იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველის მიერ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 წლის ვადაში თანხის გადახდას. შესაბამისად მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხელშეკრულების მოქმედების ათწლიან ვადას – 1997 წლის 31 ივლისიდან 2007 წლის 31 ივლისამდე, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლებოდა (ხელშეკრულების 5.3. პუნქტი). ამდენად, ხელშეკრულება ვერ გაითვალისწინებდა პრივატიზების ვადის შემდგომი გარკვეულობის შესაძლებლობას, ასეთი დებულება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო იქნებოდა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელის მიერ ქონებით სარგებლობა არ ადასტურებს იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით განახლებას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდება გამოსყიდვის უფლების გახანგრძლივებას, იჯარა-გამოსყიდვის უფლება განეკუთვნებოდა საჯარო მონესრიგების სფეროს, კანონმდებლობა უძრავი ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გამოსყიდვას ითვალისწინებდა მხოლოდ დროის განსაზღვრულ ვადაში, გამოსყიდვის მაქსიმალური პერიოდი შეადგენდა 10 წელს, სწორედ ეს მაქსიმალური ვადა იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, მიუხედავად ამისა მხარემ დადგენილ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის – იჯარა-გამოსყიდვის ფართზე საკუთრების მონაშობის გაცემის მოთხოვნის მიმართ სასამართლოს მიერ სკ-ის 559.2 მუხლის გამოყენებლობა არ ქმნის საკასაციო პრეტენზიის გზიარების შესაძლებლობას, ვინაიდან იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით განახლებას არ ადასტურებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელის მიერ ქონებით სარგებლობა (26.12.1964წ. სკ-ის 274-ე მუხ., 26.06.97წ. სკ-ის 559-ე მუხ.). შპს „მ-ის“ მიერ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ, 2010 წელს გადახდილი ქონების გამოსასყიდი თანხის პროპორციულად მოპასუხის მიერ მოთხოვნილი ქონებით სარგებლობისათვის გადასახდელი იჯარის ქირის ოდენობის შემცირება არ ქმნის ქონების გამოსყიდვის უფლების გახანგრძლივების შესაძლებლობას. უკვე აღინიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ქონების გამოსყიდვის უფლება უპირობოდ წყდებოდა. მიუხედავად ამისა მოიჯარის მიერ იჯარის საგნით სარგებლობისათვის ქირის მოთხოვნა ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ, სსკ-ის 591-ე და 567-ე მუხლების თანახმად მართებულია, ვინაიდან მოიჯარეს ეკისრება დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა ზიანის ანაზღაურების სახით (სკ-ის 567-ე მუხ.), საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ მოიჯარის მიერ დათქმულ დროში საიჯარო ქონების დაუბრუნებლობა აკისრებს მოიჯარეს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო ქირა გადაცილებული დროის მიხედვით (სკ-ის 591-ე მუხ.). რაც შეეხება ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით 2009 წლის აპრილის შემდეგ გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობის შემცირებას ხელშეკრულების ვადის ამონურის შემდეგ გადახდილი გამოსასყიდი თანხის ოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნული წინააღმდეგობაში არ მოდის სააპელაციო პალატის განჩინებაში განვითარებულ სხვა მსჯელობასთან, რომლის თანახმად საიჯარო თანხის ოდენობა შემცირდა თავდაპირველ სარჩელზე მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სარჩელის დაზუსტების შედეგად, სასამართლო სსკ-ის 248-ე მუხლის გათვალისწინებით არ იყო უფლებამოსილი მოსარჩელისათვის მიეკუთვნებია იმაზე მეტი, რაც მას არ მოუთხოვია.

რაც შეეხება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დაგროვებულ საიჯარო ქირის დავალიანებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ მიმართებითაც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი. 31.07.97წ. ხელშეკრულების თანახმად საიჯარო ქირა შეადგენდა საიჯარო ქონების ღირებულების 10%-ს ანუ 1093.74 აშშ დოლარს წელიწადში. იგი მოიჯარეს უნდა გადაეხადა წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში ერთხელ თანაბარ წილად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საიჯარო ქირის ყოველწლიურად კორექტირებას მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის პირდაპირპროპორციულად. მოსარჩელის მიერ საიჯარო ქირის სახით სარჩელით თავდაპირველად მოთხოვნამ (9443.5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი) განიცადა კორექტირება, მას გამოაკლდა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 27.01.04წ. განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დავალიანება (4358.5 აშშ დოლარი), შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო 5085 აშშ დოლარის ნაწილი, სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში შპს „მ-ის“ მიერ საიჯარო ქირის დავალიანების ნაწილობრივი დაფარვის გამო, საიჯარო ქირის დავალიანება 3473,37 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი შეადგინა. საქმეში დაცული სასამართლო ბარათებით ირკვევა, რომ შპს „მ-ის“ მიერ საიჯარო ქირის სახით თავდაპირველად 14.04.99წ. გადახდილ იქნა 675 აშშ დოლარი, რომელიც თავიდანვე, სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე, დაკორექტირდა. დარჩენილი თანხა შპს „მ-მა“ გადაიხადა სასამართლოში საქმისწარმოებისას. აღნიშნული თანხებიდან 4359 აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ჩა-

ითვალა 2004 წელს მორიგების აქტით გადასახდელი თანხის ანგარიშში, ხოლო დანარჩენი გამოაკლდა მორიგების აქტის შემდგომ დასაკისრებელ საიჯარო დავალიანებას და შეადგინა 3473.37 აშშ დოლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საფუძველად არ უღვევს კანონის დარღვევა, განჩინება არსებითად სწორია, საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას არ აქვს ადგილი, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.02.2011წ. განჩინება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა ნ მ რ ნ ი ნ ე ბ ის მ ო ნ მ ო ბ ის გ ა ც ე მ ა დ ა ვ ა ლ ე ბ ის ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ის ს ა ფ უ ჰ კ ვ ე ლ ზ ა გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1402-1385(კ-11) 19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 5 ნოემბერს ო. ბ-მა და ლ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებისა და მესამე პირის – ი. მ-ის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2002 წლის 27 დეკემბერს მოქალაქე ვ. კ-მ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 17 ოქტომბრის №2/1325 სამოქალაქო საქმეზე (ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების შესახებ) გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 1138-ე მუხლის შესაბამისად, გამოხატა ნება და ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებაში განქორწინების რეგისტრაცია მოითხოვა. ვინაიდან, ვ. კ-ს ავადმყოფობის გამო მწოლიარე მდგომარეობაში იმყოფებოდა სამკურნალო დაწესებულებაში, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ...ის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში, თანხმობა განქორწინების მოწმობის მიღებაზე მინდობილობით გადასცა დისშვილს – ო. ბ-ს, რომელმაც იმავე დღეს – 2002 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებაში წარადგინა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 17 ოქტომბრის (ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების შესახებ) გადაწყვეტილება და მინდობილობა, განაცხადა ვ. კ-ს სურვილის შესახებ და განქორწინების რეგისტრაცია მოითხოვა. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილების გამგემ – ლ. ზ-მა შეამოწმა რა მოსარჩელის სახელზე გაცემული მინდობილობა, სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 25 ლარის გადახდა მოითხოვა, რაც ვ. კ-ს სახელით მეორე დღესვე – 2002 წლის 28 დეკემბერს იქნა გადახდილი საქართველოს ეროვნულ ბანკში. 2002 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა ვ. კ-ი, რის გამოც მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები მოგვიანებით წარადგინა.

მოსარჩელეთა განმარტებით, ვ. კ-მ სიცოცხლეში დატოვებული ანდერძით, ლ. ბ-ს გადასცა მემკვიდრეობა, რისთვისაც მათ კანონით დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართეს შესაბამის საწოტარო ბიუროს და ვ. კ-ს დანაშთ ქონებაზე ლ. ბ-ზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა მოითხოვეს. გარდაცვლილის ყოფილმა მეუღლემ – ი. მ-მა ანალოგიური განცხადებით მიმართა იმავე საწოტარო ბიუროს. ნოტარიუსმა ვ. კ-ს განქორწინების მოწმობის წარდგენა მოითხოვა, რის გამოც 2003 წლის 11 ოქტომბერს ო. ბ-მა განცხადებით მიმართა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილების გამგეს – ლ. ზ-ს და სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განქორწინების რეგისტრაციის მოწმობის გაცემა მოითხოვა, რაზეც წერილობით ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ მის მიერ არ იყო წარდგენილი ბაჟის გადახდის ქვი-

თარი და ასევე, არ იყო დასაბუთებული იმ შესაძლო ზიანის საფრთხე, რაც წარმოექმნებოდა ანდერძისმიერ მემკვიდრეს განქორწინების მოწმობის გაუცემლობით.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, უსაფუძვლოა განქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმა, ვინაიდან, ვ. კ-მ სიცოცხლეშივე 2002 წლის 27 დეკემბერს ო. ბ-ის სახელზე გაცემული რწმუნებულებით დააფიქსირა და გამოხატა ნება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაში შესულიყო ცვლილება და გაცემულიყო შესაბამისი განქორწინების მოწმობა.

ამდენად, მოსარჩელებმა ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებისათვის, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და ო. ბ-ის 2002 წლის 27 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალდებულება მოითხოვეს.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებას, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და ვ. კ-ს რწმუნებულის – ო. ბ-ის 2002 წლის 27 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის არსებული განქორწინების რეგისტრაციისა და ვ. კ-ს განქორწინების მოწმობის გაცემა დაევალა.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მესამე პირმა – ი. მ-მა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ საქმე განსახილველად გადასცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის საოქმომო განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილების უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სამოქალაქო რეესტრის დიდუბის სარეგისტრაციო სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის საოქმომო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ი. მ-ი მიჩნეულ იქნა მესამე პირად. ამავე საოქმომო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ო. და ლ. ბ-ების შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის საოქმომო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ო. და ლ. ბ-ების შუამდგომლობა საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 და 18 ივლისის საოქმომო განჩინებებზე ო. და ლ. ბ-ებმა წარადგინეს კერძო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული საოქმომო განჩინებების გაუქმება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინებით ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ო. და ლ. ბ-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებით ო. და ლ. ბ-ების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 და 18 ივლისის საოქმომო განჩინებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინებით ო. და ლ. ბ-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინება და 4 ივლისის საოქმომო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის საოქმომო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება აპელანტი ი. მ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის საოქმომო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება ვ. კ-ს მიერ ი. მ-ის სახელზე გაცემული მინდობილობის თაობაზე სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ი. მ-ის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ი. მ-ის გარდაცვალების გამო მისი უფლებამონაცვლის დადგენის მიზნით სააპელაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება 2011 წლის 10 აპრილამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით მოქმედ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით სამოქალაქო რეესტრის დიდუბის სარეგისტრაციო სამსახურის საპროცესო უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახური.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 მაისის განჩინებით აპელანტი ი. მ-ის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა გ. მ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის, 1986 წლის 10 ოქტომბერს, რეგისტრირებული ქორწინება. გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი აღრუსულების ვადა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განქორწინების შესახებ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, განქორწინების რეგისტრაციისათვის ვ. კ-ს და ი. მ-ს შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუშვართავთ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკდ. ნ. ...ის სახელობის ცენტრალური კლინიკის 2003 წლის 25 ივნისის წერილზე, რომლის თანახმად, ვ. კ – 2002 წლის 24 ნოემბრიდან 2002 წლის 29 დეკემბრამდე გადიოდა მკურნალობას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამავე სამკურნალო დაწესებულების მიერ, დამონებული იქნა ვ. კ-ს მინდობილობა – ო. ბ-ს მისი სახელით ემოქმედა განქორწინების მოწმობის აღების გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 27 დეკემბერს ო. ბ-მა განცხადებით მიმართა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებას და განქორწინების მოწმობის გაცემა მოითხოვა, რაზეც განყოფილების გამგის – ლ. ზ-ის მიერ უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მას წარდგენილი არ ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2002 წლის 30 დეკემბერს ვ. კ-ს იხე გარდაიცვალა, რომ მის სიცოცხლეში არ მომხდარა მის მეუღლესთან – ი. მ-თან განქორწინების რეგისტრაცია.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ლ. ბ-ი გარდაცვლილ ვ. კ-ს ანდერძისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს.

ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილების 2003 წლის 23 ოქტომბრის წერილის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ბ-ს, როგორც გარდაცვლ. ვ. კ-ს წარმომადგენელს უარი ეთქვა მინდობილობის საფუძველზე ვ. კ-ს განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნაზე, იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მიიჩნია მართებულად სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის „ა“ პუნქტით დამდგარი შემთხვევის გამო, ო. ბ-ს გაეგრძელებინა გარდაცვლ. ვ. კ-ს მიერ დავალებული მოქმედების შესრულება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის (როგორც დავის აღძვრის პერიოდში ისე დღეის მდგომარეობით) თანახმად, ქორწინება წყდება ა) ერთი-ერთი მეუღლის გარდაცვალებით, ბ) კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით, გ) განქორწინებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, როგორც ქორწინების შეწყვეტის საფუძველი – ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება, ასევე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მეუღლეთა განქორწინების შესახებ, რის რეგისტრაციასაც სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ითხოვს მოსარჩელე მხარე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ბ-ის მიერ, ვ. კ-ს სახელით გაცემული მინდობილობისა და ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე (რომლითაც შეწყვეტილი იქნა ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის 1986 წლის 10 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება), განქორწინების რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ვ. კ-ს სიცოცხლეში. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის ქორწინების შეწყვეტა განაპირობა უკვე ვ. კ-ს გარდაცვალებამ (პირის გარდაცვალება იწვევს ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტას), აღარ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაციის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) მიერ სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესზე აპელირება, რომლის თანახმად, „თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, რწმუნებული ვალდებულია გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაყოვნება მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეებს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს; ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად“, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუდასტურებელია ვ. კ-სადმი, როგორც ო. ბ-

ის მარწმუნებლისადმი, ასევე, ლ. ბ-ისადმი როგორც, ვ. კ-ს ანდერძისმიერი მემკვიდრისადმი, ზიანის მიყენების საფრთხის შექმნის ვითარების დადგომის შესაძლებლობა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, განქორწინების რეგისტრაცია განხორციელდება მიმდინარე თარიღით, რომელსაც უკავშირდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. ამდენად, ვ. კ-ს და ი. მ-ის ქორწინების პერიოდში წარმოშობილ სამემკვიდრეო უფლებებზე, გავლენას ვერ მოახდენს, სამკვიდროს გახსნის შემდეგ განქორწინების რეგისტრაცია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და არასწორად გადაწყვიტა დავა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრით გაბათილებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ო. და ლ. ბ-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვეს. ამასთან, კასატორებმა გ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმება და მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ 2011 წლის 5 ივლისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე განხილულ იქნა ო. და ლ. ბ-ების შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, იმ საფუძველით, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. ამასთან, კასატორების მითითებით, 2011 წლის 24 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განქორწინების აქტი არსებობს და დარეგისტრირებულია. ამდენად, გარდა იმისა, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ასევე, არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ინფორმაცია გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა 2011 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს მინდობილობისა და განქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების არსებობას, ასევე, დადგენილად მიიჩნევს, რომ სამოქალაქო რეესტრისადმი მიმართვა 2002 წლის 27 დეკემბერს განხორციელდა, მაშინ, როდესაც ვ. კ. – გახლდათ ცოცხალი. ამდენად, განქორწინების გამო ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაწყებულია ვ. კ-ს სიცოცხლეში, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ვ. კ-ს გარდაცვალების გამო აღარ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაციის საფუძველი, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო არასწორად აღნიშნავს, რომ განქორწინების რეგისტრაცია ვ. კ-ს სიცოცხლეში არ მომხდარა. კასატორების მითითებით, როგორც საქმეში არსებული მასალებით, ასევე, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებით დასტურდება, რომ ვ. კ-მ თავისი მინდობილი პირის – ო. ბ-ის სახით 2002 წლის 27 დეკემბერს, თავისივე სიცოცხლეში მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, სადაც დაიწყო კიდევ სათანადო ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, ვ. კ-ს ნება გამოვლენილ იქნა.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო არასწორად არ იყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილს იმ საფუძველით, თითქოს დაუდასტურებელია ლ. ბ-ისადმი, როგორც ვ. კ-ს ანდერძისმიერი მემკვიდრისადმი, ზიანის მიყენების საფრთხის შექმნის ვითარების დადგომის შესაძლებლობა. კასატორების მითითებით, აშკარაა სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა, ვინაიდან, განქორწინების შესახებ 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმავდროულად ყოფს ქონებას ყოფილ მეუღლეებს – ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის, ხოლო სასამართლო თავადვე დადგენილად მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ი ვ. კ-ს ანდერძისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს. ამდენად, ლ. ბ-ის უფლებები ვ. კ-ს დანაშთ ქონებაზე დადასტურებულია თავად სასამართლოს მიერვე, ამიტომ სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომ დაუდასტურებელია ვ. კ-ს ანდერძისმიერი მემკვიდრის ლ. ბ-ისადმი ზიანის მიყენების საფრთხის შექმნის ვითარების დადგომის შესაძლებლობა, იურიდიულად დაუსაბუთებელია და კასატორების მოსაზრებით, გადაწყვეტილება ამ საფუძველითაც ექვემდებარება გაუქმებას.

ამასთან, კასატორები მიუთითებენ, რომ ქონება რომლის გაყოფაც 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განხორციელდა, სწორედ ვ. კ-ს პირად საკუთრებას წარმოადგენდა.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას არ მსჯელობს იმ გარემოებაზე, რომ განქორწინების მოწმობა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არსებობს, რომ მის მიმართ ლ. ბ-ს გააჩნდა კანონიერი ნდობა და განქორწინების მოწმობის აღების შემდეგ კიდევაც განახორციელა სამართლებრივი მოქმედებები, კერძოდ, ლ. ბ-მა სრულად მიიღო მემკვიდრეობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბა-

მისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2012 წლის 26 იანვარს 12:30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის 1986 წლის 10 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება და მისი აღსრულების ვადა განისაზღვრა სამი წლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვ. კ-ა აკადემიკოს ნ. ...ის სახელობის ცენტრალური კლინიკის ტრავმატოლოგიურ დეპარტამენტში 2002 წლის 24 ნოემბრიდან 2002 წლის 29 დეკემბრამდე გადიოდა მკურნალობას. 2002 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა ვ. კ-ა. გარდაცვალებამდე, 2002 წლის 27 დეკემბერს, ამავე სამკურნალო დაწესებულების მიერ დამოწმებულ იქნა ვ. კ-ს მიერ მისი დისშვილის – ო. ბ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა – ო. ბ-ს მისი სახელით ემოქმედა განქორწინების მოწმობის მისაღებად.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2002 წლის 27 დეკემბერს ო. ბ-მა ვ. კ-ს ნების შესაბამისად, განცხადებით მიმართა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებას და განქორწინების მოწმობის გაცემა მოითხოვა, რაზეც განყოფილების გამგის – ლ. ზ-ის მიერ უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მას წარდგენილი არ ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებში წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ 2002 წლის 28 დეკემბრის თარიღით, მაშინ როდესაც ვ. კ-ა ცოცხალი იყო, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებაში წარსადგენად საქართველოს ეროვნულ ბანკში გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, განქორწინების მოწმობის მიღების მიზნით.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ლ. ბ-ი გარდაცვლ. ვ. კ-ს ანდერძისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის წარმოშობის საფუძველი გახდა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებასა და განქორწინების მოწმობის გაცემაზე. შესაბამისად, ო. და ლ. ბ-ებმა სასამართლოს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებისათვის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და ო. ბ-ის 2002 წლის 27 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალდებულების მოთხოვნით მიმართეს. ამდენად, განსახილველი დავის საგანს განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალდებულება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ უდავო გარემოებაზე, რომ ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაცია უკვე განხორციელებულია და შესაბამისად, გაცემულია განქორწინების მოწმობა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების მოწმობის ას-ლზე, სადაც განქორწინების თარიღად და განქორწინების რეგისტრაციის თარიღად მითითებულია 2002 წლის 27 დეკემბერი, ხოლო მოწმობის გაცემის თარიღად დაფიქსირებულია 2004 წლის 12 ნოემბერი. მოწმობის გამცემ ორგანოდ მითითებულია ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია ი. მ-მა სააპელაციო წესით გაააჩივრა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (რომლითაც ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა), მაგრამ იმ პირობებში, როდესაც დავის განხილვისას აპელანტისათვის ცნობილი გახდა, რომ უკვე განხორციელებული იყო ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაცია და გაცემული იყო შესაბამისი განქორწინების მოწმობა, მას არც და-მოუკიდებელი მოთხოვნით და არც სარჩელით სასამართლოსათვის არ მიუმართავს და არ მოუთხოვია უკ-ვე გაცემული განქორწინების მოწმობის გაუქმება. ი. მ-ის (შემდგომ გ. მ-ის) სააპელაციო მოთხოვნას მხოლოდ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება წარმოადგენდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებს იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი აპელანტი – გ. მ-ისათვის, ვინაიდან, მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი განქორწინების რეგისტრაცია უკვე განხორციელებულია და შესაბამისად, გაცემულია განქორწინების მოწმობაც, რაც აპელანტს არ გაუსაჩივრებია,

ხოლო, მოცემულ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იძლევა უკვე განხორციელებული რეგისტრაციისა და გაცემული მოწმობის გაუქმების შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორებმა ასევე გ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმება და მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვეს, იმ საფუძველით, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. საკასაციო სასამართლო კასატორების ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლზე, სადაც განმარტებულია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროს მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლით დადგენილი წესით ი. მ-ისათვის გადაწყვეტილების გაგზავნისა და ჩაბარების ფაქტი. შესაბამისად, ვერ დასტურდება ი. მ-ის მიერ სააპელაციო საჩივრის ვადის დარღვევით წარდგენა და ამასთან, ვერც კასატორებმა შეძლეს სათანადო მტკიცებულებებით დაედასტურებინათ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე მათი შუამდგომლობის საფუძველიანობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლო მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რასაც მას კანონმდებლობა ანიჭებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის ეტაპზე, მაშინ, როდესაც უკვე განხორციელებული იყო განქორწინების რეგისტრაცია, გაცემული იყო განქორწინების მოწმობა და მოსარჩელეებიც საქმის წარმოების შეწყვეტას ითხოვდნენ, არ უმსჯელია ო. და ლ. ბ-ების სარჩელის მატერიალურ დასაშვებობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების საფუძველზე წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურება არის ის, რომ სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე-179-ე მუხლების მოთხოვნებს, ისე სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნას, რაც სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას იმსჯელოს სარჩელის დასაბუთებულობაზე (მატერიალური დასაშვებობა).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის დასაშვებობის საკითხს სასამართლო ამომგებს სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე არ არის შეზღუდული განმწესრიგებელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვის შემდეგ ეტაპზე გამოვლინდა სარჩელის დაუშვებლობის საფუძველები, სასამართლო უფლებამოსილია განჩინებით შეწყვიტოს საქმის წარმოება. სარჩელის დასაშვებობის შემომგება ხდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ ო. და ლ. ბ-ების სასარჩელო მოთხოვნას ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებისათვის ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალდებულება წარმოადგენს. ამდენად, სახეზე გვაქვს მავალდებულებელი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მავალდებულებელი სარჩელის შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ან ქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მავალდებულებელი სარჩელის დასაშვებად ცნობის სავალდებულო პირობა არის მხარის კანონიერი ინტერესის არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ო. და ლ. ბ-ების სარჩელის მიზანს და მათ კანონიერ ინტერესს ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაციისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალდებულება წარმოადგენდა და სასარჩელო მოთხოვნაც სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გაუსაჩივრებია ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის №2 განყოფილებას, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და ვ. კ-ს რწმუნებულის ო. ბ-ის 2002 წლის 27 დეკემბრის განცხადების საფუძველზე, ვ. კ-ს და ი. მ-ის შორის არსებული განქორწინების რეგისტრაციისა და განქორწინების მოწმობის გაცემა დაევალა. უფრო

მეტიც, ადმინისტრაციულმა ორგანომ წერილობით განაცხადა უარი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. ამის პარალელურად, მან აღასრულა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მოახდინა ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის არსებული განქორწინების რეგისტრაცია და ვასცა განქორწინების მოწმობა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელებს აღარ აქვთ განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის კანონიერი ინტერესი, ვინაიდან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახეზე გვაქვს სწორედ ის სამართლებრივი შედეგი, რაც ო. და ლ. ბ-ების სარჩელის მიზანს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს ო. და ლ. ბ-ების სარჩელის მატერიალურ დასაშვებობას. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმ პირობებში, როდესაც დავის განხილვისას აპელანტისათვის ცნობილი გახდა, რომ უკვე განხორციელებული იყო ვ. კ-ს და ი. მ-ის განქორწინების რეგისტრაცია და გაცემული იყო შესაბამისი განქორწინების მოწმობა, მას არც დამოუკიდებელი მოთხოვნით და არც სარჩელით სასამართლოსათვის არ მიუმართავს და არ მოუთხოვია უკვე გაცემული განქორწინების მოწმობის გაუქმება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია განიხლოს დავა მხოლოდ ო. და ლ. ბ-ების სარჩელის ფარგლებში, რომლის მოთხოვნასაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის განქორწინების რეგისტრაციის განხორციელებისა და განქორწინების მოწმობის გაცემის დავალაშქვება წარმოადგენს.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესუალური ნორმების დარღვევასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დარღვეულია მატერიალური ნორმები. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული არც მატერიალური თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასთანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. სააპელაციო სასამართლო იმის ნაცვლად, რომ სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო საკითხისათვის და მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება, ფორმალურად მიუდგა დავის საგანს და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო საკითხის შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ ვინაიდან, ვ. კ-ს და ი. მ-ს შორის ქორწინების შეწყვეტა განაპირობა უკვე ვ. კ-ს გარდაცვალებამ აღარ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაციის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და მიუთითებს, რომ მართალია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის თანახმად, ქორწინების შეწყვეტის საფუძველებია ა) ერთი-ერთი მეუღლის გარდაცვალება, ბ) კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალილად გამოცხადება, გ) განქორწინება, მაგრამ საყურადღებოა ის სამართლებრივი შედეგი, რაც ქორწინების სხვადასხვა საფუძველით შეწყვეტისას დგება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას და განმარტავს, რომ განქორწინებას – ვ. კ-ს გარდაცვალებით და განქორწინებას – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განსხვავებული სამართლებრივი შედეგი მოაქვს მხარეებისათვის. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ რა საფუძველით განხორციელდა ვ. კ-ს და ი. მ-ის ქორწინების შეწყვეტა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე, რომ ვ. კ-მ სიცოცხლეშივე – 2002 წლის 27 დეკემბერს ო. ბ-ის სახელზე გაცემული რწმუნებულებით გამოხატა ნება განქორწინების მოწმობის აღების თაობაზე; ხოლო თავად ო. ბ-მა მინდობილობის საფუძველზე იმავე დღესვე მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს განქორწინების მოწმობის აღების მიზნით. რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2002 წლის 28 დეკემბრის თარიღით, მაშინ როდესაც ვ. კ-ა ცოცხალი იყო, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მე-2 განყოფილებაში წარსადგენად გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, განქორწინების მოწმობის მისაღებად. შესაბამისად, სახეზე გვაქვს ვ. კ-ს სიცოცხლეში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განქორწინების მოწმობის აღების მიზნით. აქედან გამომდინარე, ო. ბ-ი უფლებამოსილი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გაეგრძელებინა დავალაშქვებული მოქმედების შესრულება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ გარდა იმისა, რომ არ იმსჯელა სარჩელის მატერიალურ დასაშვებობაზე, ასევე, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო სამართალურთიერთობას და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და
დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. ო. ბ-ისა და ლ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება

ბანკინება

№ბს-1775-1743(კ-11)

16 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს შს სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა – ლ. ყ-მა მოპასუხის შპს „...ას“ მიმართ. მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 10 161,30 ლარის დაკისრებას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე საქართველოს შს სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად; მოპასუხე შპს „...ას“ საქართველოს შს სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა 10161,30 ლარი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...ამ“.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით შპს „...ას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შს სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 20 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა (შემდგომში „დაცვა“) და შპს „...“-ის შორის, მისი დირექტორის რ. ზ-ას სახით დაიდო ხელშეკრულება №4245, რომლის თანახმად „დაცვა“ უზრუნველყოფდა დამკვეთის შპს „...“-ის დირექტორის რ. ზ-ას პირად დაცვას (1.1. პუნქტი), ხოლო დამკვეთი იღებდა ვალდებულებას გადაეხადა დაცვის მომსახურების ღირებულება (1.2. პუნქტი), რაც შეადგენდა თვეში 1000 ლარს დღგ-ს ჩათვლით (3.1. პუნქტი).

ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდებოდა ყოველი თვის ბოლოს (3.2. პუნქტი). ხელშეკრულება დაიდო ერთი წლის ვადით და ძალაში შედიოდა პოლიციელის დანიშვნის დღიდან (6.1. პუნქტი).

2.3. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას „დამკვეთი“ ვალდებული იყო ათი დღით ადრე წერილობითი ფორმით ეცნობებინა გადაწყვეტილების შესახებ დაცვის სამსახურისთვის (6.2. პუნქტი), ხოლო „დაცვა“ უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება, „დამკვეთი“-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში (6.3. პუნქტი).

ხელშეკრულების 7.2. პუნქტით სადავო საკითხები მხარეებს უნდა გადაეწყვიტათ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა სათანადო პირების მიერ და დადასტურებული იქნა შესაბამისი ბეჭდებით.

2008 წლის 27 აგვისტოს, შპს „...ის“ დაცვის ინსპექტორმა გ. ჭ-ემ მიმართა დაცვის პოლიციის დეპარტამენტს პატაკით და მოითხოვა შპს „...ის“ დირექტორის პირადი დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე გამწესება.

2008 წლის 27 აგვისტოს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანებით გ. ჭ-ე დაინიშნა შპს „...ს“ დირექტორის რ. ზ-ას პირადი დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე.

სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ხელშეკრულების დადების მიუხედავად არ მომხდარა დაცვის პოლიციის მიერ თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, მართალია გამოცემულ იქნა ბრძანება ინსპექტორის დანიშვნაზე, თუმცა აღნიშნული ბრძანება არ გაცნობია კანონით დადგენილი წესით შესაბამის პირს და ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

წლის ბოლოს ერთობლივად გადაგზავნილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები მთელი საგადასახადო წლის პერიოდისათვის და მოთხოვნილ იქნა თანხის გადახდა, თუმცა ანგარიშ-ფაქტურებზე არ არის მიმღების ხელმოწერა.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების დადებიდან მთელი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა შპს „...“-ის დირექტორის პირადი დაცვა.

მონძე გ. ჭ-ეის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, იგი დანიშნული იყო რ. ზ-ას პირად მცველად, მაგრამ ვერ განახორციელა მასზე დაკისრებული დაცვის ფუნქციები, ვინაიდან მისი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად მას არ მიეცა საშუალება გაეველო სპეციალური მომზადების სწავლება, არ გადაეცა პირადი იარაღი და შესაბამისად არც ხელფასი არ ერიცხებოდა.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ როგორც შპს „...“-ის დირექტორს, ისე გ. ჭ-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის მთავარი სამმართველოს პირადი დაცვის განყოფილების დაქვემდებარებული ქვედანაყოფის შპს „...“-ის დირექტორის პირადი დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებები არ ჩაბარებიათ.

ხელშეკრულების 4.1.4. პუნქტის შესაბამისად დაცვა უნდა განხორციელებულიყო იარაღით ან იარაღის გარეშე. არც ბრძანებით დაცვის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ და არც სხვა დოკუმენტით მხარეთა შორის კონკრეტულად არ განსაზღვრულა დაცვის ფორმა როგორი იქნებოდა, შესაბამისად მოიაზრება, რომ დაცვის ორივე ფორმა საჭიროებისამებრ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

დადგენილია, რომ გ. ჭ-ს სპეციალური მომზადება იარაღით დაცვასთან დაკავშირებით არ გაუვლია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 20 აგვისტოს დადებული №4245 ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ არ შესრულებულა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე და განმარტა, რომ წინამდებარე საქმის მასალების მიხედვით არ დგინდება მხარეთა შორის 2008 წლის 20 აგვისტოს დადებული №4245, ხელშეკრულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება. კერძოდ: არ დგინდება, რომ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე „დამკვეთს“ შპს „...“-ს (ამჟამად, „...ს“) ეკისრებოდა ვალდებულება „დაცვის“ მიმართ №4245 ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდის თაობაზე.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული გ. ჭ-ეის განმარტებით, იგი დანიშნული იყო რ. ზ-ას პირად მცველად, მაგრამ ვერ განახორციელა მასზე დაკისრებული დაცვის ფუნქციები, მისთვის არ ყოფილა ცნობილი მოსარჩელის მიერ გამოცემული ბრძანება მის პირად მცველად დანიშვნის შესახებ, აღნიშნული ბრძანება არ გაცნობია არც დამკვეთს – შპს „...“-ს, გ. ჭ-ე არ დატოვებულა ხელფასს, მას არ გაუვლია სათანადო მომზადება, ხელშეკრულებით დაცვა გულისხმობდა როგორც იარაღით, ისე უიარაღოდ დაცვის განხორციელებას, იარაღით დაცვის სპეციალური მომზადება და დანიშნულ დაცვის ინსპექტორს არ გაუვლია.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2008 წლის 27 აგვისტოს ბრძანება გ. ჭ-ეის პირადი დაცვის ინსპექტორად დანიშვნის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და შესაბამისად მისი გაცნობა დანიშნული პირისთვის უნდა განხორციელებულიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე-58-ე მუხლებით დადგენილი წესით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით, გ. ჭ-ე უფლებამოსილი იყო ბრძანებით დავალებული უფლება-მოვალეობები განეხორციელებინა მხოლოდ ბრძანების მისთვის გადაცემისა და გაცნობის მომენტიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შს სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე შპს „...ს“ მოსარ-

ჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა 10161,30 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის 2008 წლის 28.10. №... ბრძანებით დაცვის პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის პოლიციის სამმართველოში იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესების მოსამზადებელი სპეციალური კურსის გასავლელად, 2008 წლის 3 ნოემბრიდან 2008 წლის 6 ნოემბრამდე, პირადი დაცვის განყოფილებიდან გაგზავნილ იქნა გ. მ-ის ძე ჭ-ე, რომლის თაობაზეც ადრესატს ეცნობა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის №384 ტელეფონოგრამით.

საქმეში წარმოდგენილი ხელფასის დარიცხვის ბარათის თანახმად, სადავო პერიოდში, გ. ჭ-ეს პირად ანგარიშზე, შპს „...“-ის დირექტორის რ. ზ-ს პირადი დაცვისათვის, დარიცხული აქვს შესაბამისი ხელფასი.

სააპელაციო სასამართლომ შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ცნობის თანახმად დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“-ს 2009 წლის 13 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის ივნისის ჩათვლით, დაცვის მომსახურების ღირებულების სახით, ერიცხება 10161,30 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელთა თანახმად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით არ დგინდება მხარეთა შორის 2008 წლის 20 აგვისტოს დადებული №4245 ხელშეკრულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება, კერძოდ, არ დგინდება, რომ ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე „დამკვეთს“ – შპს „...“-ს (ამჟამად, „...“) ეკისრებოდა ვალდებულება „დაცვის“ მიმართ №4245 ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 20 აგვისტოს საქართველოს შსს სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს „...“-ს შორის გაფორმებულ იქნა №4245 ხელშეკრულება მისი დირექტორის რ. ზ-ას პირადი დაცვის შესახებ. დადგენილია, რომ გ. მ-ის ძე ჭ-ე შპს „...“-ის დირექტორის რ. ზ-ას პირადი დაცვის ინჟექტორის თანამდებობაზე დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2008 წლის 27 აგვისტოს №... ბრძანების საფუძველზე, რის საფუძველზეც მომზადდა ფულადი ატესტატი №62. შემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის პოლიციელის დანიშვნის დღიდან. მოცემულ შემთხვევაში 2008 წლის 27 აგვისტოს №... ბრძანების შესაბამისად გ. ჭ-ე დაინიშნა რა შპს „...“-ის დირექტორის რ. ზ-ას პირადი დაცვის ინჟექტორის თანამდებობაზე, ხელშეკრულება ძალაში შევიდა და მხარეებს დაეკისრათ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ გ. ჭ-ს არ მიეცა საშუალება გაეველო იარაღის სპეც-მომზადების კურსები, რის გამოც ვერ განხორციელა მასზე დაკისრებული დაცვის ფუნქციები. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა მიუთითებს ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1.4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც დაცვა შეიძლებოდა განხორციელებულიყო, როგორც ცეცხლსასროლი იარაღით, ასევე მის გარეშე. შესაბამისად, სასამართლოს მითითება აღნიშნულ გარემოებაზე მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. ამასთან, სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შსს მინისტრის მოადგილის 2008 წლის 28 ოქტომბრის №... ბრძანებით გ. მ-ის ძე ჭ-ე. გაგზავნილ იქნა იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესების მოსამზადებელი სპეციალური კურსის გასავლელად 2008 წლის 3 ნოემბრიდან 2008 წლის 6 ნოემბრამდე, რის თაობაზეც მას ეცნობა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის №384 ტელეფონოგრამით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2.4 პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც „დამკვეთი“ ვალდებულია „დაცვის“ თანამშრომლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით დაცვის პოლიციის დეპარტამენტს. პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ ხორციელდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რ. ზ-ს პირადი დაცვა, „დამკვეთი“ ვალდებული იყო აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა წერილობითი ფორმით „დაცვისათვის“. მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არ იყო იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ არ განხორციელდა დაცვა და მან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ შეატყობინა დაცვის პოლიციის დეპარტამენტს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია დაცვის განუხორციელებლობის ფაქტი.

დადგენილი გარემოების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 20 აგვისტოს დადებული №4245 ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ არ შესრულებულა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა სრულყოფილად, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს არ აუწაზღაურებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება კი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...ამ“.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაცვის პოლიციის მიერ ნაკისრი ვალდებულება საერთოდ არ შესრულებულა. ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო ინსპექტორის დანიშვნის დღიდან, აღნიშნული მოქმედება პოლიციის მიერ არ განხორციელებულა, შესაბამისად მისი აზრით, შპს „...-ს“ არ შეიძლება დაეკისროს თანხის გადახდა, რადგან მას რეალურად ხელშეკრულების ხელმოწერის მიუხედავად არ მიუღია მომსახურება.

კასატორმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მისთვის კანონით დადგენილი წესით არ გაუგზავნია ადმინისტრაციული აქტი, ინსპექტორის დანიშვნის შესახებ. შესაბამისად შპს „...-ს“ არ შეიძლება და სცოდნოდა ინსპექტორის დანიშვნისა და ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ტელეფონგრამის მტკიცებულებად მიიჩნევა სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, მასში მითითებულია, რომ ბრძანებით გათვალისწინებული პირები დაბარებულები უნდა იყვნენ იარაღის შემსწავლელ კურსებზე და უფლებამოსილ პირებს უნდა უზრუნველყოთ მათთვის ამ ინფორმაციის მიწოდება და შეტყობინება, თუმცა აღნიშნული მოქმედება არ განხორციელებულა. მისი აზრით, მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ჭ-ეის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებას, რომელიც დაკავშირებული იყო პირადი დაცვის განხორციელებასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...ამ“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის არასწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რაც იძლევა საქმის გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით დადგენილ საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთებას. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, იმ პირობებში თუ სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვალდებულია მიუთითოს იმ გარემოებებზე, რაც გამორიცხავს მათი გაზიარების შესაძლებლობას და წარმოადგინოს სათანადო მოტივაცია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების მიუხედავად არ მომხდარა დაცვის პოლიციის მიერ თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, მართალია, გამოიცა ბრძანება ინსპექტორის დანიშვნის თაობაზე, მაგრამ აღნიშნული ბრძანება არ გასცნობია კანონით დადგენილი წესით შესაბამის პირს და ფაქტობრივად არ აღსრულებულა.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების დადებიდან მთელი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა შპს „...ამ“ დირექტორის პირადი დაცვა;

მონმე გ. ჭ-ეის ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგენილად მიჩნეული, რომ მას დაცვითი საქმიანობა არ უწარმოებია.

პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ფაქტს იმის თაობაზე, რომ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია სრულყოფილად და ხელშეკრულება შესულია ძალაში. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომელიც უარყოფს ან გააქარწყლებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია ძირითადად მიმართულია იმ მოსაზრებისაკენ, რომ სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ მიერ დანიშნული იყო დაცვის თანამშრომელი, თუმცა წარმოდგენილი არ არის არგუმენტაცია იმის შესახებ, ცნობილი იყო თუ არა აღნიშნულის თაობაზე კასატორისათვის და რეალურად განხორციელდა თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოების დადგენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაცვის გადაწყვეტის პროცესში, ვინაიდან როგორც საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან იკვეთება, სახეზეა ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რა შემთხვევაშიც ყურადღება უნდა მიექცეს თავად ორმხრივი ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას.

როგორც ცნობილია, ორმხრივი ხელშეკრულების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ამ ტიპის ხელშეკრულებაში თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც, ე.ი. ორმხრივ ხელშეკრულებაში შესასრულებელი ვალდებულებების ობიექტები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს შემხვედრი ვალდებულების შესრულების ზოგად წესს და განსაზღვრავს, რომ შემხვედრია ისეთი შესრულება, რომელიც ვალდებულმა მხარემ უნდა განახორციელოს კონტრაგენტისაგან შესრულების მიღების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმის ძირითადი მიზანია შემხვედრი შესრულების უფლების მქონე სუბიექტისათვის ვალდებულების შესრულებაზე თავის შეკავების ანდა საერთოდ შესრულებაზე უარის თქმის უფლების მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაგენტი არ ასრულებს საპასუხო შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა მომსახურების ხელშეკრულება (წარდობა), რა დროსაც, როგორც წესი, ჯერ ხდება სამუშაოს შესრულება, ხოლო შემდგომ – გადახდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ორმხრივი ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მომთხოვნი მხარის მიერ შესრულებულია თავისი ვალდებულება, ან მინიმუმ ეს უკანასკნელი შეუდგა თავისი ვალდებულების შესრულებას.

მითითებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არასაკმარისად მოტივირებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მითითებას პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან დაცვის თანამშრომლის დანიშვნის თაობაზე, ვინაიდან მოთხოვნის დასაბუთებულობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემოებას, დაინერა თუ არა ბრძანება დაცვის განხორციელების თაობაზე, არამედ იმას, ცნობილი იყო თუ არა აღნიშნულის თაობაზე კასატორისათვის, გაიგზავნა თუ არა თანამშრომელი დასაცავ ობიექტზე და რეალურად განხორციელდა თუ არა მომსახურება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ მისი ქმედება არ იყო ხელშეკრულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება და ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებული არ იყო მის აქტიურობაზე.

საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს დაცვის პოლიციასა და მის თანამშრომელს შორის არსებული ურთიერთვალდებულებების წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღრევას და თვლის, რომ საქმე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, რაც შესაძლებელს გახდის დადგინდეს არსებობს თუ არა ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის მოთხოვნის უფლება, უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „...ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების წესი

ბანკინება

№ბს-566-556(კ-12)

28 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრში იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 25 ივლისს ს/კ „ფ-მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, 2011 წლის 28 მარტს ს/კ „ფ-მა“ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნით. განცხადებას თან ერთვოდა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები: 1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 3. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; 4. იჯარის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იჯარის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად წარდგენილ იქნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ფართზე. ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელეს სამსახურებრივი საქმიანობისათვის ოფისის განსათავსებლად გადაეცა შენობის მე-2 სართულზე მდებარე ფართის ნაწილი, ცამეტი სამუშაო ოთახის სახით, ხოლო სხდომათა დარბაზი და კინოსაპროექციო ოთახი ნილობრივი სარგებლობით. საიჯარო ქირად განისაზღვრა 2000 აშშ დოლარი წელიწადში, ყოველთვიურად – 166,6 აშშ დოლარის გადახდით. ხელშეკრულების მე-4 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 1996 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. ხოლო ხელშეკრულების მე-5 მუხლით განისაზღვრა, რომ თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე „ინსტიტუტი“ არ აცნობებდა „დამქირავებელს“ ვადის გაგრძელების ან ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდებოდა იმავე ვადით. ინსტიტუტს ასეთი შეტყობინებით მოსარჩელისათვის არ მიუმართავს, შესაბამისად, ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდა 2016 წლის პირველ იანვრამდე. აღნიშნულ ფართზე აიპ „ფ-ი“ დღემდე ფუნქციონირებს.

მოსარჩელის განმარტებით, სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ მოტივით, რომ ფ-ს დამატებით უნდა წარედგინა უძრავი ნივთის მონაცემები და დამატებითი ხელშეკრულება ვადასთან დაკავშირებით. 2011 წლის 11 აპრილს წარდგენილ იქნა შესაბამისი სარეგისტრაციო ამონაწერები. განცხადებაში განმარტებულ იქნა, რომ „ფ-ს“ გააჩნდა სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთის სარეგისტრაციო კოდი №..., რომლის მიხედვითაც საჯარო რეესტრის ამონაწერში არ ფიგურირებდა აღნიშნული ფართი. ამასთან, მოპოვებულ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერები, სადაც ფართი საჯაროდ გაყოფილი იყო ორ ნაწილად და მათი საკადასტრო კოდები იყო №... და №... . მითითებული ამონაწერები წარდგენილ იქნა განცხადებასთან ერთად. დამატებით, განცხადებაში განმარტებულ იქნა, რომ ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდა მისი მე-5 მუხლით, რაც დასტურდებოდა საიჯარო ქირის გადახდის ქვითრებით, რომლებიც აგრეთვე წარდგენილ იქნა განცხადებასთან ერთად. საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა ქვითრები არ დაიტოვა, რადგან მისი განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედებისათვის საკმარისი იყო მე-5 მუხლის მითითებები. 2011 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო სამსახურმა შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება იმ მოტივით, რომ არ იქნა წარდგენილი ძალაში მყოფი ხელშეკრულება და აგრეთვე იჯარის საგნის საკადასტრო მონაცემები. აღნიშნული გადაწყვეტილება „ფ-მა“ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთო საიჯარო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები 2010-2011 წლებისათვის თვეების მიხედვით. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2011 წლის 25 მაისს №... გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული საჩივარი იმ მოტივით, რომ გარიგების ვადის გაგრძელების დოკუმენტი არ იყო წარდგენილი და წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციით ვერ ხდებოდა უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია, რომლის თაობაზეც მოთხოვნილ იქნა იჯარის ხელშეკრულება.

მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციული აქტები ეწინააღმდეგებოდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონს. სადავო ადმინისტრაციული აქტები არ შეიცავდნენ ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, თუ რატომ ეთქვა უარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ისეთ ვითარებაში, როდესაც: ა) წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერები შესაბამისი საკადასტრო კოდებით; ბ) მითითებული იქნა სარეგისტრაციოდ წარდგენილი ხელშეკრულების მე-5 მუხლზე, როგორც ამ ხელშეკრულების გაგრძელების პირობაზე; გ) ჯერ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, ხოლო შემდგომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ 2010-2011 წლებში „ფ-ზე“ გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერები საიჯარო ქირის გადახდის შესახებ, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა ხელშეკრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის დემოგრაფიისა და სოციოლოგიურ კვლევის ინ-

სტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციის დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით აიპ „ფ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის დროებით იჯარით გაქირავების შესახებ. ხელშეკრულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ინსტიტუტი კისრულობდა ვალდებულებას „დამქირავებლისათვის“ სამსახურეობრივი საჭიროებისათვის ოფისის განსათავსებლად, თავის გამგებლობაში და ბალანსზე რიცხული საერთო ფართიდან მიექირავებინა (გადაეცა იჯარით დროებით სარგებლობაში) ქ. თბილისში, ...-ის რაიონში, ...-ის მოედანზე, პ-ის ქ. №5-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული ფართის ნაწილი, ცამეტი სამუშაო ოთახის სახით, ხოლო სხდომათა დარბაზი და კინოსაპროექციო ოთახი ინსტიტუტთან ნილობრივი სარგებლობით, სულ ფართი შეადგენდა – 435 კვ.მ. ხელშეკრულების მოქმედების ვადად ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად განისაზღვრა 1996 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე ინსტიტუტი არ აცნობებდა დამქირავებელს ვადის გაგრძელების ან ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდებოდა იმავე ვადით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2011 წლის 28 მარტს ს/კ „ფ-მა“ განცხადებით მიმართა სსიპ საიჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და ქ. თბილისში, ...-ის ქ. №5/7-ში, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ნივთზე (425.3 კვ.მ) იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია მოითხოვა. სსიპ საიჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს განემარტა, რომ დამატებით წარსადგენი იყო სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები, ასევე მითითა, რომ წარდგენილი ხელშეკრულება ვადაგასული იყო და განმცხადებელს დამატებით უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულება ვადასთან დაკავშირებით.

სსიპ საიჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია. კერძოდ, არ იქნა წარდგენილი ძალაში მყოფი ხელშეკრულება, ასევე იჯარის საგნის საკადასტრო მონაცემები. სსიპ საიჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა ს/კ „ფ-ის“ მიერ. სსიპ საიჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილებით ს/კ „ფ-ის“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია ის გარემოება, რომ განმცხადებელმა მარეგისტრირებელ ორგანოს ვერ წარუდგინა იმ უძრავი ქონების ზუსტი მონაცემები (მათ შორის, საკადასტრო მონაცემები), რომელზეც ითხოვდა საიჯარო ხელშეკრულების უფლების რეგისტრაციას. ს/კ „ფ-მა“ მოითხოვა ქ. თბილისში, ...-ის ქ. №5/7-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე, 425 კვ.მ ფართზე იჯარის უფლების რეგისტრაცია. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ს/კ „ფ-მა“ მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინა 2008 წლის 7 მაისის ამონაწერი საიჯარო რეესტრიდან: საკადასტრო კოდი №..., მისამართი: ქ. თბილისი, ...-ის ქ. №5, მე-2 სართული, მესაკუთრე – შპს „უ-ა“, ფართი – 125.04 კვ.მ. ასევე წარდგენილ იქნა 2008 წლის 8 მაისის ამონაწერი: საკადასტრო კოდი №..., მისამართი: ქ. თბილისი, ...-ის ქ. №7, მე-2 სართული, მესაკუთრე – შპს „უ-ა“, ფართი – 201.25 კვ.მ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, დღეის მდგომარეობით უცნობი იყო თუ ვინ წარმოადგენდა სადავო ქონების მესაკუთრეს, ასევე არ დასტურდებოდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტს რა უფლება ჰქონდა ამ ქონებასთან მიმართებაში ან ვინ იყო მისი უფლებამონაცვლე. სარჩელზე თანდართული 2011 წლის 27 ივნისის №11 საგადასახადო დავალების თანახმად, იჯარის 2 თვის გადასახადი (აპრილი და მაისი) სახალხო ფრონტის მიერ უკვე შეტანილი იყო ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენდა სსიპ საიჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილება, რომლითაც შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და განმცხადებელს მიეცა ვადა სარეგისტრაციო უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებისა და დამატებითი ხელშეკრულების წარსადგენად. მხარემ სადავო გახადა მარეგისტრირებელი ორგანოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის/ინფორმაციის წარუდგენლობის საფუძველზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საიჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებდა გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იყო წარდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი. „საიჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაცია იყო ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით გან-

საზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის ფონდის საზღვრის დადგენის და მასში ცვლილებების შეტანის, ასევე ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი იყო უძრავ ნივთებზე უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელს – ს/კ „საქართველოს სახალხო ფრონტს“ დაევალა: 1) სარეგისტრაციო წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების და 2) დამატებითი ხელშეკრულების წარდგენა. განმცხადებლის მითითებით, სადავო უძრავი ნივთის შესაკუთრისა და საკადასტრო კოდის შესახებ ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციას წარმოადგენდა და მისთვის უცნობი იყო, დღეის მდგომარეობით ვინ წარმოადგენდა ნივთის მესაკუთრეს. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე ინსტიტუტი არ აცნობებდა დამქირავებელს ვადის გაგრძელების ან ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდებოდა იმავე ვადით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-5 მუხლზე მითითებით არ აღმოფხვრილა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების რომელიმე საფუძველი. ხელშეკრულების მე-5 პუნქტით მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობა. თუმცა, სარეგისტრაციო წარმოების დროს განმცხადებელმა ვერ წარუდგინა მარეგისტრირებელ ორგანოს იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა არ შეცვლილა და ხელშეკრულების მე-5 პუნქტის საფუძველზე ხელშეკრულება მოქმედებდა განცხადების წარდგენის დროისათვის. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელისათვის უცნობი იყო დღეის მდგომარეობით ვინ წარმოადგენდა უძრავი ქონების მესაკუთრეს, აღნიშნული კი ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ უდავო უფლებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მარეგისტრირებელ ორგანოში არ წარდგენილა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით განსაზღვრული შეჩერების საფუძველი განმცხადებლის მიერ არ აღმოფხვრილა. ამდენად, სადავო აქტები მიღებული იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა – მოპასუხისათვის იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაციის დავალდებულების შესახებ გამომდინარეობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნიდან, ამდენად, არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აიპ „ფ-მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინებით აიპ „ფ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები და დამატებით განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებოდა ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს შეეძლოთ კანონის ფარგლებში თავისუფლად დაედოთ ხელშეკრულებები და განესაზღვრათ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ იყვნენ უფლებამოსილნი დაედოთ ხელშეკრულება, განესაზღვრათ მისი არსებითი პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ა.შ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე „ინსტიტუტი“ არ აცნობებდა „დამქირავებელს“ ვადის გაგრძელების ან ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდებოდა იმავე ვადით. თუმცა, სააპელაციო სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ ამ დათქმას ძალა ექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულების ვადის ამონაწერის შემდეგ სადავო უძრავი ქონება ისევ იქნებოდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ბალანზე ან/და საკუთრებაში და იგი არ მოითხოვდა (არ აცნობებდა) ს/კ „ფ-ს“ ფართის გამოთავისუფლების თაობაზე. ბუნებრივია, რომ თუ ხელშეკრულების დასრულების შემდეგ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ბალანზე ან/და საკუთრებაში აღარ იქნებოდა იჯარით გადაცემული სადავო ქონება, მაშინ ეს ინსტიტუტი ვეღარ იქნებოდა ხელშეკრულების მხარე და მასთან ვერც ავტომატურად და ვერც თუნდაც პირდაპირი გზით ვეღარ გაგრძელებოდა იჯარის ხელშეკრულების ვადა. შეუძლებელი იყო დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულიყო იმავე ხელშეკრულების მე-5 პუნქტის საფუძველზე, თუ ხელშეკრულების ვადის ამონაწერის დროისათვის ან მას შემდეგ სადავო უძრავი ქონება აღარ იმყოფებოდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ბალანზე ან/და საკუთრებაში და მას აღარ ჰქონდა ამ ქონების იჯარის გაცემის უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით და თვით აპელანტის ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ 2008 წლისათვის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე იყო შპს „უ-ა“. ამდენად, უდავოდ დადგენილი იყო ის გარემოება, რომ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების ვადის ამონაწერის პერიოდისათვის სადავო უძრავი ქონება უკვე აღარ ირიცხებოდა ინსტიტუტის ბალანზე, რასაც არც აპელანტი უარყოფდა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მიჩნეულიყო გაგრძელებულად იმავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე და მით უფრო, დაუშვებელი იყო საჯარო რეესტრისათვის საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დავალდებულება, თუ ბუნებაში არ არსებობდა ასეთი საიჯარო ხელშეკრულება, ხოლო წარდგენილ საიჯარო ხელშეკრულებას უკვე ვადა ჰქონდა გასული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით განმცხადებელს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით დაევადა დადგენილ ვადაში წარედგინა დამატებითი ხელშეკრულება ვადასთან დაკავშირებით, ვინაიდან, წარდგენილი ხელშეკრულება უკვე ვადაგასული იყო, ხოლო ვინაიდან დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტი, განმცხადებელს სწორად ეთქვა უარი იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აიპ „ფ-მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, 2011 წლის 28 მარტს ს/კ „ფ-მა“ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნით. განცხადებას თან ერთვოდა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები: 1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; 2. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 3. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი; 4. იჯარის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იჯარის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად წარდგენილ იქნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსა და ს/კ „ფ-ს“ შორის 1995 წლის 25 დეკემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულება ქ. თბილისში, ...-ის ქ. №5-ში მდებარე ფართზე. ხელშეკრულების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელეს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის ოფისის განსათავსებლად გადაეცა შენობის მე-2 სართულზე მდებარე ფართის ნაწილი, ცამეტი სამუშაო ოთახის სახით, ხოლო სხდომათა დარბაზი და კინოსაპროექციო ოთახი წილობრივი სარგებლობით. საიჯარო ქირად განისაზღვრა 2000 აშშ დოლარი წელიწადში, ყოველთვიურად 166,6 აშშ დოლარის გადახდით. ხელშეკრულების მე-4 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 1996 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. ხოლო ხელშეკრულების მე-5 მუხლით განისაზღვრა, რომ თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე „ინსტიტუტი“ არ აცნობებდა „დამქირავებელს“ ვადის გაგრძელების ან ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელებოდა იმავე ვადით. ინსტიტუტს ასეთი შეტყობინებით მოსარჩელისათვის არ მიუმართავს, შესაბამისად, ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდა 2016 წლის პირველ იანვრამდე. აღნიშნულ ფართზე აიპ „ფ-ი“ დღემდე ფუნქციონირებს.

კასატორის განმარტებით, სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ მოტივით, რომ ფ-ს დამატებით უნდა წარედგინა უძრავი ნივთის მონაცემები და დამატებითი ხელშეკრულება ვადასთან დაკავშირებით. 2011 წლის 11 აპრილს წარდგენილ იქნა შესაბამისი სარეგისტრაციო ამონაწერები. განცხადებაში განმარტებულ იქნა, რომ „ფ-ს“ გააჩნდა სარეგისტრაციო წარდგენილი უძრავი ნივთის სარეგისტრაციო კოდი №..., რომლის მიხედვითაც საჯარო რეესტრის ამონაწერში არ ფიგურირებდა აღნიშნული ფართი. ამასთან, მოპოვებულ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერები, სადაც ფართი სავარაუდოდ გაყოფილი იყო ორ ნაწილად და მათი საკადასტრო კოდები იყო №... და №... . მითითებული ამონაწერები წარდგენილ იქნა განცხადებასთან ერთად. დამატებით, განცხადებაში განმარტებულ იქნა, რომ ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდა მისი მე-5 მუხლით, რაც დასტურდებოდა საიჯარო ქირის გადახდის ქვითრებით, რომლებიც აგრეთვე წარდგენილ იქნა განცხადებასთან ერთად. საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა ქვითრები არ დაიტოვა, რადგან მისი განმარტებით, ხელშეკრულების მოქმედებისათვის საკმარისი იყო მე-5 მუხლის მითითებები. 2011 წლის 11 მაისის

№... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო სამსახურმა შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება იმ მოტივით, რომ არ იქნა წარდგენილი ძალაში მყოფი ხელშეკრულება და აგრეთვე იჯარის საგნის საკადასტრო მონაცემები. აღნიშნული გადაწყვეტილება „ფ-მა“ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთო საიჯარო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები 2010-2011 წლებისათვის თვეების მიხედვით. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2011 წლის 25 მაისს №... გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული საჩივარი იმ მოტივით, რომ გარიგების ვადის გაგრძელების დოკუმენტი არ იყო წარდგენილი და წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციით ვერ ხდებოდა უძრავი ნივთის იდენტიფიკაცია, რომლის თაობაზე მოთხოვნილ იქნა იჯარის ხელშეკრულება.

კასატორის მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციული აქტები ეწინააღმდეგებოდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონს. სადავო ადმინისტრაციული აქტები არ შეიცავდნენ ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, თუ რატომ ეთქვა უარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ისეთ ვითარებაში, როდესაც: ა) წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერები შესაბამისი საკადასტრო კოდებით; ბ) მითითებული იქნა სარეგისტრაციოდ წარდგენილი ხელშეკრულების მე-5 მუხლზე, როგორც ამ ხელშეკრულების გაგრძელების პირობაზე; გ) ჯერ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, ხოლო შემდგომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ 2010-2011 წლებში „ფ-ზე“ გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერები საიჯარო ქირის გადახდის შესახებ, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა ხელშეკრულებას.

კასატორის მითითებით, მის მიერ წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებით ნათლად იყო დადასტურებული ის ფაქტი, რომ უძრავი ქონების მესაკუთრე 2008 წლიდან იყო შპს „უ-ა“, ხოლო რაც შეეხებოდა დემოგრაფიის ინსტიტუტს, მისი უფლება ფართზე დასტურდებოდა ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 25 მარტის №... განკარგულებით, აღნიშნული განკარგულება დღემდე ძალაში იყო.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოებს არ შეუფასებიათ ინსტიტუტის მიერ გაცემული საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი სალარო შემოსავლის ორდერები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 2010-2011 წლებში ფართი ინსტიტუტის ბალანსზე იმყოფებოდა.

კასატორის მითითებით, სასამართლოებმა საერთოდ არ იმსჯელეს აკმაყოფილება თუ არა განმცხადებლის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი დოკუმენტაცია სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სადავო აქტის მოთხოვნებს. კასატორის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი იქნა საკმარისი დოკუმენტები და მიეთითა სარეგისტრაციოდ წარდგენილი ხელშეკრულების მე-5 მუხლზე. შესაბამისად, სასამართლომ თავი აარიდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების (წარდგენილი ამონაწერები, საიჯარო ქირის გადახდის ქვითრები) განხილვას, რითაც დარღვეულ იქნა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული აიპ „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი აიპ „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 7 თებერვალს 12:00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის საოქმო განჩინებით აიპ „ფ-ის“ საკასაციო საჩივრის განხილვა გადაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს საპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 25 მარტის №... განკარგულებით ფ-ის თხოვნა დაკმაყოფილდა და ფ-ს სამუშაო ფართად იჯარით გადაეცა ქ. თბილისში, ...-ის ქ. №5/7-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართული. ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 1992 წლის 15 აპრილს ქ. თბილისის მერიის საბინაო მეურნეობის სამმართველოს არასაცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა-განაწილების სამმართველოს მიერ გაიცა №1818 ორდერი.

1995 წლის 25 ოქტომბერს პოლიტიკურმა გაერთიანება „ფ-მა“ მის სარგებლობაში არსებული ფართი ხელშეკრულებით სარგებლობაში გადასცა საზოგადოებრივ კავშირ „ფ-ს“, რომელმაც თავის მხრივ იჯარის ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტთან. ხელშეკრულების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ინსტიტუტი კისრულობდა ვალდებულებას „დამქირავებლისათვის“ სამსახურებრივი საჭიროებისათვის ოფისის განსათავსებლად, თავის გამგებლობაში და ბალანსზე რიცხული საერთო ფართიდან მიექირავებინა (გადაეცა იჯარით დროებით სარგებლობაში) ქ. თბილისში, ...-ის რაიონში, ...-ის მოედანზე, ...-ის ქ. №5-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული ფართის ნაწილი, ცამეტი სამუშაო ოთახის სა-

ხით, ხოლო სხდომათა დარბაზი და კინოსაპროექციო ოთახი ინსტიტუტთან ნილობრივი სარგებლობით, სულ ფართი შეადგენდა 435 კვ.მ-ს. ხელშეკრულების მოქმედების ვადად ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად განისაზღვრა 1996 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე ინსტიტუტი არ აცნობებდა დამქირავებელს ვადის გაგრძელების ან ფართის გამოთავისუფლების თაობაზე, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდებოდა იმავე ვადით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2011 წლის 28 მარტს ს/კ „ფ-მა“ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და ქ. თბილისში, ...-ის ქ. №5/7-ში, მე-2 სართულზე მდებარე უძრავ ნივთზე (425.3 კვ.მ) იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია მოითხოვა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს განემარტა, რომ დამატებით წარსადგენი იყო სარეგისტრაციოდ წარდგენილი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები, ასევე მიეთითა, რომ წარდგენილი ხელშეკრულება ვადაგასული იყო და განმცხადებელს დამატებით უნდა მიენოვებინა ხელშეკრულება ვადასთან დაკავშირებით. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ს/კ „ფ-მა“ მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინა 2008 წლის 7 მაისის საჯარო რეესტრის ამონაწერი და მიუთითა იჯარის ხელშეკრულების მე-5 პუნქტზე, როგორც ამ ხელშეკრულების გაგრძელების პირობაზე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია. კერძოდ, არ იქნა წარდგენილი ძალაში მყოფი ხელშეკრულება, ასევე იჯარის საგნის საკადასტრო მონაცემები. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა ს/კ „საქართველოს სახალხო ფრონტის“ მიერ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 25 მაისის №80176 გადაწყვეტილებით ს/კ „საქართველოს სახალხო ფრონტის“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ს/კ „საქართველოს სახალხო ფრონტის“ მიერ სარეგისტრაციო სამსახურში განცხადების წარდგენის, ისევე როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრისა და საკადასტრო კოდის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა სასამართლოს წარმოუდგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 14 სექტემბრის №... წერილი, რომლის თანახმადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2012 წლის 13 სექტემბრის წერილის შესაბამისად, განხორციელდა ქ. თბილისში, ...-ის ქ. №7-ში მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით №...) განსაიდუმლოება. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ამჟამად ქ. თბილისში, ...-ის ქ. №7-ში მდებარე 340.55 კვ.მ ფართის თანამესაკუთრებს წარმოადგენენ – სახელმწიფო (139.30 კვ.მ) და ააიპ „თ. ფ-ი“ (201.25 კვ.მ). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება საქმისათვის არსებითად ახალ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია წარმოადგენს, შესაბამისად, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე წამდვილად იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი და რომლის კანონიერ ინტერესზე და უფლებაზე პირდაპირ და უშუალო გავლენას იქონიებს სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე საქმეში უნდა ჩააბას სავალდებულო მინვევის მესამე პირად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თავად ჩააბას საქმეში სავალდებულო მინვევის მესამე პირი, მაგრამ მხოლოდ მისი თანხმობით და იმ შემთხვევაში, თუ მხარე სადავოდ არ ხდის ფაქტობრივ გარემოებებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები, მოცემულ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის კი არსებითი მნიშვნელობა სწორედ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნულ გარემოებებთან მიმართებაში (იჯარის ხელშეკრულების ვადის ავტომატურ გაგრძელებასთან მიმართებაში) მხარეების, მათ შორის სადავო უძრავი ქონების მესაკუთრის პოზიციას ენიჭება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის (მისი უფლებამონაცვლის) მოსაზრება იჯა-

რის ხელშეკრულების ვადის ავტომატურ რეჟიმში გაგრძელებასთან მიმართებაში, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი სალარო შემოსავლის ორდერები (2010-2011 წლების) სწორედ კვლევითი ინტიტუტის მიერ არის გაცემული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას სათანადო შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ შორის, იმ გარემოებას, რომ კასატორი საიჯარო ქირას 2010-2011 წლის ჩათვლით იხდიდა. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ კასატორის იურიდიული მისამართი დღემდე – ქ. თბილისი, ...-ის ქ. №5-ია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, სააპელაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და სადავო უძრავი ქონების ძველი და ახალი მესაკუთრეების ახსნა-განმარტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხელახლა უნდა დაადგინოს ის გარემოება, წარმოადგენდა თუ არა იჯარის ხელშეკრულების მე-5 პუნქტი საიჯარო ხელშეკრულების ავტომატურ რეჟიმში გაგრძელების და შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2011 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის საფუძველს. რაც შეეხება, სადავო უძრავი ქონების საკადასტრო კოდის წარდგენის საკითხს, უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა და შესაბამისად, განმცხადებელი არ იყო უფლებამოსილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო სამსახურისათვის წარედგინა აღნიშნული ინფორმაცია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გამოიკვლიოს საქმეში არსებული ახალი ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აიპ „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. აიპ „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საცხმოვრეპალი სადგომის ქირავემოვის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

განჩინება

№ბს-829-813(კ-12)

26 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: კანონიერ მოსარგებლედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ო. ლ-ი

მოპასუხეები:

1. თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო

სარჩელის სახე: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე უფლების აღიარება, კერძოდ, ფართზე კანონიერ მოსარგებლედ აღიარება.

სარჩელის საგანი:

ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლედ აღიარება.

მოსარჩელე ო. ლ-მა 2011 წლის 14 აპრილს სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, თვითმმართველ ქ. რუსთავის მერიის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე პრივატიზაციის განხორციელების დავალება.

2011 წლის 14 ივნისს მოსარჩელე ო. ლ-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც უარი ეთქვა ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე და რუსთავის მერიისათვის, აღნიშნული ფართის ო. ლ-ის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

2011 წლის 21 ივლისს ო. ლ-მა კვლავ მიმართა სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით და ამჯერად მოითხოვა უფლების აღიარება, კერძოდ, ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლედ აღიარება. ამასთან, მოპასუხედ ქ. რუსთავის მერიასთან ერთად მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: ო. ლ-ი 1987 წლიდან დღემდე ცხოვრობს ქ. რუსთავში, ... №18-55-ში. აღნიშნული ბინა წარმოადგენდა არასაცხოვრებელ სადგომს.

ო. ლ-სა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, საბინაო სამმართველოს №4 სახლმმართველობას შორის გაფორმდა №54 ხელშეკრულება ადგილობრივი საბჭოების, არასაცხოვრებელი სადგომების (ნაგებობის) დაქირავების შესახებ, რომლის თანახმად, მოსარჩელე ო. ლ-ს ერთი წლის ვადით გადაეცა ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო ყოველთვიურად.

ყოველწლიურად 1989-1993 წლებში მსგავსი ხელშეკრულებები ფორმდებოდა მხარეებს შორის.

მოსარჩელემ 2011 წლის 14 თებერვალს განცხადებით მიმართა ქ. რუსთავის მერიას და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების საფუძველზე ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ გადაცემა, განცხადებას ერთვოდა 1989-1993 წლებში გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები.

თვითმმართველი ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის №... გადაწყვეტილებით ო. ლ-ს განცხადების დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ იგი არ წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73-ე ბრძანებულებით განსაზღვრულ ბინის კანონიერ მოსარგებლეს და მის მიმართ ვერ გავრცელდებოდა საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის წესი.

მოსარჩელის განმარტებით, მისთვის გაუგებარია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73-ე ბრძანებულების „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ რომელ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს მისი სახელშეკრულებო ურთიერთობა დაქირავებულთან.

მოსარჩელის მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და დამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. მოსარჩელის განმარტებით კი, დღესაც არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შეწყვეტა არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იგი უდავოდ არის სადავო ფართის კანონიერი მოსარგებლე და ადგილობრივი მმართველობის უარი სრულიად უსაფუძვლოა.

სამართლებრივი: მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73-ე ბრძანებულება და სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მოპასუხე – თვითმმართველ ქ. რუსთავის მერიამ წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ო. ლ-ის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში პრივატიზების განხორციელებისათვის წარდგენილი იქნა ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე ფართზე 1988-1994 წ.წ. საბინაო სამმართველოსთან დადებული იჯარის ხელშეკრულებები, რომლის შესაბამისად 1 წლის ვადით გადაეცემოდა არასაცხოვრებელი სადგომი და იხდოდა საიჯარო ქირას ყოველთვიურად, აღნიშნული არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით ბინის პრივატიზებისათვის განსაზღვრულ დოკუმენტს.

ამასთან, მოპასუხის განმარტებით, საიჯარო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასულია და მხარეებს შორის ახალი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

სამართლებრივი მოპასუხის განმარტებით, ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსარჩელეს შეუძლია სარჩელი აღძრას სხვა სახით, ამიტომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად აღიარებითი სარჩელი ამ მოთხოვნით დაუშვებელია. მოპასუხემ განმარტა, რომ სადავოდ ქცეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დასაბუთება უნდა ხდებოდეს შესაბამისი დანებსებულების მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან და ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, რუსთავის მერია არ უნდა წარმოადგენდეს სადავო ურთიერთობის მონაწილე მხარეს (მოპასუხეს), ვინაიდან ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ქ. რუსთავის მერიას რაიმე უფლების (ვალდებულების) განხორციელების შესაძლებლობა არ აქვს, რადგან, ქ. რუსთავის მერიის კომპეტენციაში არ შედის მოსარჩელის კანონიერ მოსარგებლედ ცნობა მისთვის საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს წარმომადგენელმა წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ვინაიდან, ქ. რუსთავში, ... №18-55-ში 1988-1994 წ.ნ მაშინდელ სახლმმართველობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ო. ლ-მა ვერ მოიპოვა საკუთრების უფლება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების შესაბამისად, სადავო ბინა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ექვემდებარება სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებას.

სამართლებრივი მოპასუხემ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე ო. ლ-ი 1987 წლიდან დღემდე ცხოვრობს ქ. რუსთავში, ... №18-55-ში.

1988 წლის 1 იანვარს მოსარჩელესა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, საბინაო სამმართველოს №4 სახლმმართველობას შორის გაფორმდა №54 ხელშეკრულება არასაცხოვრებელი სადგომების დაქირავების შესახებ, რომლის თანახმად, მოსარჩელე ო. ლ-ს ერთი წლის ვადით გადაეცა ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო ყოველთვიურად.

აღნიშნული ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულებები ფორმდებოდა 1989-1994 წლებშიც.

2011 წლის 14 თებერვალს ო. ლ-მა განცხადებით მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას და მოითხოვა ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე საცხოვრებელი ფართობის უსასყიდლოდ გადაცემა და წარადგინა 1988-1994 წ.ნ. გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებები, რაზედაც ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ეთქვა უარი, იმ მოტივით, რომ იგი არ წარმოადგენდა კანონიერ მოსარგებლეს.

რაიონული/საქალაქო/სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ო. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ო. ლ-სა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, საბინაო სამმართველოს №4 სახლმმართველობას შორის გაფორმდა №... ხელშეკრულება ადგილობრივი საბჭოების, არასაცხოვრებელი სადგომების (ნაგებობის) დაქირავების შესახებ, რომლის თანახმად, მოსარჩელე ო. ლ-ს ერთი წლის ვადით გადაეცა ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო ყოველთვიურად.

1989-1993 წლებში მსგავსი ხელშეკრულებები ფორმდებოდა მხარეებს შორის ყოველწლიურად.

1993 წელს დადებული №... იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელე ო. ლ-თან ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე აღარ გაფორმებულა ქირავნობის, იჯარის ან სხვაგვარი სახის ხელშეკრულება, აღნიშნული ფართი არ განუკარგავს უფლებამოსილ ორგანოს არც სხვა ფორმით.

ო. ლ-მა მის მფლობელობაში არსებულ ფართს შეუცვალა დანიშნულება და იგი არასაცხოვრებელი კატეგორიის ფართს იყენებს საცხოვრებელი დანიშნულებით.

2011 წლის 14 თებერვალს ო. ლ-მა განცხადებით მიმართა თვითმმართველი ქ. რუსთავის მერიას და მოითხოვა ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ გადაცემა, რაზედაც თვითმმართველი ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის №... ადმინისტრაციული აქტით, უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ იგი არ წარმოადგენდა კანონიერ მოსარგებლეს.

ო. ლ-ი არ არის რეგისტრირებული ქ. რუსთავში, ... №18-55-ში.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავო ო. ლ-ის მიერ ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (სადგომის) კანონიერად ფლობის ფაქტი.

სადავოდ მიჩნეული ფაქტების შეფასება:

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის „კანონიერი მოსარგებლებებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ №73-ე ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად, კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართით, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, კი მოსარჩელე – ო. ლ-ს არც ადმინისტრაციულ ორგანოში და არც სასამართლოში არ წარუდგენია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი ქ. რუსთავეში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია ო. ლ-ის მიერ წარმოდგენილი 1997 წლის 20 ივნისის პროექტი, მხატვრებზე ბინის სახელოსნოების გაფორმების შესახებ, ასევე 1996 წლის 9 მაისის №75 საქართველოს მხატვართა კავშირის ცნობა, რომ კონკრეტულ მხატვრებს მიეცათ მათ სარგებლობაში არსებული შემოქმედებითი სახელოსნოების პრივატიზების ნებართვა, ვინაიდან სხვა პირებისთვის პრივატიზების ნებართვის მიცემა, არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე ო. ლ-მაც ისარგებლა ამ უფლებით.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობაა უკვე არსებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლებრივ ურთიერთობაში მოიაზრება საჯარო სამართლის ნორმიდან გამომდინარე კონკრეტული შინაარსის ურთიერთობა, როგორც კონკრეტული პირისა სხვა პირთან, ასევე კონკრეტული საგნის მიმართ. სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს მხარეთა კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს. სამართლებრივი ურთიერთობის დადგენისას აუცილებელი პირობაა ამ ურთიერთობის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რადგან აღიარებითი სარჩელის დავის საგანია უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, ამდენად აღიარების ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია აშკარა, თუ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის სამართლებრივი ურთიერთობა კვლავ საზიანო შემოქმედებას ახდენს მოსარჩელეზე.

განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მხარეებს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებით დაწყებული სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა ბოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე. ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით ო. ლ-ს, როგორც მხატვარს, იჯარით გადაეცა ადგილობრივი საბჭოების არასაცხოვრებელი სადგომი. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, სადგომი გამოყენებულ უნდა ყოფილიყო მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით და მისი სხვაგვარი გამოყენება ჩაითვლებოდა ხელშეკრულების პირობის დარღვევად. ხელშეკრულების მეორე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით მოიჯარე (ო. ლ-ი) ვალდებული იყო იჯარის საგანი დაებრუნებინა ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის „კანონიერი მოსარგებლებებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ №73-ე ბრძანებულების 1-ლი მუხლის თანახმად, ეს დებულება არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს და განსაზღვრავს დებულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მხარეებსა და მათ უფლებამოსილებებს, ხოლო ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, კი კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ორდერის, საბინაო წიგნის ან სხვა სამართლებრივი აქტის სახით. კონკრეტულ შემთხვევაში კი მხარეებს შორის დადებული იყო საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც შეზღუდული იყო ვადით და თითოეული მხარისთვის ადგენდა კონკრეტულ უფლებამოვალეობებს, ანუ მოსარჩელეს – ო. ლ-ს გადაცემული ჰქონდა დროებით სარგებლობაში უძრავი ქონება.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, მითითებული ბრძანებულების მე-2 მუხლი კანონიერ სარგებლობას უკავშირებს ასევე დროებით სარგებლობაში გადაცემას, თუმცა ამავე ბრძანებულების მე-4 მუხლი განსაზღვრავს თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დაინტერესებული პირის განცხადება და რა უნდა იქნეს წარდგენილი ასეთი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნისთვის. კონკრეტულად: არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ განცხადებას უნდა ახლდეს გარკვეული პირობით დროებით გადაცემული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლებების) ნოტარიულად დამონმებული წერილობითი უარი უფლებამოსილი ორგანოსაგან პირობის შესრულების მოთხოვნაზე, რომელიც დამოკიდებული იქნება მისი განცხადების დაკმაყოფილების პირობაზე. ასევე დროებით გადაცემული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზო-

ლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლების) მიერ ამ დებულების ამოქმედებამდე აღნიშნულ ფართობზე რეგისტრაციის და-
მადასტურებელი საბუთი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ გააჩნდა არც ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი უარი უფლებამოსილი ორგანოსაგან პირობის შესრულების მოთხოვნაზე, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა მისი განცხადების დაკმაყოფილების პირობაზე და ასევე არ იყო რეგისტრირებული აღნიშნულ ფართობზე.

სასამართლოს დასკვნა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ო. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დადგენილ უფლების აღიარების კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო.

აპელანტი: ო. ლ-ი

მონინალმდგე მხარეები:

1. თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო

წარმომადგენელი: ე. ნ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს სადავო ბინის კანონიერ მოსარგებლეს, რადგან მას არ წარუდგენია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73-ე ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, კანონიერი მოსარგებლე განმარტებულია როგორც ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობით. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, აპელანტის განმარტებით, მისთვის გაურკვეველია წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებები რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტად.

ამასთან, აპელანტის მტკიცებით, დაუსაბუთებელია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ საიჯარო ხელშეკრულებით დაწყებული სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდა ბოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები. სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და დამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. ამდენად, აპელანტი განმარტავს, რომ ის დღესაც არის მოპასუხებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომლის შეწყვეტა არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია.

მონინალმდგე მხარეთა მოსაზრებები:

თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია წერილობითი შესაგებლით არ დაეთანხმა აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, საიჯარო ურთიერთობა კვლავ გრძელდება და აღნიშნა, რომ ო. ლ-ს არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ის ისევ მოიჯარეა და იხდის ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას, ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ აპელანტმა დანიშნულება შეუცვალა მის მფლობელობაში არსებულ ფართს და იგი არასაცხოვრებელი კატეგორიის ფართს იყენებს საცხოვრებელი დანიშნულებით, როცა ხელშეკრულება მას ავალდებულებდა, სადგომის მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას.

მოპასუხის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებების გამო იჯარის ხელშეკრულება ვერ ჩაითვლება სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად. მართალია, პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73-ე ბრძანებულების მე-2 მუხლი კანონიერ სარგებლობას უკავშირებს ასევე დროებით სარგებლობაში გადაცემას, თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ ასეთი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნას თან უნდა ახლდეს გარკვეული პირობით დროებით გადაცემული ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას კანონიერი მოსარგებლის ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი უარი უფლებამოსილი ორგანოსაგან პირობის შესრულების მოთხოვნაზე, განსახილველ შემთხვევაში კი აპელანტს არ გააჩნია ნოტარიულად დამოწმებული უარი უფლებამოსილი ორგანოსაგან პირობის შესრულებაზე.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს წერილობითი შესაგებელი არ წარუდგენია, სამინისტროს წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ქონების შესაკუთრის, ბალანსთმფლობელის არარსებობის, მისი მოუძიებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი უძრავი ქონება რეგისტრირდება სახელმწი-

ფო საკუთრებად და სახელმწიფოს შეუძლია უძრავი ნივთის მხოლოდ აუქციონის წესით გასხვისება ან პირდაპირი მიყიდვის გზით პრივატიზება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინებით ო. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქმეზე წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, იგი წარმოადგენს სადავო ფართის კანონიერ მოსარგებლეს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულება არ შეიძლება გახდეს სადავო ფართზე მოსარჩელის კანონიერ მოსარგებლედ აღიარების საფუძველი, ვინაიდან დებულება კანონიერ მოსარგებლედ მიიჩნევა ფიზიკურ პირს, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით. რაც შეეხება ო. ლ-სა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, საბინაო სამმართველოს №4 სახლმმართველობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს არასაცხოვრებელი სადგომების (ნაგებობის) დაქირავების შესახებ, აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით და საქმეში წარმოდგენილია მხარეთა შორის დადებული მსგავსი ხელშეკრულებები კონკრეტულად 1988-1993 წლებში.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზე, რომ იგი კვლავ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოიჯარესთან. საქმის მასალებით არ დასტურდება და ვერც აპელანტის მიერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ აპელანტი ისევ იხდის საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას.

განსაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნის გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 28 იანვრის №73-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად განცხადებას არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ უნდა ახლდეს დროებით გადაცემული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის კანონიერი მოსარგებლის (მოსარგებლეების) მიერ ამ დებულების ამოქმედებამდე აღნიშნულ ფართობზე რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი.

საქმეში არსებული მასალებით კი უდავოდ დადგინდა, რომ ო. ლ-ი არ არის რეგისტრირებული ქ. რუსთავში, ... №18-55-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე.

სააპელაციო პალატის შეფასებით, ო. ლ-ს აღძრული აქვს აღიარებითი სარჩელი. აღიარებითი სარჩელი ემსახურება მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტას, თუმცა ამ ტიპის სარჩელის დაკმაყოფილება არ იწვევს უშუალოდ დავის გადაწყვეტას, მიღწეული შედეგი შესაძლოა საფუძველად დაედოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია სარჩელის სხვა სახით, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე. კოდექსის ეს მოთხოვნა ემსახურება პროცესის ეკონომიურობის მიღწევას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის ვითარება, როდესაც დგინდება უფლების არსებობა და შემდგომ დგება საკითხი აქტის გაუქმების ან აქტის გამოცემის დავალების თაობაზე.

სააპელაციო პალატის დასკვნით, ო. ლ-ს სარჩელის აღძვრისას, დაცული არ აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. საქმის მასალების თანახმად, ო. ლ-მა მიმართა ქ. რუსთავის მერიას, სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ ო. ლ-ი არ წარმოადგენს კანონიერ მოსარგებლეს და თვითმმართველი ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის №... ადმინისტრაციული აქტით არ დააკმაყოფილა მოთხოვნა საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. თვითმმართველი ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის №... ადმინისტრაციული აქტის კანონიერება, ხსენებული წესით, აპელანტის (მოსარჩელე მხარე) მიერ სადავო არ გამხდარა და მას ასევე არ მოუთხოვია სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

კასატორი: ო. ლ-ი

მონინალმდევე მხარეები (მოპასუხეები):

1. თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

კასაციის საგანი და მოცულობა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მას გასაჩივრებული ჰქონდა სწორედ ადგილობრივი მმართველობის უარი ბინის პრივატიზებაზე.

სასამართლოში სარჩელის აღძვრისას თავდაპირველი სარჩელის წარდგენის შემდგომ მან ორჯერ წარდგინა მოთხოვნა დაზუსტებული სარჩელის ფორმით. კასატორის განმარტებით, მას დაზუსტებული სარჩელის სწორად ჩამოყალიბებაში საქმის განმხილველი მოსამართლე დაეხმარა და მიუთითა, რომ მოთხოვნა მხარის მიერ უნდა წარდგენილიყო აღიარებითი სარჩელის ფორმით. ამის დასტურია ის გარემოება, რომ მის მიერ დაზუსტებული სარჩელების წარდგენას წინ უსწრებდა სასამართლოს სხდომები. კასატორის მითითებით, მისი მოთხოვნა საქალაქო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა, მაგრამ არა იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ პროცესუალურად არასწორად ჩამოაყალიბა მოთხოვნა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა სწორედ იმ მოტივით, რომ აპელანტს მოთხოვნა აღიარებითი სარჩელის ფორმით ჰქონდა ჩამოყალიბებული, რაც სამართლებრივად არასწორად იქნა მიჩნეული.

კასატორის განმარტებით, მან სასამართლოს მითითებით ჩამოაყალიბა სასარჩელო მოთხოვნა აღიარებითი სარჩელის ფორმით, რაც არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ. გაუგებარია, რა წესით რეგულირდება სადავო საკითხი ან რატომ არ განემარტა წინა ინსტანციების სასამართლოების მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტის გზები. მისთვის აგრეთვე გაუგებარია, ადგილობრივი მმართველობის ორგანომ რატომ მიუთითა, რომ სადავო საკითხი უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება, თუკი ეს ასე არ არის.

მონინალმდევე მხარეთა მოსაზრებები:

თვითმმართველი ქ. რუსთავის მერია არ დაეთანხმა კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ურჩია აღიარებითი სარჩელით დავის გაგრძელება და მიუთითა, რომ მსგავსს ადგილი არ ჰქონია, ო. ლ-ს თავდაპირველად გასაჩივრებული ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს აქტი, მაგრამ ვინაიდან, თავად მან ივარაუდა, რომ აღნიშნულით პროცესს ვერ მოიგებდა, გადანყვიტა დავა გავერძელებინა აღიარებითი სარჩელის შეტანის გზით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არა ეკონომიკის სამინისტროს, არამედ მუნიციპალურ საკუთრებას, თუმცა შემდგომ სხდომაზე შეცვალა პოზიცია და განმარტა, რომ არასაცხოვრებელი ფართები იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო საბინაო ფონდი ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთრებაში, გამომდინარე აქედან ვინაიდან სადავო ბინა წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს იგი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, თუმცა უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე შესაძლოა მისი განკარგვა განახორციელოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე (პროცესუალური კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ო. ლ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, ხოლო საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს გასა-

ჩივრებული განჩინების კრიტიკის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ I და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ისე გადაწყვიტეს წინამდებარე დავა, რომ სათანადოდ არ გამოიკვლიეს, თუ რა წარმოადგენდა ო. ლ-აშვილის მოთხოვნას, სარჩელის მიზანს, თუ რა შედეგის მიღწევა სურდა მოსარჩელეს და საპროცესო კანონმდებლობასთან რამდენად შესაბამისობაში იყო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი, რითაც დაარღვიეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლების მოთხოვნები. საქმის მასალების მიხედვით:

1. ო. ლ-მა 2011 წლის 14 აპრილს სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის თვითმმართველ ქ. რუსთავის მერიის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე პრივატიზაციის განხორციელების დავალეზა.

2. 2011 წლის 14 ივნისს ო. ლ-მა რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც უარი ეთქვა ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე და ქ. რუსთავის მერიისათვის, აღნიშნული ფართის ო. ლ-ის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა.

3. 2011 წლის 21 ივლისს ო. ლ-მა კვლავ მიმართა სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით და ამჯერად მოითხოვა უფლების აღიარება, კერძოდ, ქ. რუსთავში, ... №18-55 მდებარე არასაცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლედ აღიარება.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ო. ლ-ის თავდაპირველ მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება და აღნიშნული ფართის ო. ლ-ისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალეზა. მოსარჩელის მიერ რამდენჯერმე მოხდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და მისივე განმარტებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითების საფუძველზე მოთხოვნა საბოლოოდ ჩამოყალიბდა სწორედ აღიარებითი სარჩელის ფორმით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად გაიგეს და გამოიყენეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით განსაზღვრული – სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა არასწორად ფორმულირდა, რამაც განაპირობა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. საკასაციო სასამართლომ 2009 წლის 28 აპრილის განჩინებაში (საქმეზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგების სარჩელისა გამო მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მიმართ/ განმარტა სარჩელის ტრანსფორმირების მიზანი, ნამდვილი ბუნება და არსი: „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობა გულისხმობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრული ადმინისტრაციული სარჩელის სახეების ფარგლებში ერთი სახის სარჩელის შეცვლას სხვა სახის სარჩელით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, ვინაიდან სარჩელის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძრას სხვა სახის სარჩელი, გარდა ამისა, დაბალი სამართლებრივი კულტურის პირობებში შესაძლებელია მოსარჩელემ კვალიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მიხედვით, სასამართლო ამოწმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძველებს, სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თუკი სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ამ ფორმით აღძვრა დაუშვებელი იყო, სასამართლო ვალდებული იყო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ან შეენიჭებინა საქმე დაუშვებლობის მოტივით ან თავად გამოეყენებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და დახმარებოდა მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში, მოთხოვნის ჩამოყალიბებაში, რის შედეგადაც მიღწეულ იქნებოდა პროცესის ეკონომიურობის მიზანი. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღიარებითი სარჩელის ფორმით სასამართლოსადმი მიმართვა იყო დაუშვებელი, სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე მხარისათვის შეკითხვის დასმა: „ხომ არ სურს მოთხოვნის ტრანსფორმირება“, არ ნიშნავს მხარისთვის მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარებას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლით გათვალისწინებული საპროცესო შესაძლებლობის ჯეროვნად რეალიზაციას. სააპე-

ლაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების ერთ-ერთ არგუმენტად ისე მიუთითა აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობების არარსებობის შესახებ, რომ კვალიფიციურად და სრულყოფილად არ შეუსრულებია საპროცესო მოქმედება, კერძოდ, მხარისათვის არ განუმარტავს მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც შესაძლოა თავიდანვე გამხდარიყო სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო სასამართლო იმსჯელებდა აღიარებითი სარჩელის ფორმით მოთხოვნის აღძვრის დასაშვებობაზე, ცალსახაა არაა, რამდენად შეიძლებოდა საკითხის განხილვის შედეგი ყოფილიყო საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებლობის მოტივით იმ პირობებში, როდესაც მხარე უთითებს და საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ მის თავდაპირველ მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მოსარჩელემ რამდენჯერმე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მისივე განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითების საფუძველზე მოთხოვნა საბოლოოდ ჩამოყალიბდა სწორედ აღიარებითი სარჩელის ფორმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს, რა გავლენა მოახდინა პირველი ინსტანციის სასამართლომ ო. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებაზე, რამდენად იყო მოსარჩელე ინფორმირებული ამგვარი ფორმით სარჩელის აღძვრის შედეგებზე, განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები და თავად დაეხმაროს მხარეს სარჩელის სწორი პროცესუალური ფორმულირებით ჩამოყალიბებაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არ გამოარკვიეს აღიარებითი სარჩელის რომელი შემთხვევა იყო სახეზე, რამდენადაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძვრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ. აღნიშნავია, რომ სასამართლოებმა იმსჯელეს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის თაობაზე, მაშინ როდესაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სადავო ფართზე კანონიერ მოსარგებლედ აღიარება, ამდენად აქ სადავოა არა ის, სახეზეა თუ არა ფართით სარგებლობის ფაქტი, არამედ ის თუ რამდენად კანონიერია ო. ლ-ის მიერ ფართით სარგებლობა, რაც თავისი არსით წარმოადგენს უფლების და არა სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარების მოთხოვნას. ამდენად, ო. ლ-ის მოთხოვნა – ტრანსფორმირებული აღიარებითი სარჩელის სახით, განეკუთვნება არა სამართალურ ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას, არამედ, უფლების აღიარების (სადავო ფართზე კანონიერ მოსარგებლედ ცნობა) შემთხვევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოთა იმსჯელობა გასცდა სარჩელით მოთხოვნილი უფლების პროცესუალურ კონტექსტს, შესაბამისად, სასამართლოთა იმსჯელობა და დასკვნები არ პასუხობს და ბუნდოვანს ხდის დავის არსს, რის გამოც სრულიად წინააღმდეგობრივია სააპელაციო სასამართლოს შეფასებები, მათ შორის, შემდეგზე, რომ მოსარჩელეს, სარჩელის აღძვრისას, დაცული არ აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ, თვითმმართველ ქ. რუსთავის მერიის 2011 წლის 15 მარტის №... ადმინისტრაციული აქტი, სადავო ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ აპელანტის მიერ სადავოდ არ გამხდარა და მას ასევე არ მოუთხოვია სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მაშინ, როცა რუსთავის საქალაქო სასამართლოში არაერთგზის წარდგენილი დაზუსტებული სარჩელებიდან ერთ-ერთის, კერძოდ 2011 წლის 14 ივნისის დაზუსტებული სარჩელის დავის საგანს სწორედ ეს მოთხოვნები წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია, თუ რამ განაპირობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული, პრაქტიკულად, ყველა სახის სარჩელის წარდგენა სასამართლოში და სახეზე იყო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის ტრანსფორმაციის ინსტიტუტის კვალიფიციური გამოყენება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კვალიფიციურად და საპროცესო კანონმდებლობის ზუსტი დაცვით უნდა გამოარკვიოს: სარჩელის მიზანი, თუ რა უფლება შეელახა მოსარჩელეს და შესთავაზოს მას უფლების დაცვის ადეკვატური საპროცესო ფორმის – სარჩელის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრული რომელიმე სახის გამოყენება სარჩელის ტრანსფორმაციის ფარგლებში, აღნიშნულის შემდეგ, იმსჯელოს სარჩელის დასაშვებობის წინამძღვრებზე, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.

სარჩელის დასაშვებად მიჩნევის და საქმის არსებითი განხილვის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რადგან აღნიშნული საპროცესო მოქმედება – ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება, გამოკვლევა, შეფასება, ასევე არაკვალიფიციურად და კანონშეუსაბამოდ არის შესრულებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების დროს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, ვინ წარმოადგენს სადავო ფართის მესაკუთრეს, კერძოდ, არ გამოუკვლევია, წარმოადგენს თუ არა სადავო ფართი სახელმწიფო საბინაო ფონდში და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებულ არასაცხოვრებელ ფართს. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას თვითმმართველ ქ. რუსთავის მერიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ფართი რომელზეც ო. ლ-ი ითხოვს კანონიერ მოსარგებლედ აღიარებას, არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული საბინაო

ფონდის არასაცხოვრებელ ფართს და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულება, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო საბინაო ფონდში და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არა ეკონომიკის სამინისტროს, არამედ მუნიციპალურ საკუთრებას, თუმცა შემდგომ სხდომაზე შეცვალა პოზიცია და განმარტა, რომ არასაცხოვრებელი ფართები იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო საბინაო ფონდი ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სადავო ბინა წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს იგი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, თუმცა, უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე შესაძლოა მისი განკარგვა განახორციელოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უპირველესად უნდა გამოიკვლიოს, დავა რამდენად ეხება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდში არსებულ არასაცხოვრებელ ფართს, რომელზეც ვრცელდება პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულება და ასეთის დადასტურების შემთხვევაში, შეაფასოს, წარმოადგენს თუ არა ო. ლ-ის სადავო ფართის კანონიერ მოსარგებლეს. სააპელაციო სასამართლომ სათანადო შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ იჯარის ხელშეკრულებებს, რომლის თანახმადაც შეიჯარეს წარმოადგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, საბინაო სამმართველოს სახელმმართველობა №4.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივად სათანადოდ არ შეუფასებია ო. ლ-ის არგუმენტი შემდეგზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით, ამიტომ დღესაც არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შეწყვეტა არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია. სააპელაციო სასამართლომ მოახდინა ნორმის ციტირება, ხოლო სადავო სამართალურთიერთობისთვის მისი შეფარდების ან არშეფარდების საკითხი საერთოდ არ დაუსაბუთებია. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან არ დასტურდება ო. ლ-ის მიერ საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის კვლავ გადახდის ფაქტი, ხელშეკრულება ვერ ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულიად. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოთმოყვანილი მსჯელობა არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და განმარტავს, რომ მითითებული მუხლის ნამდვილი შინაარსის მიხედვით, როდესაც ხელშეკრულების მხარე კვლავ აგრძელებს ხელშეკრულების საგნით სარგებლობას, ხოლო მეორე მხარე არ ითხოვს სარგებლობის შეწყვეტას, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით, რაც ემყარება სწორედ მხარეთა მიერ კონკლუდენტურად გაცხადებულ ნებას – გაგრძელებს არსებული ურთიერთობა. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 563-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადება არც ერთ მხარეს არ გაუკეთებია, შესაბამისად არც ხელშეკრულების წერილობით შეწყვეტის ფაქტი არსებობს, რადგან საქმეში შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, სააპელაციო სასამართლომაც არ მიიჩნია საკმარის მტკიცებულებად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 1997 წლის 20 ივნისის პროექტი, მხატვრებზე ბინის სახელოსნოების გაფორმების შესახებ, ასევე 1996 წლის 9 მაისის №75 საქართველოს მხატვართა კავშირის ცნობა მასზედ, რომ კონკრეტულ მხატვრებს მიეცათ მათ სარგებლობაში არსებული შემოქმედებითი სახელოსნოების პრივატიზების ნებართვა და აღნიშნა რომ: „სხვა პირებისათვის პრივატიზების ნებართვის მიცემა, არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე ო. ლ-მაც ისარგებლა ამ უფლებით“. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების ანალიზის შედეგად აღნიშნავს, რომ ორივე ზემოთდასახელებულ დოკუმენტში სხვა მხატვრებთან ერთად ფიქსირდება ო. ლ-ის გვარიც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა. კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დაცვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებული დოკუმენტები რამდენად ქმნიდა ო. ლ-ისათვის კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველს, რომ იგი კანონიერად სარგებლობდა დაკავებული ფართით, შესაბამისად უნდა ჰქონოდა თუ არა პრივატიზების უფლების

განხორციელების მოლოდინი, ვინაიდან არსებობს დოკუმენტი, რომელიც სხვებთან ერთად მასაც ანიჭებდა ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 393-ე 394-ე, 412- მუხლებით და
დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ო. ლ-ი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ზინანის ანაზღაურება

პოლიტიკური პარტიისათვის თანხის ანაზღაურება

განჩინება

№ბს-482-455(კ-09)

21 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი – დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

„...“ 2008 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს პარლამენტის მიმართ და მოითხოვა კრედიტორული დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს პარლამენტს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 22800 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (2005 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 30-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფს გარკვეულ თანხას პარტიების ორგანიზაციული და სხვა საქმიანობისათვის. გამოყოფილი თანხის საერთო ოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით. გამოყოფილი თანხა მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებზე, რომლებმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ზე მეტი, ხოლო 31-ე მუხლის თანახმად, თანხა პარტიის ანგარიშზე ჩაირიცხება პროპორციულად, ყოველთვიურად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე, მიუთითა 2000 წლის 16 მაისამდე მოქმედ „პარლამენტის წევრის ამომრჩეველთან ურთიერთობის ხელის შეწყობის ღონისძიებათა და პარლამენტის წევრის სტატუსის განმტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად პარტიული სიებით ან ბლოკებით არჩეულ პარლამენტის წევრთა ამომრჩეველთან ურთიერთობის სათანადო ორგანიზაციისათვის პარლამენტში მათი რაოდენობის პროპორციულად, თითოეული წევრისათვის გამოიყოფა და შესაბამისი პარტიის ანგარიშზე ირიცხება ყოველთვიურად 100 ლარი.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნა, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ის ფაქტი, რომ „...“ 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტში წარმოდგენილი იყო პარტიული სიით არჩეული დეპუტატებისაგან, სასამართლოს განმარტებით, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და

სასამართლოსგან დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს. აღნიშნული საკითხი არც მხარეების მიერ გამ-
ხდარა სადავო სასამართლო პროცესებზე.

სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დადასტურებულია და მოპასუხე საქართველოს პარ-
ლამენტის მხრიდან აღიარებულია „...“ მიმართ არსებული დავალიანების 22800 ლარის არსებობის ფაქტი,
რაც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს წარ-
მოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე საქართველოს პარლა-
მენტს „...“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს დავალიანების 22800 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს
პარლამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის გან-
ჩინებით საქართველოს პარლამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვე-
ტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქ-
მის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის
ავტორმა ვერ შეძლო ხსენებული დასკვნების გაბათილება, რის გამოც მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პარლამენტმა და მოით-
ხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის №281 განკარგულების შესა-
ბამისად, 2006 წლის 28 ივნისიდან 28 ივლისამდე მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტის აპარატის
კრედიტორების რეგისტრაცია, რის შესახებაც ინფრომაცია გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის
ვებგვერდზე და გაზეთებში: 2006 წლის 28 ივნისის „...“, 2006 წლის 10 და 11 ივლისის „...“. კასატორის გან-
მარტებით გამომდინარე იქიდან, რომ „...“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის №281 განკარ-
გულების მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტში არ წარუდგენია შესაბამისი დოკუმენ-
ტაცია ხელახალი რეგისტრაციისათვის, იგი ვერ მოხვდა იმ კრედიტორული დავალიანებების შესახებ ნუს-
ხაში, რომელიც გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

კასატორმა განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტის ბალანსზე არსებობს „...“ მიმართ არსებული
დავალიანება 22 800 ლარის ოდენობით.

კასატორმა აღნიშნა, რომ 2008 წლის 18 ივნისს „...“ განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს
და მოითხოვა კუთვნილი დავალიანების გადახდა. კასატორის განმარტებით, „...“ გაგზავნილ წერილებში
აღნიშნულია, რომ დავალიანების შესახებ მონაცემები გადაგზავნილი იყო საქართველოს ფინანსთა სამი-
ნისტროში და დავალიანების ანაზღაურება მოხდებოდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 21 ივნისის
№281 განკარგულების შესაბამისად.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოქმნილი დავალიანების დაგროვება,
ისევე, როგორც ყველა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების გამონვეული იყო საბიუჯეტო
დეფიციტით და შესაბამისი თანხების მიუღებლობით. ამდენად, როგორც საქმეზე თანდართული-პარლა-
მენტის აპარატის ბუღალტერიის მიერ გაცემული ცნობაშია დაფიქსირებული, „...“ მიმართ გასაცემი თან-
ხა კასატორის მიერ აღიარებულია, მაგრამ აღნიშნული თანხის გადახდა პირდაპირ და უშუალო კავშირშია
ფინანსთა სამინისტროს მხრიდან პარლამენტის ანგარიშზე ამ თანხების ჩარიცხვასთან, რაც დღემდე არ
მოხდარა, მათი მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების,
მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საქართველოს პარლამენტის საკასაციო
საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოება-
თა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, „...“ 1998 წლის 6 თებერვალს რეგისტრირებულია (რეგისტრაციის
ნომერი 0011) საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსის 2007 წლის 5 ოქტომბრის წერილით საქართველოს პარლამენტს ერიცხება „...“
მიმართ დავალიანება 22800 ლარი, რომელიც წარმოიშვა 1998 წლის ივლის-ნოემბერში – 9500 ლარი და
1999 წლის აპრილ-ოქტომბერში – 13300 ლარი და მისი დაფარვა განხორციელდება ფინანსთა სამინის-
ტროს მიერ წინა პერიოდის დავალიანებების დასაფარად საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფის შემთხვევა-
ში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „...“ 1995-1999 წლების მონვევის პარლამენტში წარმოდგე-
ბოდა პარტიული სიით არჩეული დეპუტატებისაგან.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის
თანახმად (2005 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით), სახელმწიფო თავისი ბიუჯეტიდან ყოველ-
წლიურად გამოყოფს გარკვეულ თანხას პარტიების ორგანიზაციული და სხვა საქმიანობისათვის. გამოყო-
ფილი თანხის საერთო ოდენობა ყოველწლიურად განისაზღვრება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სა-
ქართველოს კანონით. გამოყოფილი თანხა მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება იმ პარტიებსა
და საარჩევნო ბლოკებზე, რომლებმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს პროპორციული

სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ზე მეტი, ხოლო 31-ე მუხლის თანახმად, თანხა პარტიის ანგარიშზე ჩაირიცხება პროპორციულად, ყოველთვიურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლომ სწორად გამოიყენა 2000 წლის 16 მაისამდე მოქმედი „პარლამენტის წევრის ამომრჩეველთან ურთიერთობის ხელის შეწყობის ღონისძიებათა და პარლამენტის წევრის სტატუსის განმტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-4 პუნქტი; ამ ნორმის თანახმად, პარტიული სიებით ან ბლოკებით არჩეულ პარლამენტის წევრთა ამომრჩეველთან ურთიერთობის სათანადო ორგანიზაციისათვის პარლამენტში მათი რაოდენობის პროპორციულად, თითოეული წევრისთვის გამოიყოს და შესაბამისი პარტიის ანგარიშზე ჩაირიცხოს ყოველთვიურად 100 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის განწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს პარლამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონტრაქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-775-769(კ-11)

20 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სწავლებაზე დახარჯული თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა თელავის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – ა. გ-ის მიმართ და მოითხოვა, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მოპასუხისათვის: ჯარიმის სახით – 13464 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 4039,2 ლარის, ზიანის სახით – 13407,5 ლარის ანაზღაურების დაკისრება შემდეგი საფუძვლით:

მოპასუხე ა. გ-მა 2005 წლის 11 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი, პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 6 ნოემბრის №... ბრძანებით მოპასუხე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან 2007 წლის 2 ოქტომბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოპასუხე ა. გ-ს სამხედრო სამსახურში წამსახურობის ვადა შეადგენს 2 წელს, 5 თვესა და 25 დღეს, შესაბამისად, მოსარჩელის მოსახურებით, მასზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ჯარიმა. მისი ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 561 ლარს, შესაბამისად, ანაზღაურებელი თანხაა 13464 ლარი.

კონტრაქტის 7.4 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 პუნქტებში აღნიშნული თანხების დადგენილ ვადაში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თან-

ხებს დაერიცხება პირგასამტეხლო 30%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც შეადგენს – 4039,2 ლარს.

მოსარჩელის მითითებით, კონტრაქტის 8.2 და 8.3 პუნქტებით მოპასუხე ასევე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

თელავის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ა. გ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 13464 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით – 4039,2 ლარის ანაზღაურება, ხოლო სარჩელი ზიანის სახით – 13407,5 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი დადასტურებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამანდატო კომისიის 2007 წლის 2 ოქტომბრის №19 ოქმით და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 6 ნოემბრის №... ბრძანებით, რომელთა თანახმად, ა. გ-ი დათხოვნილია შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებისა და მხარეებს შორის გაფორმებული კონტრაქტის 7.3 მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ჯარიმის თანხა შეესაბამებოდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხას. ასევე მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს სახით მოთხოვნილი თანხის – 4039,2 ლარი, ჯარიმის თანხის 30%-ის გადახდის ვალდებულება განსაზღვრული იყო კონტრაქტის 7.4 პუნქტით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით იხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების XVI თავის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, ზიანის სახით მოთხოვნილ თანხაში შედიოდა მოპასუხე ა. გ-ზე დახარჯული მთლიანი თანხა და სახელმწიფოს მხრიდან სხვა სამხედრო მოსამსახურეზე განეული დანახარჯი, ვისაც ახალი კონტრაქტი გაუფორმეს ა. გ-ის ნაცვლად.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ ხელფასი არ წამოადგენდა არც ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს და არც სამხედრო მოსამსახურის სწავლებაზე განეულ ხარჯს, ასევე დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეზე გაცემულ ხელფასზე დახარჯული თანხები მიჩნეული ყოფილიყო სწავლებისათვის დახარჯულ თანხად. სამხედრო მოსამსახურის სწავლებისათვის განეული ხარჯი, ეს არის ფულადი სახსრები, რომელიც უნდა მოხმარდეს სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური და ინტელექტუალური წვრთნის პროცესში ადამიანური მატერიალური რესურსების გამოყენებას. კერძოდ, ინსტრუქტორების, მასწავლებლების დაქირავებისათვის განეული ხარჯი, ვარჯიშის დროს დახარჯული ტყვია-წამლის, ყველა სხვა ხარჯი, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული სამხედრო პირთა სწავლების პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებასთან. მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა ისეთი ფაქტობრივი გარემოებანი, როგორცაა სახელფასო ხარჯის განევა და ხელფასი მიიჩნია სამხედრო სწავლებაზე განეულ ხარჯად, რაც არასწორია.

რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კოდექსის 316.1, 317.1 მუხლების საფუძველზე და გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31.1 მუხლით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.2, 37-ე და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 და 12.3 მუხლებით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ-ის 393.2, 393.3, 102-ე, 105.2 მუხლების დარღვევით, სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხა არის თანხა, რომლის ხელახლა გაღება უნევს სამინისტროს კონტრაქტით გათვალისწინებული ინტერესის მისაღწევად – სხვა სამხედრო მოსამსახურის მოსამზადებლად. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვს არა მასზე გადახდილი ხელფასის სახით გაცემულ თანხებს, არამედ მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე გადახდილ თანხას. შესაბამისად, რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა რაიონული სასამართლოს გადაწყვე-

ტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, აპელანტის მიერ ვერ იქნება გაბათილებული რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისგან არ ითხოვდა მისთვის გადახდილ ხელფასს, ეს თანხა იყო მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე გადახდილი თანხა. სამინისტრო ითხოვდა ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე განვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროისათვის.

კასატორის მითითებით, კონტრაქტის 8.2, 8.3 მუხლებით მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადება-სწავლებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვაც მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონეც მოპასუხეს ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

კასატორის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე ა. გ-სათვის ზიანის სახით – 13407,5 ლარის, მათ შორის, საველე სწავლებაზე დახარჯული თანხის – 124,20 ლარის გადახდა. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ დააკმაყოფილეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი სწავლებაზე დახარჯული თანხის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (დივერგენტული კასაცია).

კასატორა და მონინალმდევე მხარეს მოსაზრებები საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში მოტივებს შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხისათვის სწავლებაზე დახარჯული თანხის – 124.20 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; მოპასუხე ა. გ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს სწავლებაზე დახარჯული თანხის სახით – 124.20 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს: ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ა. გ-სათვის სწავლებაზე დახარჯული თანხის დაკისრების ნაწილში იქნა მიჩნეული დასაშვებად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ ა. გ-სათვის სწავლებაზე დახარჯული თანხის – 124.20 ლარის დაკისრების საფუძველიანობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა განმარტავს, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის პრინციპით, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო – სამართლებ-

რივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, ხოლო ამავე კოდექსის 316-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კი ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

საქმის მასალების შესაბამისად, კი დადგენილია, რომ 2005 წლის 11 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ა. გ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (კონტრაქტი) პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე, კერძოდ, მოპასუხე – ა. გ.-მა იკისრა ვალდებულება 4 წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურა სამხედრო სამსახურში და შეესრულებინა სამხედრო მოსამსახურისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობანი, ხოლო მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თავის მხრივ იკისრა ვალდებულება სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მოპასუხისათვის შეექმნა სამხედრო სამსახურის გავლისათვის სათანადო პირობები, ასევე გათვალისწინებულ იქნა ხელშეკრულების დარღვევისათვის შესაბამისი სანქციები, კერძოდ, ხელშეკრულების 8.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ თუ სამხედრო მოსამსახურე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს სამინისტრო უფლებამოსილია მის მომზადებაზე დახარჯული თანხების ამოღების მიზნით მიმართოს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური უმრავლესობის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, კი ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით, ხოლო 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-... ქვეითი ბრიგადის სამტატო ასეულის კაპრალი ა. გ.-ი 2007 წლის 2 ოქტომბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. გ.-ის მხრიდან სახეზეა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზემოაღნიშნული კონტრაქტის 8.3 მუხლიდან გამომდინარე, უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო ზიანის სახით ა. გ.-ზე სავსე სწავლებისათვის დახარჯული თანხა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის სწავლებაზე დახარჯული თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი სპეციალური ოპერაციების ძალების შტაბის უფროსის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ ზიანის სახით მოთხოვნილი თანხიდან 124,20 ლარი წარმოადგენს სწავლებაზე დახარჯულ თანხას. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ, სწავლებაზე დახარჯული თანხის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინება სწავლებაზე დახარჯული თანხის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ა. გ.-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სწავლებაზე დახარჯული თანხის – 124,20 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინება სწავლებაზე დახარჯული თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. გ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს სწავლებაზე დახარჯული თანხის – 124,20 ლარის ანაზღაურება;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა

ბანკინება

№ბს-1122-1111(კ-კს-11)

21 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

კასპის ... კოოპერატივის წარმომადგენელმა ჯ. ჩ-მა 2010 წლის 25 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ა. მ-ის მიმართ და მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კასპის ... კოოპერატივის სახელმწიფო ბიუჯეტისადმი 155900 ლარის დავალიანების საფუძველზე, კასპის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ, 2003 წლის 17 იანვარს მიღებულ იქნა №1 ბრძანება ...ის ბალანსზე რიცხული ობიექტების დაყადაღების თაობაზე. ...ის კუთვნილი 20 ობიექტი შეფასებულ იქნა თვით საგადასახადო ინსპექციის მიერ მოწვეული ფირმა „ა-ის“ აუდიტორის მიერ, რომლის მიერაც შეფასებული ობიექტების ღირებულება – 157400 ლარი სრულიად საკმარისი იყო საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად.

მოსარჩელის მითითებით, გორის საგადასახადო ინსპექციამ ღია აუქციონზე გასაყიდად გაიტანა შვიდი ობიექტი, რომელთა აუდიტის მიერ შეფასებული ღირებულება შეადგენდა 139170 ლარს. შვიდივე ობიექტი გაიყიდა 17470 ლარად და ეს თანხაც არ იქნა ბიუჯეტში შეტანილი. მითითებული ობიექტების გაყიდვა გორის საგადასახადო ინსპექციის, კერძოდ, მისი თანამშრომლის ა. მ-ის მიერ მოხდა კანონმდებლობის უხეშად დარღვევით. ა. მ-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და გორის რაიონული სასამართლის მიერ 2006 წლის 10 ოქტომბერს გამოტანილ იქნა განაჩენი, რომლის თანახმად დადგინდა შემდეგი ფაქტი, რომ სულ კასპის ... კოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონების უკანონო გაყიდვით და მისი რეალიზაციით მიღებული თანხების მითვისებით გამოწვეულ იქნა 139170 ლარის ზიანი. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მასში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეუცვლელად უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განჩინებით შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელის აღნიშვნით, კასპის ... კოოპერატივის მეპაიეებმა – გ. ნ-მა და რ. ბ-მა სარჩელით მიმართეს სასამართლოს გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ კასპის ... კოოპერატივის საკუთრებაში რიცხული ქონების გასხვისების მიზნით მოწყობილი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით, თუმცა თბილისის სააპელაციო პალატის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გ. ნ-ისა და რ. ბ-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო. აღნიშნული განჩინება უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინებით ძალაში იქნა დატოვებული. აღნიშნულის შემდეგ კასპის ... კოოპერატივმა, მიყენებული ზიანის თავიდაც აცილების მიზნით, მიმართა სასამართლოს გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე, თუმცა გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 იანვრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელმა კასპის ... კოოპერატივის მიაყენა მატერიალური ზიანი და გადამხდელის იმ პერიოდში არსებული დავალიანება – 139170 ლარით შემცირებული არ იქნა. გორის რეგიონალურ ცენტრში მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათებზე გადამხდელს 2010 წლის 16 მარტის მდგომარეობით ერიცხება დავალიანება 348259,69 ლარის ოდენობით ძირითად გადასახადზე დარიცხული საურავების გამო.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე კასპის ... კოოპერატივის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კასპის ... კოოპერატივის წარმომადგენელმა ჯ. ჩ-მა, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით კასპის ... კოოპერატივის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა რაიონული სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე კასპის ... კოოპერატივის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის იურიდიული სამსახურის უფროსმა - ა. მ-მა სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა და კანონის უხეში დარღვევით ჩატარებულ აუქციონზე, კასპის ... კოოპერატივის ბალანსზე რიცხული შემომითითებული ქონება გაყიდა რეალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად, ხოლო ამ ობიექტების რეალიზაციიდან შემოსული თანხა, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანისა, სამსახურებრივი მდგომარეობის გაუმყენებით, არაერთგზის მიითვისა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა იყო 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით დადგენილ იქნა მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ა. მ-ის მიერ უკანონოდ მოხდა აუქციონის ჩატარება კასპის ... კოოპერატივის მითითებულ ქონებაზე. ეს განაჩენი კი კასპის ... კოოპერატივის ოფიციალურად ჩაბარებული ჰქონდა ჯერ კიდევ 2006 წლის 30 ოქტომბერს. შემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით, პალატამ განიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება და დადგენილად მიიჩნია, რომ კასპის ... კოოპერატივისათვის მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედების შესახებ ცნობილი გახდა 2003 წელს. ხოლო ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, როგორც დაზარალებულმა შეიტყო 2005 წელს, როდესაც ა. მ-ის სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას საქმეში დაზარალებულად ჩაერთო კასპის ... კოოპერატივი. ზიანის ანაზღაურების შესახებ კი მან სასამართლოს მიმართა 2010 წლის 25 მარტს, მაშინ, როცა გასული იყო კანონით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოების გამო, ვერ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის მოსაზრებები გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა. აპელატის მიერ არ ყოფილა მითითებული გარემოებებზე და წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მიღებულ სამართლებრივ დასკვნებს.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კასპის ... კოოპერატივის წარმომადგენელმა ჯ. ჩ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლები. ამასთან, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი, ვინაიდან ა. მ-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში შევიდა უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განჩინებით და შესაბამისად, ამ განჩინებით დადგინდა მ-ის ბრალეულობა. ამდენად, კონსტიტუციით აღიარებული უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე ცნობილი გახდა სწორედ უზენაესი სასამართლოს მიერ განჩინების მიღების მომენტიდან. შემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაეწყო 2007 წლის 6 დეკემბრიდან, ანუ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან. ასევე, სააპელაციო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებული მსჯელობა და დასაბუთება აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კასპის ... კოოპერატივის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით კასპის ... კოოპერატივის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის საფუძველზე (პროცესუალური კასაცია) და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასრულების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა

იმ დასკვნამდე, რომ კასპის ... კოოპერატივის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში დაცულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კასპის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით კასპის ... საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ დაეკისრა 155900 ლარის გადახდა; იმის გამო, რომ იგი ამ დავალიანებას ვერ იხდიდა, გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 17 იანვრის №1 ბრძანებით ყადაღა დაედო კასპის ...ის ქონებას. გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ, საგადასახადო დავალიანების დაფარვის მიზნით ჩატარდა კასპის ... კოოპერატივის დაყადაღებული ქონების სპეციალიზირებული ღია აუქციონი 7 ობიექტზე; ჩატარებული აუქციონის შესახებ შედგა ოქმები და გაიცა სერტიფიკატები. აღნიშნული აუქციონები ჩატარებული იქნა გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის იურიდიული განყოფილების უფროსის ა. მ-ის მიერ, რომელიც ცნობილი იქნა დამნაშავედ (სხვა ქმედებებთან ერთად) ამ აუქციონის უკანონოდ ჩატარებისათვის, გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 ოქტომბრის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის განაჩენებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განჩინებით; განაჩენით დადგენილია, რომ ა. მ-მა სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად და განიზრახა ქონების გაყიდვა რეალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად, ობიექტების რეალიზაციიდან რეალურად შემოსული თანხა – 17470 ლარი მან ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანისა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არაერთგზის მიითვისა; აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში დაზარებულის სტატუსით მონაწილეობას ლეზლობა კასპის ... კოოპერატივის წარმომადგენელი გ. ნ-ი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განჩინების თანახმად, სულ კასპის ...ის ბალანსზე რიცხული ქონების ა. მ-ის მიერ უკანონოდ გაყიდვამ და მისი გაყიდვით შემოსული თანხების მიითვისებამ გამოიწვია 139 170 ლარის ზარალი, რამაც კასპის ...ის და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია; გორის რაიონული და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ა. მ-ს კასპის ...ის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 123 370 ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის განაჩენი ა. მ-ისათვის კასპის ...ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში იმ მოტივით, რომ ა. მ-ის მიმართ ბრალდების საქმის განხილვისას დაზარალებულს – კასპის ...ს არ წარუდგენია სასარჩელო განცხადება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, არც სამოქალაქო მოსარჩელედ ან ცნობილი და საერთოდ არ იყო დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოება.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ ერთი მხრივ კასპის ...სა და მეორე მხრივ გორის რეგიონალურ ცენტრსა და ა. მ-ს შორის ურთიერთობა წარმოშობილია დელიქტური ვალდებულებიდან და კასპის ... კოოპერატივი სსიპ შემოსავლების სამსახურსა (გორის რეგიონალური ცენტრის უფლებამონაცვლედ) და ა. მ-ზე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას სწორედ დასახელებულ გარემოებაზე დაყრდნობით ითხოვს. ამასთან, სადავო არ არის ასევე ის გარემოება, რომ ა. მ-ი იყო გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის იურიდიული სამსახურის უფროსი და შესაბამისად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იგი წარმოადგენდა სახელმწიფო მოსამსახურეს. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში არასწორად აითვალა ხანდაზმულობის ვადა და განმარტავს, რომ ზოგადად „ხანდაზმულობა“ გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდებს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე, ხანდაზმულობის ვადა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირი, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი წარმოიშობა იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის საერთო ვადებს, კერძოდ, დასახელებული მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. განსახილველ შემთხვევაში კი, ვინაიდან სახეზეა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოდ ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებაში სწორად გამოიყენა 1008-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადის დინების განსაზღვრა მნიშვნელოვან სამართლებრივ გარემოებას წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ მომენტს უკავშირდება ხანდაზმულობის დაწყება (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი კონ-

კრეტულად განსაზღვრავს იმ მომენტს, თუ საიდან უნდა იქნეს ათვლილი ხანდაზმულობის ვადის დენის სამწლიანი ვადა, როდესაც პირი დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრავს სარჩელს. კერძოდ, აღნიშნულის ათვლის საწყის ეტაპს წარმოადგენს ის მომენტი, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ და/ან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 ოქტომბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის განაჩენებით ა. მ-ს კასპის ...ის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 123370 ლარი. საკასაციო სასამართლო ერთი მხრივ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ კასპის ... კოოპერატივის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებების შესახებ ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა 2003 წელს, თუმცა მარტოდენ აღნიშნული გარემოება ვერ იქნება მიჩნეული იმის სამართლებრივ საფუძვლად, რომ ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში კასპის ... კოოპერატივის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან სასამართლო განაჩენის საფუძველზე (2005 წლის მდგომარეობით) ა. მ-ს უკვე დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ცხადია აღნიშნულის გათვალისწინებით კასპის ... კოოპერატივის იმ დროისათვის არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ თავისი დარღვეული უფლებებით განხორციელება ან თუნდაც დაცვა მოეთხოვა, მით უფრო მაშინ, როდესაც ერთი და იგივე მხარის მიმართ, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სარჩელის განმეორებით აღძვრა სამოქალაქო კანონმდებლობით დაუშვებელია. ის ფაქტი, რომ კასპის ... კოოპერატივს ახალი, დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრით უნდა დაეწყო სამოქალაქო სამართლწარმოება, ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, რომლითაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის განაჩენი ა. მ-ისათვის კასპის ...ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში იმ მოტივით, რომ ა. მ-ის მიმართ ბრალდების საქმის განხილვისას დაზარალებულს – კასპის ... არ წარუდგენია სასარჩელო განცხადება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და იგი არც სამოქალაქო მოსარჩელედ არ ყოფილა ცნობილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის (ა. მ-ი) შესახებ კასპის ... კოოპერატივისათვის ცნობილი გახდა 2007 წლის 6 დეკემბერს და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენაც ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, სააპელაციო სასამართლოს ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილად არ გამოუკვლევიან მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას პირველ რიგში უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაიწყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში, ამის შემდგომ დაადგინოს კასპის ... კოოპერატივის მიერ აღძრული იქნა თუ არა სარჩელი სასამართლოში კანონით დადგენილ ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში, აღნიშნულის შეფასების შემდეგ კი სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ – ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია თუ არა, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანია - რა ოდენობის თანხის ნაწილში ექვემდებარება სარჩელი დაკმაყოფილებას და დავა გადაწყვიტოს მოქმედი მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ კასპის ...ის სარჩელი, მოპასუხის – გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის (უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური) მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულია, რამდენადაც, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელისათვის, გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 ოქტომბრის განაჩენის დადგომის მომენტისთვის, ცნობილი იყო, რომ გორის საოლქო საგადასახადო ინსპექცია, მისი თანამშრომლის – ა. მ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის გამო წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს. ა. მ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას დაზარალებულ მხარეს სწორედ მოსარჩელე – კასპის ... წარმოადგენდა, ანუ 2005 წლისათვის მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს, თუმცა მას მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ არ აღუძრავს არც სამოქალაქო წესით და არც სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოთხოვნის ნაწილში, კასპის ...ს გაშვებული აქვს სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და შესაბამისად, სარჩელი, როგორც ხანდაზმული არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოთხოვნის ამ ნაწილში სახეზე არ არის გასაჩივრებული განჩინების ექვემდებარების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები და, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კასპის ... კოოპერატივის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება ა. მ-ის მიმართ მოთხოვნის ნაწილში გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯარიმის, პირგასამტეხლოს, ზიანის, სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის დაკისრება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-840-834(კ-11)

20 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
მოპასუხე: ს. ბ-ი

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება. სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 19104 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5731.2 ლარის, ზიანის სახით – 11924.76 ლარის დაკისრება და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის – 164 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2005 წლის 15 დეკემბერს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 13 თებერვლის №627 ბრძანებით მოპასუხე ს. ბ-ი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2008 წლის 30 იანვრიდან.

კონტრაქტის საფუძველზე ფაქტობრივად ნამსახურევი ვადა შეადგენს 2 წელს, 1 თვესა და 16 დღეს, დარჩენილი 1 წელს, 10 თვესა და 16 დღეს, რის გამოც მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს კონტრაქტის 7.3 „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო ჯარიმის 30%-ის ოდენობით.

მეოთხე ქვეპუნქტის მიერ 2010 წლის 6 დეკემბერს გაცემული №... წერილით დასტურდება, რომ ერთი თვის ხელფასი შეადგენდა 796 ლარს, შესაბამისად, კონტრაქტის „ბ“ ქვეპუნქტით გადასახდელი ჯარიმის თანხაა – 19104 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო ამ თანხის 30% – 5731.2 ლარი.

კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

სანივთე უზრუნველყოფის ფარგლებში სამხედრო სამსახურის განმავლობაში მოპასუხეზე გაცემული ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. მოპასუხე ვალდებულია სამინისტროს დაუბრუნოს მიღებული სანივთე უზრუნველყოფა ან/და აუნაზღაუროს ზიანის საკომპენსაციო თანხით.

სამართლებრივი: მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, 25¹ მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407-ე, 417-ე, 170-ე, 172-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესავებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ს. ბ-მა წერილობითი შესავებელი არ წარმოადგინა, თუმცა სასამართლოს სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო და აღნიშნა, რომ მას კონტრაქტის პირობები არ დაურღვევია. სანივთე ქონება კი სამინისტროს ჩააბარა, რაზეც ხელი აქვს მოწერილი. გათავისუფლების ბრძანება კი მას არ ჩაბარებია.

საქმის გარემოებები: ს. ბ-ი განვეული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და 2005 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ყუმბარმტყორცნელად.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 13 თებერვლის №... ბრძანებით მოპასუხე ს. ბ-ი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2008 წლის 30 იანვრიდან.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/ გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ს. ბ-ს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 17936,52 ლარის ანაზღაურება, ხოლო სარჩელი ჯარიმის თანხიდან – 19104 ლარიდან 1167,48 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის – 11924,76 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 5731,20 ლარისა და სანივთე ქონების ღირებულების – 164 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. ბ-მა დაარღვია 2005 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული კონტრაქტის პირობები, რაც დადგენილი და დადასტურებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 13 თებერვლის №... ბრძანებით და სამანდატო კომისიის 2008 წლის იანვრის №12 ოქმით.

მოპასუხემ 4 წლიდან იმსახურა მხოლოდ 2 წელი, 1 თვე და 16 დღე, სასამსახუროდ დარჩა 1 წელი, 10 თვე (სულ 22 თვე) და 16 დღე.

ს. ბ-ზე 2006 წლის თებერვლიდან 2007 წლის ივნისის ჩათვლით ხელფასის სახით გაცემულია – 8 447,39 ლარი, 2007 წლის აგვისტოდან 2008 წლის იანვრის ჩათვლით – 3477,37 ლარი (ხელზე ასაღები), სულ 11 924,76 ლარი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ სადავო გახადა კონტრაქტის პირობების დარღვევის ფაქტი.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს შეფასებით, კონტრაქტის მხრიდან დაირღვა კონტრაქტის პირობები, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე ფიზიკურ პირს შორის „თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიზანს წარმოადგენდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელება – სახელმწიფოს უზრუნველყოფა სამხედრო მოსამსახურეებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულია უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ს. ბ-თან გაფორმებული კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად – იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ორი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ დათხოვნისას არსებული ხელფასი უნდა დაანგარიშდეს 2 წელზე, ვინაიდან კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით საჯარიმო თანხა გათვალისწინებულია კონტრაქტით დარჩენილ ვადაზე და არა მთლიანად 2 წელზე. ს. ბ-ის შემთხვევაში კი დარჩენილი სასამსახურო ვადა, 1 წელი, 10 თვე და 16 დღეა.

სასამართლოს მსჯელობით, სარჩელით მოთხოვნილი ჯარიმის თანხიდან – 19 104 ლარიდან 1 167,48 ლარის მოთხოვნა უსაფუძვლოა და დაკმაყოფილებული ვერ იქნება.

სასამართლოს მიიჩნია, რომ ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია კონტრაქტის შეწყვეტის თარიღთან, ვინაიდან კონტრაქტის 7.3. მუხლით განსაზღვრული ჯარიმის თანხის გადახდის ვალდებულების დაწყების ვადის დენა პირდაპირ არის მიბმული კონტრაქტის შეწყვეტის თარიღის იურიდიულ ფაქტთან. ადმინისტრაციული ხელშეკრულება უნდა შეწყდეს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაც დატულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, თუმცა, როგორც აღინიშნა, 2008 წლის 13 თებერვლის ბრძანებით სამხედრო მოსამსახურესთან კონტრაქტი შეწყვეტილად ჩაითვალა უკანა რიცხვით – 2008 წლის 30 იანვრიდან, რაც ეწინააღმდეგება კანონს და დაუშვებელია.

მოსარჩელის მიერ არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ როდის ეცნობა მოპასუხეს კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც ვერ ირკვევა, როდის ამოინიშნა მოპასუხისათვის ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის ვადა და კონკრეტულად, რა დღიდან უნდა დაეკისროს მას პირგასამტეხლოს თანხის გადახდა.

სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, დადგენილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულებით დამატებითი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

პირგასამტეხლოს სახეობებიდან, როგორც წესი, გამოიყენება ჯარიმა და საურავი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების 7.3 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, ისევე როგორც 7.4 მუხლით გათვალისწინებული ყოველდღიური 0,2%-იანი გადასახდელი თანხა, ერთობლიობაში, სამართლებრივი ბუნებით, მხარეთა შორის შეთანხმებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც აშკარად შეუსაბამოა და მიიმე დღეში აყენებს მხარეს.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ არ არსებობს მოპასუხე მხარისათვის პირგასამტეხლოს (0,2%-ი) მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, იგი შეუსაბამოდ მაღალიცაა და ექვემდებარება მთლიანად შემცირებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ზიანის თანხაში (11 924,76 ლარი) გულისხმობს ს. ბ-ის მომზადებაზე დახარჯულ თანხას და სახელმწიფოს მხრიდან სხვა სამხედრო მოსამსახურეზე განუღებულ დანახარჯს, ვისაც ახალი კონტრაქტი გაუფორმეს ს. ბ-ის ნაცვლად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ს. ბ-თან 2005 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრულია სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული პირობები, ხოლო მე-8 მუხლით – სამხედრო მოსამსახურის მე-7 მუხლში აღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის „სამინისტროს“ მიერ აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები, სადაც აღნიშნულია ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურისათვის მიწოდებულ ქონებაზე (ფორმის ტანსაცმელი, აღჭურვილობა, იარაღი და ა. შ.), აგრეთვე, მოსამსახურის ბრალით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობისა და მისი გადახდის შესახებ.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს უნაზღაურდება ხელფასი ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.

იმავე ხელშეკრულების მე-5.1.5 პუნქტის თანახმად კი, სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს სამხედრო მოსამსახურე სასურსათო უზღუფით.

ხელშეკრულებაში არსადაა მითითებული სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებაზე, ანაზღაურდეს მასზე ხელფასის სახით გაცემული თანხები ხელშეკრულებიდან გასვლისას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, 11 924,76 ლარი როგორც ს. ბ-ზე, ასევე მის სანაცვლოდ სხვა პირის სამხედრო სამსახურში აყვანის გამო გახარჯული თანხაა, თუმცა მოსარჩელეს არც ამის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოუდგენია.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურებულად იქნება ჩათვლილი ს. ბ-ის ნაცვლად სხვა პირის აყვანა სამხედრო მოსამსახურედ და მისთვის 11 924,76 ლარის გადახდა, თვით ეს გარემოება ვერ გახდება მოსარჩელისათვის ს. ბ-ის მხრიდან ზიანის მიყენების ერთადერთ დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან ეს საკითხი სხვა სამართლებრივი ურთიერთობა სხვა პირთან. მოსარჩელისათვის ამით ქონებრივი ზიანის, როგორც ასეთის, მიყენებას ადგილი არ აქვს – ს. ბ-ი, ისევე, როგორც „მის ნაცვლად აყვანილი სხვა პირი“, იმსახურებდა ხელშეკრულების საფუძველზე და აიღებდა შესაბამის გასამრჯელოს (ხელფასს).

კონსტიტუციის 30-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე პუნქტით და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის შრომის უფლება – უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს. ამდენად, ის თანხა, რაც მიღებული აქვს ს. ბ-ს ხელფასის სახით – 11 924,76 ლარი, არ შეიძლება, ზიანად იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ს. ბ-ის მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდება, ეს „ზიანი“ არ გამომდინარეობს არც დელიქტიდან და არც კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, ვინაიდან 11924,76 ლარი არის უშუალოდ ს. ბ-ის ხელფასზე დახარჯული თანხა, რაც მას ისედაც ეკუთვნოდა 2005 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი

მოქმედების უშუალო შედეგს ს. ბ-ისათვის ეს „ზიანი“ წინასწარ სავარაუდო ვერ იქნებოდა, ვინაიდან ამგვარი რამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია არანაირი სახის მტკიცებულება, ჩააბარა თუ არა საერთოდ ს. ბ-ს რაიმე ნივთები და რა ღირებულებისაა თითოეული ნივთი.

ასეთ ვითარებაში კი, მოპასუხისათვის „ამ ნივთების“ ღირებულების ანაზღაურების დავალდებულება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მონინალმდეგე მხარე: ს. ბ-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, სასამართლომ არასწორად მოახდინა მოპასუხეზე დასაკისრებელი კონტრაქტით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის დაანგარიშება. სასამართლომ ჯარიმის თანხა დაიანგარიშა დარჩენილი წლების რაოდენობაზე ანუ 2 წლის დარჩენილ ვადაზე, მაგრამ, კონტრაქტის 7.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბოლო თვის ხელფასი უნდა გადამრავლდეს მთლიანად ორ წელზე და არა 2 წლის დარჩენილ ვადაზე. სასამართლომ პირგასამტეხლოზე და სანივთე ქონების კომპენსაციაზეც უსაფუძვლოდ უთხრა უარი თავდაცვის სამინისტროს.

აპელანტის მითითებით, სასამართლოს მოტივაცია და გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრულია.

სადავო ურთიერთობაში მონინალმდეგე მხარეს სადავო არ გაუხდია ხელშეკრულების პირობები, აქედან გამომდინარე გაუგებარია რაიონული სასამართლოს მოტივაცია ჯარიმისა და პირგასამტეხლოს იდენტიფიკაციის შესახებ.

აპელანტის მოსაზრებით, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირებას, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულების მე-16 და მე-17 თავები ამდენად, ყოვლად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირგასამტეხლოს მოთხოვნა უშუალოდ გამომდინარეობს კონტრაქტის 7.3, 7.4 მუხლებიდან.

სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი.

სამართლებრივი: მხარეები ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებითად შეთანხმდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მონინალმდეგე მხარეს არ წარუდგენია მის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ მას სამინისტროსგან არ მიუღია ქონება, შესაბამისად, იგი მოპასუხეს უკან უნდა დაებრუნებინა, ხოლო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში.

მონინალმდეგის შეპასუხება:

მოტივები: ფაქტობრივი: მონინალმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენია თუმცა, სასამართლო სხდომაზე სააპელაციო საჩივარი არ ცნო, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 აპრილის განჩინებით (სასამართლო სხდომის ოქმი) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ჯარიმის სახით 1167,48 ლარის დაკისრების თაობაზე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ბოლო ორი წლის ხელფასის სახით დაანგარიშება გულისხმობს არა მთლიანად ორი წლის ხელფასის, არამედ ორი წლის დარჩენილი ვადის ხელფასის გათვალისწინებას. ანუ, ბოლო ორი წლის განმავლობაში, რაც დარჩენილი აქვს მოსამსახურეს სამსახურის ვადა, იმ დარჩენილი ვადის გათვალისწინებით უნდა გამოანგარიშდეს ჯარიმა და არა მთლიანად ბოლო ორი წლის ვადისა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა მოპასუხისათვის სანივთე ქონების კომპენსაციის სახით 164 ლარის დაკისრების თაობაზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ თავდაცვის სამინისტრომ ვერ წარადგინა მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, თუ რა სახის ქონება გადასცა ს. ბ-ს და რა ღირებულებების იყო ეს ქონება.

სააპელაციო პალატის დასკვნით, უსაფუძვლოა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მსჯელობა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის დაკისრების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებასა და ფინანსური პასუხისმგებლობის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ვალდებულების დროული შეუსრულებლობის პრევენციული ფუნქცია. ამასთან, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ლეგალური საშუალება და კრედიტორის აქცესორული უფლებაა – არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე, ხოლო ძირითადი უფლების ნამდვილობის იურიდიული აღიარება-დადასტურება და საპროცესო ლეგიტიმაცია პირგასამტეხლოს დაკისრების უდავო საფუძველია.

სასამართლოს მსჯელობით, ჯარიმა (საურავი) პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ჯარიმას ცალკე როგორც ვალდებულების შესრულების საგარანტიო ღონისძიებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთოდ არ ცნობს. სააპელაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, ფაქტობრივად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით რეგლამენტირებულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მოპასუხისათვის ზიანის სახით 11924,76 ლარის დაკისრების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ზიანის სახით ითხოვს იმ თანხის გადახდას, რომელსაც ს. ბ-ი თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დროს იღებდა ხელფასის სახით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს ევალებოდა დაესაბუთებინა მოპასუხის მხრიდან მისთვის მიყენებული ზიანი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“. სასამართლოს მოსაზრებით, იმასთვის, რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც წესი, უნდა არსებობდეს ოთხი პირობა ერთდროულად: 1. უნდა არსებობდეს ზიანი; 2. ზიანი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; 3. მიზეზობრივი კავშირი უნდა იყოს პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; 4. ზიანის მიმყენებელს ბრალი უნდა მიუძღვოდეს ზიანის მიყენებაში (გარდა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებისა). ამრიგად, იმისათვის, რომ არსებობდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, აუცილებელია სახეზე იყოს თვითონ ზიანი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ს. ბ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რაიმე სახის ზიანი მიაყენა. კონტრაქტის პირობების დარღვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ ზიანის მიყენებად. მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში არსად არ არის მითითებული სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებაზე, აანაზღაუროს მასზე ხელფასის სახით გაცემული თანხები ხელშეკრულებიდან გასვლისას ან ხელშეკრულების შეწყვეტისას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო აქტები ავალდებულებს დამსაქმებელს დასაქმებულს აუნაზღაუროს ხელფასი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შესრულებული სამუშაოსათვის მოსამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესით მიღებული ხელფასის უკან დაბრუნების მოთხოვნა იქნებოდა როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების უხეში დარღვევა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნები და მსჯელობები სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

კასატორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მონინალმდგე მხარე: ს. ბ-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: მოსარჩელის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველია-

ნობის შემონახვა შეუძლებელია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის აზრით ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება დაუშვებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის და პირგასამტეხლოს რეგლამენტირების, როგორც კონტრაქტის დარღვევით გამოწვეულ ფინანსური პასუხისმგებლობის განსხვავებულ სახეებს პირდაპირ ადგენს და მიუთითებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულება. ამდენად, ყოველად დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯარიმის და პირგასამტეხლოს გაიგივება.

კასატორის განმარტებით, ჯარიმა და პირგასამტეხლო ერთი და იგივე რომც იყოს, ასეთ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა არ უკრძალავს თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, როგორც ფიქსირებულად – ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე ფიქსირებული ჯარიმის თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში. პირგასამტეხლო შეადგენს საჯარიმო თანხის 30%-ს, რასაც არ შეიძლება ეწოდოს შეუსაბამოდ მაღალი. კონტრაქტის 7.4 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებითვე შემცირდა ფიქსირებულ თანხამდე. ამასთანავე, სასამართლომ ვერ დაასაბუთა რა მძიმე მდგომარეობაში აყენებს მხარეს მოცემული თანხის გადახდა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ არ დააკამყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მონინალმდევე მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც გააბათილებდა სანივთე ქონების დავალიანების არსებობას.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის წინაპირობა, 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით დასაშვებად მიიჩნია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 აპრილის განჩინება (სასამართლო სხდომის ოქმი) შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სსკ-ის 407.2. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2005 წლის 15 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ბ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებულებული ჯარიმის სახით ანაზღაურებინა სამინისტროს მიერ მასზე გათვალისწინებული ფულადი თანხები, ხოლო აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 13 თებერვლის №627 ბრძანების შესაბამისად, ს. ბ-ი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სამართლებრივი შეფასებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის განჩინებაში (საქმეზე №ბს-1580-1509(კ-09) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ა. რ-ის მიმართ) ჩამოყალიბებულ განმარტებას: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილება – ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინონ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, მათ შორის, პირგასამტეხლო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით დეფინირებულია პირგასამტეხლოს ცნება – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირგასამტეხლო ერთდროულად განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად. პირგასამტეხლოს გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა, ის წარმოადგენს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ, ასევე – ვალდებულების შეუსრულებლობის საფასურის ოდენობის გამორკვევის (განსაზღვრის) მექანიზმს. პირგასამტეხლოს 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. მოვალეს უზიძვოს ვალდებულების შესრულებისკენ, არახელსაყრელი პერსპექტივის (ჯარიმა შეუსრულებლობისათვის) მოლოდინის გამოისობით.

ან

2. წინასწარ განსაზღვროს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის მოცულობა.

დასაშვებია, პირგასამტეხლოში შემავალი თანხის ოდენობის გამოთვლის წესი სხვადასხვაგვარი იყოს ხელშეკრულების ან მისი შეუსრულებელი ნაწილის თანხის პროცენტის სახით.

ტრადიციულად, პრაქტიკაში პირგასამტეხლოს მრავალსახეობიდან გამოიძინარე, გამოიყენება ჯარიმა და საურავი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუკი ჯარიმასთან მიმართებით რთულია გამოიყოს რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, საურავის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სპეციფიკური ნიშნები თვალსაჩინოა. ისინი გამოიხატება იმაში, რომ საურავი დგინდება ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, ანუ ის მოწოდებულია უზრუნველყოს მხოლოდ ვალდებულების თავისდროული შესრულება. საურავი, როგორც წესი, გამოითვლება პროცენტებში ვადაში შეუსრულებელი ვალდებულების თანხასთან მიმართებით. საურავი წარმოადგენს განგრძობად პირგასამტეხლოს, რომელიც გადაიხდევინება ყოველი მომდევნო პერიოდის (მაგ. ყოველდღიურად) გადაცილების ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობისათვის.

წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამსახურის დატოვების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შეთანხმდნენ ჯარიმის სახით კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხების (სამხედრო მოსამსახურის ხელფასის) 10 დღის ვადაში ანაზღაურების თაობაზე, რაც, სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, წარმოადგენს პირგასამტეხლოს.

საკასაციო სასამართლო სარჩელის საფუძვლის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს ორივე სახე: ჯარიმა და მისი ვადაში გადაუხდელობისთვის – საურავი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ შედეგებს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეამციროს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლო მხედველობაში იღებს არა მარტო მის ქონებრივ, არამედ ყველა სხვა პატივსადავებ ინტერესს. სასამართლო აფასებს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან“.

განსახილველ შემთხვევაში მართალია, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დადგენილი პირგასამტეხლოს სახე – ჯარიმა, ფულად ოდენობაში დაანგარიშებულია სამხედრო მოსამსახურის დარჩენილი წლების ხელფასის ოდენობით, რაც არსებული სოციალური ფონისა და ს. მბ-ურის მდგომარეობის გათვალისწინებით, აშკარად შეუსაბამოა და მძიმე დღეში აგდებს მხარეს. ამის მიუხედავად, ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე კიდევ დაწესდა მისი ვადაში გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს მეორე სახე – საურავი – კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნტით გადასახდელი ჯარიმის – 19104 ლარის 30% - 5731,2 რაც უდავოდ მძიმე სახელშეკრულებო დათქმაა და შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს 2011 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ თავს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: „სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოიყენებული ჯარიმა და საურავი, წარმოადგენს პირგასამტეხლოს, რომლის ოდენობა ჯამურად შეუსაბამოდ მაღალია.

საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ს. ბ-ისათვის დარჩენილი ჯარიმის – 1167,58 ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლობასთან მიმართებაში და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტავს:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ბ-ს შორის გაფორმებული კონტრაქტის 7.3 მუხლი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსა და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი სურვილით და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ

შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის ანაზღაურებინა მასზე კონტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთ წლამდე და 1 წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; 2) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით. გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5000 ლარის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილია, რომ კონტრაქტით დარჩენილი ვადა შეადგენს 2 წელს, 1 თვესა და 16 დღეს, ხოლო მოსამსახურის ხელფასი – 796 ლარს, ანუ ჯარიმის თანხა შეადგენდა 796X22+26,53X16=17936 ლარს.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურების ნაწილში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთ პრინციპი – ოფიციალობის პრინციპი არ ათავისუფლებს მხარეებს მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულებისაგან და სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების მსგავსად, თითოეული მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კი ვერც რაიონულ და ვერც სააპელაციო სასამართლოში ვერ უზრუნველყო საკუთარი საპროცესო უფლებების რეალიზება და იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც დაადასტურებდა ს. ბ-ის მიერ სანივთე ქონების ჩაუბარებლობის ფაქტს, მით უფრო იმ დროს, როცა ს. ბ-მა რაიონულ სასამართლოში სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ მან ჩააბარა სანივთე აღჭურვილობა, რაზეც ხელიც აქვს მოწერილი, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას გაიზიაროს საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი მოსაზრებები სანივთე ქონების დავალიანების არსებობის ფაქტთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.2, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 აპრილის განჩინება (სასამართლო სხდომის ოქმი);
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯარიმა – ადმინისტრაციული სახდელის სახე

ბანჩინება

№ბს-1599-1575(კ-11)

9 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 20 იანვარს რ. ფ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილების უფროსმა 2010 წლის 14 ნოემბერს მიიღო დადგენილება, რ. ფ-ის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, რაც გულისხმობს სამხედრო სარეზერვო

სამსახურში გამოუცხადებლობას სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული დადგენილება მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში გაასაჩივრა, რომლის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ფ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გამოძახების შემდეგ იგი გამოცხადდა გამწვევ კომისიაში და განაცხადა, რომ არის სასულიერო პირი (იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციაში მსახურობს მღვდელთმსახურად), რის საფუძველზეც იგი უნდა გაენთავისუფლებინათ სარეზერვო სავალდებულო სამსახურიდან. მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოცხადდა და მოგვიანებით ცნობაც წარადგინა, გამწვევმა კომისიამ საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, მისი დოკუმენტები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილებაში გადააგზავნა. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოში იგი სხდომას არ დასწრებია და არ მიეცა საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. მოსარჩელის მოსაზრებით, კომისიას უნდა შეესწავლა აღნიშნული საკითხი და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოეტანა გადაწყვეტილება სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან რ. ფ-ის განთავისუფლების თაობაზე.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი არასაპატიოდ ჩაეთვალა 2010 წლის 3 ნოემბერს სამხედრო სარეზერვო სამსახურში წასასვლელად გათვალისწინებულ შეკრების ადგილას მისი გამოუცხადებლობა. ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რაც უნდა ეცნობებინა მისთვის. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების ყველა ინსტანციაში გასაჩივრებით, თუ გადაწვეტილება დარჩებოდა უცვლელი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა კანონიერი გადაწყვეტილება მისი დაჯარიმების თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლზე, აგრეთვე „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე და განმარტა, რომ სამართალდარღვევას წარმოადგენს არა განწვევის ადგილას და განწვევის დროს გამოუცხადებლობა, არამედ, სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება არასაპატიო მიზეზით. მოსარჩელის მოსაზრებით, მას არ ჩაუდენია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“ დღეს რეგისტრირებულია, როგორც რელიგიური ორგანიზაცია, ხოლო იეჰოვას მოწმე უზუცესები, იგივე ეპისკოპოსები არიან მღვდელთმსახურები ანუ სასულიერო პირები. „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ვრცელდება ყველა აღმსარებლობის სასულიერო პირზე, ეს კანონი არ ახდენს რელიგიების დიფერენციაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-9, მე-14, მე-19 მუხლების, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლების უხეში დარღვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ასევე, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 იანვრის განჩინებით რ. ფ-ის სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 თებერვლის განჩინებით რ. ფ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოპასუხეზე დავალდებულების ნაწილში; რ. ფ-ის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილების უფროსის მ. ნ-ის 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის დ. ჩ-ის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა

და გურიის რეგიონალური სამმართველოს პატრულის განყოფილება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს თავდაცვის სამინისტროთი. ამავე საოქმო განჩინებით რ. ფ-ის სარჩელთან დაკავშირებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული საქმე განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით რ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ფ-მ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის განჩინებით რ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2010 წლის 14 ნოემბერს რ. ფ-ის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №163, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შესაბამისად, მასზედ, რომ იგი ქ. ქუთაისის მერიის სამხედრო საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიერ გაფრთხილებულ იქნა, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს უნდა გამოცხადებულიყო რეზერვისტა შეკრებაზე, მაგრამ რ. ფ-მ საპატიო მიზეზის გარეშე აღნიშნულ შეკრებაზე გამოცხადებას თავი აარიდა. სამართალდარღვევის ოქმში რ. ფ-მ მიუთითა, რომ 2010 წლის 26 ოქტომბერს იმყოფებოდა ქ. გორში. მას დაუკავშირდნენ ქ. ქუთაისიდან და აცნობეს, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს უნდა გამოცხადებულიყო რეზერვისტა შეკრებაზე. 2010 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა, სადაც აუხსნა, რომ იყო იეჰოვას მოწმე და მისი რწმენის საფუძველზე თავს იკავებდა რეზერვისტა შეკრებაზე წასვლაზე. დროის სიმცირის გამო მან განსაზღვრულ დროში ვერ მოახერხა შესაბამისი ცნობის წარდგენა, რის გამოც ვერ გამოცხადდა რეზერვისტა შეკრებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³, 220-ე, 226-ე, 271-ე და 273-ე მუხლების საფუძველზე, რ. ფ-ს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შეზღუდვის, დაედო ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 500 ლარით. 2010 წლის 19 ნოემბერს რ. ფ-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს, რომლითაც აღნიშნული დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, 2010 წლის 8 დეკემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და საჩივრის მის დაუსწრებლად განხილვა მოითხოვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რ. ფ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილება რ. ფ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“ ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გაცემული გ№... ცნობის თანახმად, რ. ფ-ე 2002 წლის 13 აპრილიდან წარმოადგენს იეჰოვას მოწმეს, ხოლო 2009 წლის 13 ივლისიდან მსახურობს მღვდელმსახურად, იეჰოვას მოწმეების რელიგიურ ორგანიზაციაში.

ამასთან, ქ. ქუთაისის სამხედრო საქალაქო სამსახურის უფროსის 2011 წლის 24 იანვრის №... წერილით დასტურდება, რომ რ. ფ-ის მიერ წარდგენილი იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გაცემული ცნობის საფუძველზე „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე განთავისუფლდა სარეზერვო სამსახურში განვევისაგან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 27 ნოემბრის №795 ბრძანებით დაგეგმილ 2010 წლის 3 დეკემბრის სამხედრო სარეზერვო განვევაზე მისი გამოძახება არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს პირის მიერ სამ-

ხედრო სარეზერვო სამსახურში გამოუცხადებლობა სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამოვლენ მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ვალდებულება ითვალისწინებს: ა) სამხედრო აღრიცხვას; ბ) სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას; გ) სამხედრო სამსახურს; დ) რეზერვს. ამავე კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური იყოფა სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიულ), კადრის სამხედრო სამსახურებად და რეზერვად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოქალაქე (წვევამდელი, რეზერვისტი), რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის გამოძახებით მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, ჩათვლება სამხედრო ვალდებულების შესრულებისათვის ან სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდებად და დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოქალაქე (წვევამდელი, რეზერვისტი), რომელიც სამხედრო სამსახურში ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში განკვევის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის უწყების მიღებისას მითითებულ ვადაში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, ან უკანონოდ განთავისუფლება სამხედრო სამსახურიდან ან/და გადაუვადდება იგი, დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის გამოძახებით გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, დოკუმენტური დადასტურებით, არის მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან აღმზრდელის გარდაცვალება, ავადმყოფობა, აგრეთვე სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებანი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო სარეზერვო სამსახურის ორგანიზებას, კატეგორიებს, ფორმირებისა და გავლის წესს. მითითებული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება მობილიზაციის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მხარდასაჭერად. ამ კანონით განსაზღვრული წესით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობაა. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურში გასაწვევად გამოიძახებს და შემკრებ პუნქტში მიიყვანს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ადგილი განისაზღვრება შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ შემუშავებული გეგმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ამავე კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს, რომ პირს, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო განყოფილების უწყების მიღებისას მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან სხვაგვარად აარიდებს თავს სამხედრო სარეზერვო სამსახურს, დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2010 წლის 26 ოქტომბერს ქ.ქუთაისის მერიის სამხედრო საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი ტელეფონით დაუკავშირდა რ. ფ-ს და გააფრთხილა, რომ იგი უნდა გამოცხადებულიყო ქ. ქუთაისის სამხედრო საქალაქო სამსახურში სარეზერვო შეკრებასთან დაკავშირებით, რომელიც დაგეგმილი იყო 2010 წლის 3 ნოემბერს; ხოლო 2010 წლის 3 ნოემბერს რ. ფ-ე რეზერვისტთა შეკრების ადგილზე არ გამოცხადებულა, არ წარუდგენია სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისაგან განთავისუფლების ან გადავადების დამადასტურებელი მტკიცებულება და არც კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი ყოფილა დასახელებული.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილი ცნობის თარიღი (04.11.2010წ), ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მის მიერ მიცემული განმარტება ცხადყოფს, რომ რ. ფ-ს 2010 წლის 3 ნოემბრისათვის რაიმე სახის მტკიცებულება სამხედრო სარეზერვო სამსახურისაგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით არ წარუდგენია, არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ყოფილა დასახელებული. მოსარჩელეს არ წარუდგენია სამართალდარღვევის ოქმში მითითებული გარემოების გამაბათილებელი შესაბამისი მტკიცებულება. ამდენად, მოსარჩელის მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, იგი ბრალეულია მის ჩადენაში და ექვემდებარება პასუხისმგებლობას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი დრო ცნობის წარსადგენად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით, კერძოდ,

სატელეფონო შეტყობინებით დასტურდება, რომ 2010 წლის 26 ოქტომბერს აპელანტს ეცნობა, რომ უნდა გამოცხადებულიყო ქუთაისის სამხედრო საქალაქო სამსახურში სარეზერვო შეკრებასთან დაკავშირებით, რომელიც დაგეგმილი იყო 2010 წლის 3 ნოემბრისათვის. ანუ აპელანტისთვის 26 ოქტომბრიდან იყო ცნობილი, რომ უნდა გამოცხადებულიყო სამხედრო სარეზერვო სამსახურში, მას ჰქონდა საკმარის დრო ცნობის წარსადგენად, მაგრამ აპელანტმა ცნობა წარადგინა მხოლოდ 2010 წლის 11 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ საქალაქო სასამართლომ განზრახ მიიღო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება სხვა მსგავს ადმინისტრაციულ საქმეებზე და რომ მას ეკუთვნოდა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან თავისუფლდებიან სასულიერო პირები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტს კომისიისთვის არ უცნობებია, რომ იგი იყო სასულიერო პირი, მან განმარტა, რომ იყო იეჰოვას მოწმე და თავისი რწმენის საფუძველზე თავს იკავებდა რეზერვისტთა შეკრებაზე წასვლისაგან.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ვაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი) იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულ იქნა კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, არ არსებობდა სადავო აქტების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ფ-მ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც საქალაქო სასამართლომ, არასწორი შეფასება მისცა საქმეზე არსებულ მტკიცებულებებს და სათანადოდ არ შეაფასა საქმის გარემოებები.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული 2010 წლის 14 დეკემბრის ადმინისტრაციული აქტით დადგენილია და ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს, რომ რ. ფ-ს 2010 წლის 26 ოქტომბერს სატელეფონო შეტყობინებით აცნობეს სარეზერვო სამსახურში განვების შესახებ და იგი გამწვევ კომისიაში 2010 წლის 28 ოქტომბერს დაახლოებით 13.00 საათზე გამოცხადდა. კასატორის მითითებით, აღნიშნულ გარემოებას დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოც, თუმცა თავის გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ რ. ფ-ე მისთვის შეტყობინებიდან ანუ 2010 წლის 26 ოქტომბრიდან 2010 წლის 3 ნოემბრამდე არ გამოცხადებულა გამწვევ კომისიაში. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან, თუ რ. ფ-ე არ გამოცხადდა უწყების შეტყობინებიდან მითითებულ ვადაში, მაშინ როგორ მოითხოვა მან სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლება, ხოლო თუ გამოცხადდა რატომ ეკისრება მას პასუხისმგებლობა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი როდესაც მას პასუხისმგებლობა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში გამოუცხადებლობისათვის დააკისრა, ვინაიდან, „სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შესაბამისად, რეზერვისტს პასუხისმგებლობა ეკისრება თუ იგი არ გამოცხადდა თვითმმართველობის ორგანოს გამწვევ კომისიაში და არა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა ის გარემოება, რომ მან თითქოს სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლება მხოლოდ იმის გამო მოითხოვა, რომ იეჰოვას მოწმეა და არა იმის გამო, რომ სასულიერო პირია. კასატორის განმარტებით, მას პრეტენზია აქვს როგორც სასულიერო პირს და არა როგორც უბრალოდ რიგით მორწმუნეს, ვინაიდან, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, თავისუფლდება მხოლოდ სასულიერო პირი და არა უბრალოდ რიგითი მორწმუნე.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ თუ მისი სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლების მოთხოვნა არასწორად იყო ფორმულირებული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო რ. ფ-ისათვის განემარტა მისი უფლებები, ხოლო თუ მას არ ჰქონდა წარდგენილი შესაბამისი ცნობა, მაშინ ამავე კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს რ. ფ-ისათვის ცნობის წარსადგენად უნდა მიეცა დამატებითი ვადა, მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 15 დღე. კასატორის მითითებით, მან ადმინისტრაციულ ორგანოს პირდაპირ მოსთხოვა დამატებითი ვადა ცნობის წარსადგენად, რადგან ცნობა წარსადგენი იყო თბილისიდან რელიგიური ორგანიზაციიდან; სწორედ ამის გამო იყო ცნობა მომზადებული 4 ნოემბერს.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რ. ფ-ე 2010 წლის 3 ნოემბრამდეც სასულიერო პირი იყო და ამიტომ მას სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი ჰქონდა. აღნიშნულის ნაცვლად კი სასამართლომ მიუთითა, რომ ცნობა 2010 წლის 4 ნოემბერს იყო გაცემული, რის გამოც რ. ფ-ე არ განთავისუფლდა სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან.

კასატორის მითითებით, სააკველიციო სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს არსებობდა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით დასჯადი ქმედების შემადგენელი ნაწილები.

კასატორი უთითებს, რომ მის უფლებებს, როგორც პირის, რომელიც მრწამსის გამო უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე, იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 6.2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამასთან, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (რომელსაც საქართველო 1994 წლის 3 მაისს შეუერთდა) მე-18 მუხლი ასევე იცავს იმ პირთა უფლებებს, რომლებიც მრწამსის გამო უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის გავლაზე.

კასატორის მითითებით, იმ პირთა უფლებები, რომლებიც სინდისის გამო უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე, ნათლად არის გამოხატული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე – ბაიათინი სომხეთის წინააღმდეგ. კასატორის მითითებით, დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ იმ პირებისათვის ბრალის დადება და დაპატიმრება, რომლებიც მრწამსის გამო უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის გავლაზე, არღვევს კონვენციის მე-9 მუხლს (გადაწყვეტილების თარგმანი ერთვის საკასაციო საჩივარს).

კასატორის განმარტებით, განსახილველი საქმიდან ნათლად ჩანს, რომ მას ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრა მანამ, სანამ ადმინისტრაციული ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას მის განთავისუფლებასთან დაკავშირებით და ამავე დროს არანაირი ყურადღება არ მიექცა იმ ფაქტს, რომ რ. ფ-ის უფლებებს, როგორც პირის, რომელიც მრწამსისა და სინდისის გამო უარს აცხადებს სამხედრო სამსახურის შესრულებაზე იცავს საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. ამასთან, კასატორის მითითებით, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პასუხისმგებელმა პირებმა იცოდნენ, რომ იგი იეჰოვას მოწმეა და ბიბლიით განსწავლული სინდისი უფლებას არ რთავს მონაწილეობა მიიღოს სამხედრო საქმიანობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული რ. ფ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინებით რ. ფ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ რ. ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2010 წლის 14 ნოემბერს რ. ფ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შესაბამისად, შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი №163, მასზედ, რომ იგი ქ. ქუთაისის მერიის სამხედრო საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიერ გაფრთხილებულ იქნა, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს გამოცხადებულიყო რეზერვისტთა შეკრებაზე, მაგრამ რ. ფ-მ საპატიო მიზეზის გარეშე აღნიშნულ შეკრებაზე გამოცხადებას თავი აარიდა. ახსნა-განმარტებაში რ. ფ-ე აღნიშნავს, რომ 2010 წლის 26 ოქტომბერს იმყოფებოდა ქ. გორში. მას დაუკავშირდნენ ქ. ქუთაისიდან და აცნობეს, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს უნდა გამოცხადებულიყო რეზერვისტთა შეკრებაზე. 2010 წლის 1 ნოემბერს იგი გამოცხადდა და აუხსნა, რომ იყო იეჰოვას მოწმე და მისი რწმენის საფუძველზე თავს იკავებდა წასულიყო რეზერვისტთა შეკრებაზე. დროის სიმცირის გამო მან განსაზღვრულ დროში ვერ მოახერხა შესაბამისი ცნობის წარდგენა, რის გამოც ვერ გამოცხადდა რეზერვისტთა შეკრებაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³, 220-ე, 226-ე, 271-ე და 273-ე მუხლების საფუძველზე, რ. ფ-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლის შეზამისად, დაედო ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 500 ლარით. რ. ფ-მ, აღნიშნული დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რაც 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის რეგიონალური სამმართველოს 2010 წლის 14 ნოემბრის დადგენილება რ. ფ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სა-

მართლდარღვევათა კოდექსის 197³ მუხლით გათვალისწინებული სამართლდარღვევის გამო, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“ ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გაცემულ №... ცნობის ასლზე, რომლის თანახმად, რ. ფ-ე 2002 წლის 13 აპრილიდან წარმოადგენს იეჰოვას მოწმეს, ხოლო 2009 წლის 13 ივლისიდან მსახურობს მღვდელთმსახურად იეჰოვას მოწმეების რელიგიურ ორგანიზაციაში.

ამასთან, ქ. ქუთაისის სამხედრო საქალაქო სამსახურის უფროსის 2011 წლის 24 იანვრის №... წერილით დასტურდება, რომ რ. ფ-ის მიერ წარდენილი იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გაცემული ცნობის საფუძველზე „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რ. ფ-ე განთავისუფლდა სარეზერვო სამსახურში განწვევისაგან, რის გამოც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 27 ნოემბრის №795 ბრძანებით დაგეგმილ 2010 წლის 3 დეკემბრის სამხედრო სარეზერვო განწვევაზე მისი გამოძახება აღარ მომხდარა.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილებაზე, საქმე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №477) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირთა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია. ყველა სხვა უფლების მსგავსად, ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ეს უფლება, სასიცოცხლოდ აუცილებელია და არსებითად განმსაზღვრელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობის, განვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული რწმენის თავისუფლება, თავისი ყველაზე საწყისი გაგებით, გულისხმობს, სახელმწიფოსგან ჩარევის გარეშე, ამა თუ იმ რწმენის გაზიარებას, არჩევას, საკუთარი თავის მისდამი მიკუთვნებას (პოზიტიური თავისუფლება), ან უარყოფას, შეცვლას (ნეგატიური თავისუფლება), ანუ ადამიანის აზროვნების შინაგანი სფეროს დაცვას. ამავდროულად, რწმენის თავისუფლება მოიცავს მისი გამოვლენის – რწმენის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც (მოქმედების სფერო). რწმენის თავისუფლება არარეალური და არარეალიზებადი იქნება, მის შესაბამისად ადამიანების კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. უფლებას შინაარსი გამოეცლება, თუკი მისი ნაწილი არ იქნება კონკრეტული რწმენის საფუძველზე და მის შესაბამისად ქმედება, ეს პრაქტიკულად ამ უფლების უარყოფამდე მიგვიყვანს, რადგან რწმენის მხოლოდ ქონა არაფერს იძლევა თავად ამ უფლებით სრულყოფილად სარგებლობის თვალსაზრისით. თუ არ არის გარანტიები რწმენის შესაბამისად ცხოვრების წესის წარმართვისა და განვითარებისათვის, აზრი ეკარგება საერთოდ ამ უფლების აღიარებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ: 1) სამხედრო სარეზერვო სამსახური თავისი შინაარსითა და სიმძიმით უტოლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურს, რის გამოც, ის სამხედრო სამსახურის მსგავსად, პოტენციურად წარმოშობს ლეგიტიმურ საფუძველებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის; 2) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა გამოორიციხავს რეზერვში გასანვევ პირთა ან სარეზერვო სამსახურში მყოფთა შესაძლებლობას, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური; 3) შესაბამისად, სადავო ნორმით ხდება რწმენის თავისუფლებაში ჩარევა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს სამოქალაქო სამსახურს, არის გონივრული კომპრომისის მიღწევის გზა კონსტიტუციურ უფლებასა და ქვეყნის დაცვის კონსტიტუციურ ვალდებულებას შორის. საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებით, საქართველოს კონსტიტუციაში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა არ არის ან ვერ იქნება მოაზრებული რწმენის თავისუფლების შემადგენელ უფლებრივ კომპონენტად.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამხედრო სარეზერვო სამსახურში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა განწვევა წარმოადგენს რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებლად მძიმე ჩარევას, ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას, რომელიც პრაქტიკულად უფლებით სარგებლობის შეუძლებლობას უტოლდება. საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებით, რწმენის თავისუფლებისა და საჯარო ინტერესების დაბალანსების გზად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური შემოიღო საქართველოს კანონმდებელმაც (სხვა სახელმწიფოების მსგავსად), ოღონდ ეს შესაძლებლობა არ გაავრცელა ყველა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირზე, რითაც დაარღვია მათი რწმენის თავისუფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ რეზერვში გასანვევ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს, წვევამდებლობისაგან განსხვავებით, არ აქვთ ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის უფლება (ამ დროს სამხედრო სარეზერვო სამსახურში განვევისგან თავისუფლებიან მხოლოდ ის პირები, ვინც უკვე მოიხადა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური). მაგრამ სადავო ნორმის, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართების სწორად დადგენისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ნორმა არ ეხება წვევამდებლებს, ის მხოლოდ რეზერვისტებს ეხება. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იწვევს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა რწმენის თავისუფლების დარღვევას. როდესაც ნორმა, ერთი მხრივ, იწვევს კონკრეტული პირების რწმენის თავისუფლების დარღვევას, ხოლო, მეორე მხრივ, ზუსტად რწმენის ნიშნით, ახდენს იგივე პირების დიფერენცირებას დანარჩენი პირებისაგან, ანუ რწმენის ნიშნით დიფერენცირებულ პირთაგან ნაწილის რწმენის თავისუფლების დარღვევას იწვევს, შეუძლებელია ის კანონის წინაშე რწმენის ნიშნით თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს პასუხობდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნათელია, რომ კანონი, რომელიც პირდაპირი ჩანანებით (გზით), სიტყვასიტყვით აკრძალავს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამოვლენის შესაძლებლობას და დაავალდებულებს პირებს, მათი რწმენის გაუთვალისწინებლად, სხვა მოქალაქეების მსგავსად მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური, ანუ კანონი, რომლის უშუალო მიზანიც არის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა სხვა მოქალაქეებთან გათანაბრება სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულებასთან მიმართებით, დაარღვევს მათი რწმენის თავისუფლებას. ასევე ლოგიკურია, რომ კანონი, რომელიც არაპირდაპირი გზით იდენტური შედეგის მომტანია, დამოუკიდებლად იმისა, რომ მისი რეგულირების საგანი და უშუალო მიზანი განსხვავებული რწმენის ადამიანების გათანაბრება არ არის, ასევე არღვევს ადამიანის უფლებას რწმენის გამოვლენაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორმა – რ. ფ-მ 2011 წლის 29 დეკემბერს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. კასატორმა მის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას აღნიშნულის გათვალისწინება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სრულყოფილად არ იმსჯელეს დავის საგანზე და სათანადო შეფასება არ მისცეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არსებითად განეხილა საქმე, დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო საკითხისათვის და მიეღო სათანადო გადაწყვეტილება, სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მიუცია სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი, გამომწვევი მნიშვნელობის მქონე ფაქტისათვის, კერძოდ, მოსარჩელე – რ. ფ-ე წარმოადგენს თუ არა სუბიექტს, რომელსაც გააჩნია „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება“ და რომელიც კანონის საფუძველზე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ვალდებულებისაგან თავისუფლდება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას და სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს, რომ მოსარჩელეს – რ. ფ-ს პრეტენზია აქვს როგორც სასულიერო პირს და არა როგორც უბრალოდ რიგით მორწმუნეს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლებულ სუბიექტთა წრეს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან თავისუფლებიან სასულიერო პირები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია „იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაცია საქართველოში“ ადმინისტრაციის თავმჯდომარის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გაცემული №... ცნობის მხოლოდ ასლები, რომლის თანახმად, რ. ფ-ე 2002 წლის 13 აპრილიდან წარმოადგენს იეჰოვას მოწ-

მეს, ხოლო 2009 წლის 13 ივლისიდან მსახურობს მღვდელთმსახურად, იეპოვას მონაწილის რელიგიურ ორგანიზაციაში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სასამართლოში წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იყოს დედნის სახით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ცნობის დედნის სახით წარმოდგენა და სათანადო შეფასება უნდა მისცეს რამდენად წარმოდგენს რ. ფ-ე „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს განსაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე და დაადგინოს განსახილველ შემთხვევაში არსებობდა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197² მუხლის შესაბამისად რ. ფ-ის დაჯარიმების სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა ობიექტური შეფასება, რის შედეგადაც გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს განსაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს განსაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ თავისმხრივ საქმის ხელახლა განხილვისას საკასაციო სასამართლოს მიუთითებების გათვალისწინებით საქმეზე უნდა მიიღოს სათანადო, დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. რ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმის თანხის გაანგარიშება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1756-1724(კ-11) 27 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: რ. ა-ე

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 27774.03 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 8332.21 ლარისა და ზიანის სახით – 6629.87 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოპასუხე 2006 წლის 31 აგვისტოს განვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მოდავე მხარეებს შორის 2006 წლის 25 ნოემბერს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

მოპასუხე რ. ა-ე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, 25' მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407-ე 417-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე რ. ა-ემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველით: მოპასუხის მითითებით, მას კონტრაქტი არ დაურღვევია, ვინაიდან საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ რ. ა-ემ განცხადებით მიმართა კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე.

მოპასუხის მოსაზრებით, გაუგებარია ჯარიმის გამოთვლის წესი, ვინაიდან, მოსარჩელე უთითებს კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, ხოლო ჯარიმის თანხას ითხოვს ყველა ქვეპუნქტიდან გამომდინარე. აგრეთვე, აღნიშნული თანხა წარმოადგენს ხელფასად გაცემულ თანხას.

საქმის გარემოებები:

მოპასუხე 2006 წლის 31 აგვისტოს განვეულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

მოდავე მხარეებს შორის 2006 წლის 25 ნოემბერს გაფორმდა კონტრაქტი პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 2 ივნისის ბრძანებით, რ. ა-ე დათხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2008 წლის 4 მაისიდან.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:

ხელგაწაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე რ. ა-ეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 27774.03 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 8332.21 ლარისა და ზიანის სახით კვებაზე დახარჯული თანხის – 1090.77 ლარის ანაზღაურება; სასარჩელო მოთხოვნა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მხარეები ხელშეკრულების დადებისას შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობებზე, ასევე გაითვალისწინეს ხელშეკრულების დარღვევისათვის შესაბამისი სანქციები.

სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, რაც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან მოპასუხესთან გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობას.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება.

მოპასუხემ სადავო გახადა ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტი.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს შეფასებით, კონტრაქტის მხრიდან მოხდა კონტრაქტის პირობების დარღვევა, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტით, 25' მუხლის მე-2 ნაწილით, 65-ე მუხლით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 12-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 327-ე მუხლის I ნაწილით, 417-ე მუხლებითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის I პუნქტით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი მიყენებული ზიანი წარმოადგენს რ. ა-ის მოქმედების უშუალო შედეგს, რაც მისთვის წინასწარ იყო სავარაუდო, კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ, რის გამოც თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, არამედ შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაკისრებას, რაც შეადგენს ჯარიმის საერთო რაოდენობის 30%-ს, რის გამოც არსებობს მასზე

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – შესაბამისად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება ზიანის დანარჩენ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნას, მოსარჩელე მხარე ითხოვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოპასუხისაგან ხელფასის ანაზღაურებას, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

აპელანტი: რ. ა-ე

მონინალმდგე მხარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები

ფაქტობრივი: აპელანტის მითითებით, სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა და არავითარი შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ რ. ა-ე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან ბრძანებით, რომელიც გამოცა მას შემდეგ, რაც რ. ა-ე ფაქტობრივად გაუშვეს სამსახურიდან.

გადაწყვეტილების 3.2.3. პუნქტის ინტერპრეტაცია არ შეესაბამება თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნას, ვინაიდან მითითებული 6629.87 ლარი არ წარმოადგენს კვებაზე და სწავლებაზე დახარჯულ თანხას, მოთხოვნის შესაბამისად აღნიშნული თანხა წარმოადგენს ზიანის საკომპენსაციო თანხას.

აპელანტის მოსაზრებით, გაუგებარია ჯარიმის თანხის გამოთვლის წესი, თუ საიდან არის გამოანგარიშებული და რომელი შეთანხმებიდან გამომდინარეობს იგი, როცა თავადვე უთითებს კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, ხოლო ჯარიმის თანხას ითხოვს ყველა ქვეპუნქტიდან გამომდინარე.

სამართლებრივი: რ. ა-ეს სამწლიანი სავალდებულო სამხედრო ვადა უმთავრდებოდა 2007 წლის 31 აგვისტოს, ხოლო იგი დაითხოვეს 2008 წლის 4 მაისიდან, ანუ ერთწლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის გასვლიდან 8 თვისა და 4 დღის შემდეგ, შესაბამისად, უდავოა ამ შემთხვევაში კონტრაქტის 7.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.

თუ ვიანგარიშებთ საკონტრაქტო სარგოს მიხედვით, 7000 ლარი არის თანხა, რომელიც შეიძლება საშუალოდ დაკისრებოდა სამხედრო მოსამსახურეს წელიწადნახევრამდე პერიოდში და არა იმაზე მეტი, ვიდრე სასამართლომ მიერ იქნა დაკისრებული. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა და არ შეაფასა აღნიშნულ საკითხებზე.

აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მონინალმდგე მხარე: რ. ა-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა სარჩელში მოყვანილი გარემოებები. სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის განვრთნისათვის.

სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი.

სამართლებრივი: კანონისმიერი მტკიცებულებები თავისი შინაარსით უტოლდებიან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო თვით სამინისტრო განთავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მონინალმდგეის შეპასუხება:

მონინალმდგე მხარემ შეპასუხებით სააპელაციო საჩივარი არ ცნო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. ა-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის საფუძველები და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებები და მიიჩნია, რომ არ არსებობს მოცემული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები. დამატებითი მოტივაცია სასამართლოს არ წარმოუდგენია.

კასატორი: რ. ა-ე

მონინალმდგე მხარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის პოზიცი-აზე, რომ კონტრაქტის პირობების დარღვევას საერთოდ არ ჰქონია ადგილი. გაუგებარია ჯარიმის თანხის გამოთვლის წესი, თუ საიდან არის გამოანგარიშებული და რომელი შეთანხმებიდან გამომდინარეობს, როცა თავადვე უთითებს კონტრაქტის 7.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, ხოლო ჯარიმის თანხას ითხოვს ყველა ქვეპუნქტიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოცემულ პოზიციასთან დაკავშირებით და სამარ-თლებრივი შეფასება არ მიუცია გარემოებებისათვის.

კასატორმა წარმოადგინა პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აპე-ლანტის ნაცვლად გადაწყვეტილების 4.7 მუხლსა და შემაჯამებელ სასამართლო დასკვნაში სრულიად გაუ-გებარი პირის სახელი და გვარია მითითებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქმეში არსებული მასალე-ბი არ იქნა გულდასმით გამოკვლეული. სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და ის ფაქტი, რომ აპელანტს ერთ-ერთ სახდელად კვებაზე დახარჯული თანხაც დაეკისრა, სასამართლომ ასევე არ შეაფასა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა რ. ა-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის რ. ა-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სა-კასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილუ-ლია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილ-ვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანო-ბისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა – კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქ-მდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსა-ხილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები. სააპელა-ციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვე-ტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერ-თოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მო-საზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მიღებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს მიერ საქმეზე №ბზ-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სა-მინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის განჩინებით ჩამოყალიბებულ სასამარ-თლო პრაქტიკას, რომლის მიხედვით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით მინიჭებული კომპეტენციის კვალიფიციური გამოყე-ნების შესახებ, კერძოდ:

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთან-ხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამარ-თლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსი-ლება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმ-გვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსა-ჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იუ-რისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორცი-ელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება“.

სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უკრიტიკოდ გაიზიარა და არც დაასაბუთა მათი უტყუარობა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საქმე არ არის სრულყოფილად შესწავლილი და გამოკვლეული, რაც არ იძლევა სამართლებრივი შეფასებების გაკეთებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, იზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოთხოვნის იმ ძირითად სამართლებრივ საფუძველზე, რომელზედაც უთითებდა აპელანტი. სასამართლომ არ გამოიკვლია და არ იმსჯელა რ. ა-ისათვის ჯარიმის ოდენობის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ 2006 წლის 25 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. ა-ეს შორის 4 წლის ვადით დაიდო ხელშეკრულება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 2 ივნისის №... ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, 2008 წლის 4 მაისიდან რ. ა-ე დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

2006 წლის 25 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. ა-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ „სამხედრო მოსამსახურე“ მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით შეწყვეტს კონტრაქტს ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს კონტრაქტი, „სამხედრო მოსამსახურე“ უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს: ა) ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ვადის დასრულებიდან ვადიანი სამხედრო სამსახურის ამ სამხედრო პირისათვის დადგენილი ვადის ამონურვამდე კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით მისთვის გადახდილი თანხები და მის სწავლებაზე განეული ხარჯი 5000 ლარის ოდენობით; ბ) ვადიანი სამხედრო სამსახურის ვადის ამონურვიდან წელიწადნახევრამდე პერიოდის განმავლობაში კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში მისთვის კონტრაქტის მე-4 მუხლით ვადიანი სამხედრო სამსახურის ვადის ამონურვამდე გადახდილი თანხები და მომდევნო ვადის სრული ხელფასის სახით, საშუალოდ 7000 ლარის ოდენობით. ხოლო ხელშეკრულების 7.4 პუნქტით აღნიშნული თანხების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან ითხოვდა პირგასამტეხლოს არა კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ნესის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XVI თავის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ჯარიმის საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე ოდენობით).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ როგორ უნდა გამოანგარიშებულიყო რ. ა-ეზე დასაკისრებელი ჯარიმის თანხა და ჯარიმის თანხაში უნდა შესულიყო თუ არა რ. ა-ისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხაც.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე დააკისრეს რ. ა-ეს კვების კომპენსაციის 1090,77 ლარის ანაზღაურება, რომ არ გამოუკვლევიათ სარჩელში მითითებული კვების თანხა დახარჯული იყო თუ არა რ. ა-ეზე, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის 2008 წლის 5 მაისის №565 ცნობით დასტურდება, რომ I ქვეითი ბრიგადის მე-... მსუბუქი ქვეითი ბატალიონის (ს/ნ ...) სამხედრო კაპრალ – რ. ა-ეს შორის ანაზღაურებით ხელ-

ფასის სახით 2006 წლის 25 ნოემბრიდან 2008 წლის 3 მაისის ჩათვლით მიღებული აქვს 5539 ლარი, აღნიშნულ ცნობაში კვების კომპენსაციის თანხის თაობაზე მითითებული არ არის, რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებას, სადაც კვებაზე განეული თანხის სახით მითითებულია – 1090,77 ლარი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნულ გაანგარიშებაზე მითითებულია ვინმე ვ. ზ-ი. საქმეში კი, სხვა სახის რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო მოსამსახურეზე, კვების სახით გადახდილი თანხა შეადგენს – 1090,77 ლარს არ მოიპოვება, ამასთან, საქმეში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2011 წლის 25 მარტის წერილში აღნიშნულია, რომ მოსამსახურის ხელფასი არ ითვალისწინებს სხვა სახის დანამატებს, ასევე არ აქვთ ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ კვებაზე განეული თანხის ოდენობაზეც, ხოლო რაც შეეხება საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის სასურსათო უწყის საკომპენსაციო თანხას, დათხოვნის შესაბამის პერიოდში შეადგენდა 59 ლარს, იმ შემთხვევაში თუ არ იმყოფებოდა საქვებზე კმაყოფაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და მოიპოვოს მტკიცებულებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ თავად გამოიკვლიოს ჯარიმის თანხის ოდენობა, კერძოდ ის თუ რ. ა-ეს უნდა დეკისროს მხოლოდ 2006 წლის 25 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. ა-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 7.3 „ბ“ პუნქტში მითითებული 7000 ლარი თუ მასთან ერთად რ. ა-ისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხაც, ასევე ის გარემოება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ კვების კომპენსაციის სახით მოთხოვნილი 1090,77 ლარი არის თუ არა რ. ა-ზე დახარჯული კვების კომპენსაციის თანხა.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ასევე უნდა იმსჯელოს რ. ა-ისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის თანახმად სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლომ მიერ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოთითხსნილი გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა ზ გ ი ნ ა :

1. რ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საპარტიველო სახელით

№ბს-1107-1096(კ-11) 3 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის სახით 50000 ლარის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. მ-მა და ნ. ხ-მა 01.05.2003 წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარშეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, იმ საფუძველით, რომ მათი შვილი გ. ხ-ი 25.10.1992 წ. მოხალისედ წავიდა აფხაზეთში – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც დაჭრილი ჩავარდა ტყვედ. ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ გადაყვანილ იქნა ჰოსპიტალში, 04.11.1992 წ. იგი დაპატიმრებულ იქნა უკანონოდ, ხოლო 10.11.1992 წ. დახვრეტილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში იმ ხანად მოქმედი სამხედრო-საველე სასამართლოს 09.11.1992 წ. განაჩენით, სამშობლოს ღალატისათვის. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ სამხედრო-საველე სასამართლო შექმნილი იყო უკანონოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტების საფუძველზე, ვინაიდან „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 28.12.1990 წ. დადგენილებით განსაზღვრულ სახეობებში არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, მოსარჩელეთა განმარტებით, მათი შვილი გასამართლებული და დახვრეტილ იქნა ყოველგვარი გამოძიებისა და მტკიცებულებების მოპოვების გარეშე, მას არ მიეცა საშუალება სამართლებრივი გზით მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებისა, რადგან მეორე დღესვე განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში. გ. ხ-ი თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის 04.04.2002 წ. დადგენილებით ცნობილი იქნა რეაბილიტირებულად.

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ მათ განიცადეს მორალური ზიანი, შვილის უკანონოდ დახვრეტის ფაქტი მათთვის ცნობილი გახდა მასმედიის საშუალებით, რის შემდეგაც ორჯერ ჩავიდნენ ქ. სოხუმში შვილის ცხედრის მოსაძებნად და ქ. თბილისში გადმოსასვენებლად. მიუხედავად ხანგრძლივი ძებნისა, შვილის ცხედარი ვერ მოიძიეს. შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადების შემდეგ, ისინი ერიდებოდნენ საზოგადოებაში გამოჩენას, ნ. ხ-მა თავი დაანება სამსახურს, ხოლო ე. მ-ი განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსათვის სოლიდარულად სახელმწიფო მოსამსახურის განზრახვი ქმედებით მათთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 20 000 აშშ დოლარის, მორალური ზიანის 1 000 000 ლარის, ადვოკატის ხარჯის – სასარჩელო მოთხოვნის 4%-ის ოდენობით დაკისრება და წერილობითი ფორმით ბოდიშის მოხდა მასმედიის საშუალებით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 05.05.03წ. განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა აფხაზეთის ა.რ. სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას. აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 21.07.03წ. განჩინებით საქმის მასალები სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლის 10.10.03წ. განჩინებით საქმის მასალები დაარჩა განუხილველად. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მიუთითა, რომ არ ჰქონდა სამართლებრივი უფლებამოსილება სასამართლოთა შორის წარმომოხილი დავის გადასაწყვეტად. აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 17.11.03წ. განჩინებით სარჩელი და საქმის მასალები განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 20.12.2004წ. გადაწყვეტილებით ე. მ-ის და ნ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-მა და ნ. ხ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.06.2005წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 20.12.2004წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონით გათვალისწინებული რეაბილიტაციის საფუძველი რეგიონალური სამხედრო პროკურორის 04.04.02წ. დადგენილების მიღებით წარმოიშვა, შესაბამისად, მოსარჩელეთა უფლება მოთხოვნაზე სწორედ მითითებული მომენტიდან წარმოიშვა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს განსახილველი ურთიერთობების მიმართ ძველი სკ-ის ნორმების გამოყენებას, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა სსკ-ის 393.2 მუხლით გათვალისწინებული კასაციის საფუძველი. საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.2006 წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ე. მ-სა და ნ. ხ-ს უარი ეთქვათ მოპასუხეებისათვის მორალური და მატერიალური ზიანის დაკისრებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა ე. მ-მა და ნ. ხ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელებმა

დააზუსტეს სარჩელის მოთხოვნა და მოპასუხე მხარისათვის მატერიალური ზიანის – 17 000 აშშ დოლარი-სა და მორალური ზიანის – 250 000 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.06.2008 წლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-ის და ნ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.2008წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ასევე ე. მ-ის და ნ. ხ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 5 აგვისტოს განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება; ე. მ-ისა და ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.05.06წ. გადაწყვეტილება, მოსარჩელებს უარი ეთქვათ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის განჩინებით ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ და საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. მ-მა და ნ. ხ-მა, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განჩინებით ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. დ-მა უფლებამოსილების გადამეტებით 1992 წლის 26 ოქტომბრის №... ბრძანებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო. 1992 წლის 4 ნოემბერს გ. ხ-ი დაპატიმრებულ იქნა სამშობლოს ღალატის ბრალდებით. გ. ხ-ს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ 1992 წლის 9 ნოემბრის განაჩენით, სამშობლოს ღალატისათვის მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, 10 ნოემბერს მოყვანილ იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 2001 წლის 18 მაისის დადგენილებით გ. ხ-ისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო არ აღიძრა. ამავე თარიღის დადგენილებით თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის წარმომებში არსებულ №... საქმეზე ე. მ-ი ცნობილ იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 2002 წლის 4 აპრილის დადგენილებით გ. ხ-ი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. სამხედრო-საველე სასამართლოს წევრების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები არ იქნა განხილული სასამართლო წესით პირთა გარდაცვალების გამო. საქმის მასალებში წარდგენილი შრომის წიგნაკის ასლების მიხედვით, ე. მ-ი ლიცეუმის დირექტორის 1996 წლის 5 იანვრის №... ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან ჯგუფის დაუკომპლექტებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალების თანახმად, აპელანტები ითხოვდნენ როგორც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე – 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ისე იმის შემდგომ პერიოდში მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას აღნიშნული კოდექსის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე სადავო პერიოდის მიმართ ვერ გავრცელდებოდა აღნიშნული კოდექსით დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე. ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მი-

ერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. იმავე კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მითითებული მუხლი ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო ფარგლებს. ამგვარი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ოდენობით. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმოყვანის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლება-მოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

სასამართლოს დასკვნით, მითითებული ნორმა ზუსტად განსაზღვრავდა მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ საფუძვლებს, კერძოდ, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პირს იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოეშვას, როდესაც ხდება ამავე მუხლით დაცულ სიკეთეთა – პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელშეუხებლობის ხელყოფა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა (ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა) და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედებისა (უმოქმედობისა) და ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, ამიტომაცაა აუცილებელი კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა, ჩრაც კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა. შესაბამისად, ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ე. მ-ი სამსახურიდან გათავისუფლდა 1996 წელს ჯგუფის დაუკომპლექტებლობის გამო. შესაბამისად, მითითებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ გამოუწვევია ე. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლება. საქმეზე არ დასტურდებოდა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ გამოიწვია ე. მ-ის ჯანმრთელობის მოშლა, რამდენადაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მხოლოდ 2010 წლის 25 მარტს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით დასტურდებოდა, რომ ე. მ-ი სტაციონარში მოთავსებული იყო გულის ქრონიკული უკმარისობისა და ჰიპერტონიული დაავადების გამო.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელებმა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ვერ შეძლეს იმ გარემოებების დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ან სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად, მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურიდან ან გაუარესდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ფაქტობრივი წინამძღვრების არსებობა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-მა და ნ. ხ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 იანვრის განჩინებით ე. მ-ისა და ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მათი განხილვა მხარეთა დასწრებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს, მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. მ-ისა და ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-ისა და ნ. ხ-ის საარგებლოდ უნდა დაეკისროს მორალური ზიანის – 4000 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა

კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და სადავო სამართალურთიერთობას სწორად არ შეუფარდა კანონის ნორმები.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. დ-მა უფლებამოსილების გადამეტებით 26.10.1992 წ. №... ბრძანებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო. 04.11.1992წ. გ. ხ-ი დაპატიმრებულ იქნა სამშობლოს ლაღის ბრალდებით. გ. ხ-ს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ 09.11.1992 წ. განაჩენით სამშობლოს ლაღისათვის მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მეორე დღესვე, 10 ნოემბერს მოყვანილ იქნა სისრულეში სოხუმის აეროპორტის მიდამოებში. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 18.05.2001 წ. დადგენილებით გ. ხ-ის და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო არ აღიძრა, ხოლო ამავე თარიღის დადგენილებით, თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის წარმოებაში არსებულ №... საქმეზე ე. მ-ი ცნობილ იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 04.04.2002 წ. დადგენილებით გ. ხ-ი ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა შვილის – გ. ხ-ის მიმართ უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენა და სისრულეში მოყვანა მოხდა უკანონოდ, იმუამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა სრული უგულვებლყოფით. პ. დ-ი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტებით სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნისათვის 12.01.1995წ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში სსკ 274-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 25.01.1995წ. შეწყდა გარდაცვალების გამო. ასევე, მოსარჩელებს უარი ეთქვათ უკანონოდ შექმნილი სამხედრო საველე სასამართლოს თავმჯდომარის გ. ე-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მისი გარდაცვალების გამო. გ. ხ-ის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებულია საგამოძიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ, რასაც სსკ-ის 106-ე მუხლის მიხედვით პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საქმის მიმართ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სამხედრო-საველე სასამართლოს შექმნის თაობაზე, ასევე გ. ხ-ის სამშობლოს მოლაღატედ მიჩნევის თაობაზე ცნობა გამოქვეყნდა მასმედიის საშუალებით.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევის გამო, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია სამი ძირითადი კრიტერიუმის არსებობა, კერძოდ: 1) პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემსახველი ცნობები აშკარად არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს; 2) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ქონებრივ (მორალურ) ზიანს შორის; 3) სახეზე უნდა იყოს ხელმყოფი პირის ბრალი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, თუმცა აღნიშნული არ გამოირიცხავს გარდაცვლილის მშობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუ ზიანი მათ უშუალოდ დანაშაულით მიაღწია.

საკასაციო სასამართლო საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის

შედეგად უშუალოდ მათთვის მიყენებულ ზიანს. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ შვილის სამშობლოს მოლაღატედ გამოცხადება მათთვის პიროვნულად დამორგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, ნ. ხ-ი, გარდაცვლილის მამა, ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად, ე. მ-ს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი, ანუ მოსარჩელებს სახელმწიფო მოხელეთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უშუალოდ მიადგათ მორალური ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საქმის მასალებით უტყუარად დგინდება სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია მოსარჩელეთა სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, მათ ჩვეულ გარემოში ადაპტირების შეუძლებლობა, რამდენადაც ცნობა, მათი შვილის სამშობლოს მოლაღატედ მიჩნევისა და დახვრეტის თაობაზე (რომელიც შემდგომ უდანაშაულოდ – რეაბილიტირებულად იქნა ცნობილი) მასმედიის საშუალებებით იქნა გამოქვეყნებული, მოსარჩელები რამდენჯერმე გადაადგილდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე შვილის ცხედრის გადმოსასვენებლად, რაც ასევე მძიმე სულიერ განცდებთან და რისკთან იყო დაკავშირებული.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას, შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქტიურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია თავად განსაზღვროს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული ტკივილის (სულიერი, ფიზიკური) კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულების საკითხს განეკუთვნება. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად და მისი მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელების შვილის – გ. ხ-ის დამნაშავედ, სამშობლოს მოლაღატედ ცნობა და მის მიმართ სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ განაჩენის გამოტანა, განეკუთვნება მორალურ ზიანს, მითუფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სამხედრო პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის, ასევე, სახეზეა ხელმოჭრილი პირის ბრალი, რამდენადაც, გ. ხ-ის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებულია საგამოძიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ

გაზრდილი. შესაბამისად, პროპორციულობის გათვალისწინებით, ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს მორალური ზიანის – 4000 ლარის გადახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების მატერიალურ-პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ე. მ-ისა და ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის – 4000 ლარის გადახდა;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პასუხისმგებლობა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-339-335(კ-12)

3 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე: ბ. ც-ე

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება.

სარჩელის საგანი: მოპასუხისათვის ჯარიმის სახით – 26519.47 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 7955.84 ლარის, ზიანის სახით – 9119.28 ლარისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის სახით – 257,50 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოდავე მხარეებს შორის 2007 წლის 21 აგვისტოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 11.03.2009 წლის №... ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 20.11.2008 წლიდან.

კონტრაქტის საფუძველზე ფაქტობრივად ნამსახურევი ვადა შეადგენს 1 წელსა და 3 თვეს, დარჩენილი 2 წელს, 9 თვესა და 2 დღეს, რის გამოც მოპასუხეზე ვრცელდება კონტრაქტის 7.3 „ა“ ქვეპუნქტი და 7.4 პუნქტი.

ბოლო თვის ხელფასი შეადგენდა 802 ლარს, რის გამოც ჯარიმის თანხაა 26519.47 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო – 7955.84 ლარი.

კონტრაქტის 8.2, 8.3 პუნქტების საფუძველზე მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს ზიანის საკომპენსაციო თანხა, კერძოდ, თანხა, რაც დაიხარჯა მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა დახარჯვა მოუწია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოპასუხის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, მომზადების რა დონისთვისაც მას ჰქონდა მიღწეული შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისას.

მოპასუხეზე გადაცემული სანივთე უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებას, ხოლო სამხედრო მოსამსახურე სარგებლობს სამხედრო სამსახურის განმავლობაში. შესაბამისად,

სად, მოპასუხე ვალდებულია სამინისტროს აუნაზღაუროს სანივთე დავალიანება, რომელიც ფულადი სახით შეადგენს 257.50 ლარს.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ფინანსური პასუხისმგებლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, 251-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2, 316.1, 317.1, 394.1, 407-ე, 417-ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ბ. ც-ემ წერილობითი შესაგებლით, სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისი ნამსახურევი ვადა შეადგენს 2 წელს. მოპასუხემ ასევე სადავო გახადა ზიანის მიყენების ფაქტი, ვინაიდან მისი მოსაზრებით, მოსარჩელე ითხოვს თანხებს, რომელიც მას არ მიუღია. კონკრეტულად რა ზიანი მიადგა მოსარჩელე მხარეს, არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება.

მოპასუხის მითითებით, ასევე უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოსა და ზიანის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, ვინაიდან, ერთდროულად ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სამართლებრივი: მოპასუხის მოსაზრებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლების საფუძველზე.

საქმის გარემოებები: საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ც-ეს შორის 2007 წლის 21 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება და იგი დაინიშნა სამხედრო საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 11 მარტის №... ბრძანებით, 2008 წლის 20 ნოემბრიდან, მოპასუხე დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო რეზერვში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ბ. ც-ეს მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმის სახით – 26519.47 ლარის, პირგასამტეხლოს სახით – 7955,84 ლარისა და სანივთე ქონების დავალიანების სახით – 257.50 ლარის გადახდა.

სასარჩელო მოთხოვნა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სამხედრო მოსამსახურე ბ. ც-ის ერთი თვის სამშატო დარიცხული ხელფასი დათხოვნისას შეადგენდა 802 ლარს. სულ ნამსახურობის პერიოდში მას მიღებული აქვს, ხელფასი ხელზე ასაღები – 9119 ლარი და 29 თეთრი.

სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში ბ. ც-ის სანივთე უზრუნველყოფისათვის გაღებული თანხა არის – 257.50 ლარი

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო გახადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულება. მოპასუხე მხარემ სადავო გახადა კონტრაქტის დარღვევის ფაქტი.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბ. ც-ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის ფაქტი, შესაბამისად, არსებობს სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლოს დასკვნები – სასამართლოს დასკვნით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 251 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლოს განმარტებით, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ისეთი არსებითი პირობები, რომელთა შესრულებლობისათვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის, პირგასამტეხლოს და სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407.1 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრუ-

ლებლობით. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულების დადებისას შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობაზე და მოპასუხემ აიღო ვალდებულება ოთხი წლის განმავლობაში ემსახურა სამხედრო ქვედანაყოფებში და შეესრულებინა სამხედრო მოსამსახურისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობანი, ხოლო მოსარჩელემ იკისრა სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მოპასუხისათვის სათანადო პირობების შექმნის ვალდებულება.

სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს არა ხელშეკრულების 7.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით შემცირებული ფინანსური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაკისრებას, რაც შეადგენს ჯარიმის საერთო რაოდენობის 30%-ს, რის გამოც არსებობს მასზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – შესაბამისად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება ზიანის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნას, მხარე ითხოვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოპასუხისაგან ხელფასის ანაზღაურებას, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან, ხელშეკრულების დადების მომენტიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე დროის შუალედში მოპასუხე ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ შრომით მოვალეობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კი იღებდა რა ამ შესრულებას, საპასუხოდ გასცემდა შესრულებული სამუშაოს ადეკვატურ შრომით ანაზღაურებას – ხელფასს, რითაც ახორციელებდა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას.

სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებისას მხარეები არ შეთანხმებულან გადახდილი ხელფასის გამო განეული ხარჯის ანაზღაურების უკან დაბრუნების ვალდებულებაზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის უფლებამოსილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოითხოვოს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც არ ყოფილა შეთანხმებული ხელშეკრულებით და რაც თავისი არსით კანონსაწინააღმდეგოა. პირიქით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულების საფუძველზე იკისრა ვალდებულება, გადაუხადოს მოპასუხეს ხელფასი და უზრუნველყოს იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. შესაბამისად, მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ხელფასის უკან დაბრუნება სწორედ იმ მოტივით, რომ ხელფასი არ წარმოადგენს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეულ ზიანს.

I აპელანტი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მონინალმდევე მხარე: ბ. ც-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა სარჩელში მოყვანილი გარემოებები. თავდაცვის სამინისტრო ითხოვდა ხელშეკრულების 8.2, 8.3 მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურებას. სამინისტრო ითხოვს ზიანის სახით იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე განვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროს.

სასამართლომ არ იმსჯელა თავდაცვის სამინისტროს იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის დარღვევიდან გამომდინარე, წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კონტრაქტის 8.3 პუნქტი.

სამართლებრივი: კანონისმიერი მტკიცებულებები თავისი შინაარსით უტოლდებიან საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო თვით სამინისტრო განთავსებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

II აპელანტი – ბ. ც-ე

მონინალმდევე მხარე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: აპელანტის მითითებით, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. რაიონულმა სასამართლომ არასწორად დაადგინა თითქოს ბ. ც-ემ კონტრაქტის პირობები დაარღვია. სასამართლოს არ გამოუკვლეოა ზიანი გამოწვეული იყო თუ არა მოპასუხის მხრიდან.

აპელანტის მითითებით, იგი 2008 წლის აგვისტოში დაიჭრა ცხინვალის რეგიონში ომის დროს და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდა სამხედრო ნაწილში.

ასევე უსაფუძვლოა სანივთე ქონების დავალიანების დაკისრებაც, ვინაიდან დაჭრის შემდეგ დაკარგა გონება და აღმოჩნდა საავადმყოფოში, ამიტომ მას ქონება თავად არ დაუზიანებია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ბ. ც-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება ბ. ც-ისათვის პირგასამტეხლოს სახით – 7955.84 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

აპელაციის მოტივების ნაწილობრივ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საჩივრით მოთხოვნილი 9199 ლარი ბ. ც-ემ ხელფასის სახით მიიღო, შესაბამისად, მიღებული გასამრჯელოს უკან დაბრუნების ვალდებულება არც ერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბ. ც-ის მოთხოვნა დაკისრებული პირგასამტეხლოს გაუქმების ნაწილში საფუძვლიანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია. ამავ კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. მხარეთა შორის შეთანხმებული დათქმა ჯარიმის გადახდის შესახებ, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ სახეს – პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

აპელაციის მოტივების ნაწილობრივ არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ბ. ც-ის მოთხოვნა ჯარიმისა და სანივთე ქონების დაკისრების ნაწილში, ვინაიდან სასამართლოს განმარტებით, ბ. ც-ის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანება მისი შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის თაობაზე, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბ. ც-ეს არ გაუსაჩივრებია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების ნაწილობრივ არგაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოფის საშუალება პირგასამტეხლო (ჯარიმის, საურავის სახით) – 26519,47 ლარი მოითხოვა, რისი მოთხოვნის საფუძველი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითაა გათვალისწინებული, ხოლო რაც შეეხება პირგასამტეხლოს თანხას, ყოფილი სამხედრო მოსამსახურისათვის დაკისრების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს დაკისრებული აქვს ჯარიმა.

კასატორი: ბ. ც-ე
მონინალმდევე მხარე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება საჩივრის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:
პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის მითითებით, არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მათ არასწორად დაადგინეს, რომ ბ. ც-ემ კონტრაქტის პირობები დაარღვია. სასამართლოს არ გამოუკვლევიან ბრალი, ზიანი გამოწვეული იყო თუ არა მოპასუხის მხრიდან.

კასატორის მითითებით, იგი 2008 წლის აგვისტოში დაიჭრა ცხინვალის რეგიონში ომის დროს და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდა სამხედრო ნაწილში.

ასევე უსაფუძვლოა სანივთე ქონების დავალიანების დაკისრებაც, ვინაიდან დაჭრის შემდეგ დაკარგა გონება და აღმოჩნდა საავადმყოფოში, ამიტომ მას ქონება თავად არ დაუზიანებია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური ნაწინამძღვრები: (საკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის ბ. ც-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შესწავლისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად

გად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბ. ც-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია მატერი-ალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სადავო სამართალურთიერთობას სწორად შეუფარდა სამარ-თლის ნორმა და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასა-მართლომ სრულად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება 2007 წლის 21 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. ც-ეს შორის 4 წლის ვადით გაფორმდა ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მე-4 ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდა-ტო კომისიის სხდომის №62 ოქმით დადგინდა ბ. ც-ის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების ფაქტი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 11 მარტის №... ბრძანების საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის“ შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ბ. ც-ე დათხოვნილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ კასატორ – ბ. ც-ეს ზემოაღნიშნული ბრძანება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ არ გაუსაჩივრებია.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ბ. ც-ეს მართებულად დაეკისრა კონ-ტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ამავე კონტრაქტის 7.3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, კერძოდ, 2007 წლის 21 აგვისტოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლის სა-ფუძველზე და სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების ვა-დის განმავლობაში თავისი სურვილით და „სამინისტროსთან“ შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძა-ლებს ან შექმნიდა პირობებს იმისთვის, რომ სამინისტრო იძულებული გამხდარიყო შეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი. ასეთ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრუ-ლების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე კონ-ტრაქტით გათვალისწინებული დარჩენილი ვადის ფულადი თანხა, შემდეგი წესით: ა) ერთი წლის სამსახუ-რის გავლის შემდეგ, მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14000 ლარის ოდენობით; ბ) ორი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 2 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 10000 ლარის ოდენობით; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო 1 წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 5 000 ლარის ოდე-ნობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანია და ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გა-უქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ მისთვის საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2009 წლის 11 მარტის №... ბრძანების თაობაზე, ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემ-დეგ რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მან ამიტომ ვერ გაა-საჩივრა ზემოაღნიშნული ბრძანება, ვინაიდან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ბ. ც-ეს შეეძლო შეგებებული სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვა საქართველოს თავდაცვის მინის-ტრის 2009 წლის 11 მარტის №... ბრძანების ბათილად ცნობა, ბ. ც-ეს ამგვარი საპროცესო მოქმედება არ შეუსრულებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ამ დავის ფარ-გლებში ვერ იმსჯელებს ბ. ც-ის საკასაციო პრეტენზიაზე, ვინაიდან, მას საქართველოს თავდაცვის მინის-ტრის 2009 წლის 11 მარტის №... ბრძანების კანონიერება სადავო არ გაუხდია.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია საქმის მასალებში არის ცნობა, რომლითაც დასტურდება, ბ. ც-ის საბრძოლო მოქმედებებში დაჭრის და მკურნალობის ფაქტი, თუმცა ამავე ცნობის თანახმად იგი გაენერა საავადმყოფოდან ამბულატორიული მეთვალყურეობის ქვეშ, შესაბამისად, მისი ჯანმრთელობის იმგვარ მდგომარეობაზე დასკვნა, რომ მას აღარ შეეძლო სამხედრო ძალებში სამსახური, საქმეში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პრეტენზია, რომ კონ-ტრაქტის შეწყვეტა მისი ბრალით არ მომხდარა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას სანივთე ქონებასთან დაკავში-რებით და მიაჩნია, რომ აღნიშნულზეც სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულია სწორი გადაწყვეტი-ლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. ზემოაღნიშნულიდან გა-მომდინარე, ვინაიდან კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო შედავება, საკასაციო სა-სამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, თვლის, რომ საკა-საციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, კასატორს სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ც-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება;
3. ბ. ც-ეს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრება

ბანკინება

№ბს-191-189(კ-12) 18 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 20 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ქ. თბილისის მერიამ მოპასუხეების შპს „...“ და მ. ც-ის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაკისრებოდა პირგასამტეხლო 38 784, 42 ლარის ოდენობით, ხოლო მ. ც-ს 6927, 78 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 38 784, 42 ლარის გადახდა; მ. ც-ს ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 6927, 78 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიას და მეორე მხრივ შპს „...“-ს და მ. ც-ს შორის 2009 წლის 6 აგვისტოს დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა მყიდველებს, განსაზღვრული საპრივატიზაციო პირობებით გადასცა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, ... გამზირი №39-ში, ფართობი 1020 კვ.მ. საკადასტრო კოდით 01.13.06.15.011, მ. ც-ს თანასაკუთრების 1% წილის ოდენობით და შპს „...“-ს თანასაკუთრების 99%.

ქ. თბილისის მერიას და მეორე მხრივ შპს „...“-ს და მ. ც-ს შორის, 2009 წლის 6 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 და 2.2. პუნქტების შესაბამისად, ნასყიდობის საგანზე თანასაკუთრების 1% გაიყიდა მ. ც-ზე სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, 99% წილი შპს „...“-ზე 261 120 ლარად. ხელშეკრულების 2.3 მუხლის თანახმად, ნასყიდობის მთლიანი თანხის გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წელი.

ქ. თბილისის მერიას და მეორე მხრივ შპს „...“-ს და მ. ც-ს შორის 2009 წლის 6 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 4.5. პუნქტების შესაბამისად, შპს „...“ ვალდებული იყო მ. ც-ისთვის გადაეხადა ყოველთვიურად 1100 აშშ დოლარი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემამდე, 4.8. პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით.

ხელშეკრულების 4.8 პუნქტის თანახმად, მ. ც-ი ვალდებული იყო ყოველთვიურად გადაეხადა ქირა ფიზიკური პირებისათვის ა) თ. ფ-ისათვის 200 აშშ დოლარი. ბ) გ. ნ-ისათვის 300 აშშ დოლარი. გ) გ. ა-ისათვის 300 აშშ დოლარი. დ) ი. ძ-ისათვის 300 აშშ დოლარი, მათთვის ბინების საკუთრებაში გადაცემამდე.

ქ. თბილისის მერიას და მეორე მხრივ შპს „...“-ს და მ. ც-ს შორის 2009 წლის 6 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, ნასყიდობის თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მყიდველებს გამყიდველის სასარგებლოდ დაერიცხებათ პირგასამტეხლო ნასყიდობის ფასის პერიოდში გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადა-

ცილებულ დღეზე, პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ნასყიდობის ფასის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

ხელშეკრულების 7.4 პუნქტის თანახმად, 4.5. პუნქტით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შპს „...“-ს გამყიდველის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო 4.5. პუნქტით გათვალისწინებული მის მიერ გასაცემი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება დარღვევის სრულ აღმოფხვრამდე.

ქ. თბილისის მერიას და მეორე მხრივ შპს „...“-ს და მ. ც-ს შორის 2009 წლის 6 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 7.5 პუნქტის თანახმად, 4.8. პუნქტით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მ. ც-ს გამყიდველის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო 4.8. პუნქტით გათვალისწინებული მის მიერ გასაცემი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება დარღვევის სრულ აღმოფხვრამდე.

სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „...“-სა და მ. ც-ის მიერ არ შესრულებულა 2009 წლის 6 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შპს „...“-ს მიერ გადასახდელი ნასყიდობის თანხა შეადგენდა 261 120 ლარს, ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა იყო 122, ხოლო ხელშეკრულების 7.3. პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 31 856,64 ლარს. შპს „...“-ის მიერ ხელშეკრულების 4.5. პუნქტით გასაცემ თანხას შეადგენდა 30 874,25 ლარი, ხელშეკრულების 7.4. პუნქტის შესაბამისად, დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 6 927,78 ლარს. შპს „...“-ის მიერ მთლიანობაში გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა $31\ 856,64 + 6\ 927,78 = 38\ 784,42$ ლარს.

მ. ც-ის მიერ ხელშეკრულების 4.8 პუნქტით გასაცემი თანხის ოდენობა შეადგენდა 1100 ლარს. ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა 122, ხელშეკრულების 7.5. პუნქტის შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 6 927,78 ლარს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გათვალისწინონ დამატებითი საშუალებები: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

სასამართლოს მსჯელობით მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ არსებით პირობებზე და ცალსახად განსაზღვრეს უფლება-მოვალეობანი. შპს „...“-სა და მ. ც-ის მიერ არ შესრულებულა 2009 წლის 6 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მ. ც-ის პოზიცია მასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან შპს „...“-ის მიერ არ იქნა გადახდილი ხელშეკრულების 4.5. პუნქტით გათვალისწინებული თანხა, მას არ უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. სასამართლოს მსჯელობით მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება არ შეიცავდა რაიმე სახის დათქმას აღნიშნულის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მითითებული გადანყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა მ. ც-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადანყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინებით მ. ც-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 აგვისტოს გადანყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი იქმნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ გადასცემდა მესამე პირებს შპს „...“ გადაცემულ თანხას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“ და აქვე აღნიშნა, რომ 2009 წლის 6 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით

ბით ზემოთ მითითებული დანაწესისაგან განსხვავებული პირობები არ არსებობს, ხოლო აპელანტი აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოს ვერ უთითებს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მ. ც-მა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 319-ე, 344-ე-345-ე, 346-ე მუხლებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 67-ე მუხლების მოთხოვნები. მისი აზრით, ხელშეკრულების 4.8, 6.2.3 და 7.5 პუნქტები სასამართლოს უნდა გამოეყენებინა მხოლოდ ამავე ხელშეკრულების 4.5 და 6.1.4 პუნქტებთან ერთობლიობაში ანუ მის მიერ ბინის ქირის გადახდა უნდა მომხდარიყო 4.5 და 6.1.4 პუნქტების მიხედვით შპს „...“ მიერ ბინის ქირის მითვის გადაცემის შემდეგ, რის გამოც ხელშეკრულების 4.8 და 6.2.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა მისთვის არ დამდგარა.

აღნიშნულის საფუძველზე კასატორი ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ქ. თბილისის მერიის მისი მოთხოვნის ნაწილში უარყოფას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ც-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები გამოკვლეულია არასრულყოფილად, საქმეზე წარმოდგენილი არ არის შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთება, რაც არ იძლევა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, თუმცა იმავდროულად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მოუხდენია ხელშეკრულების შესაბამისი მუხლების ნამდვილი შინაარსის დადგენა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

ხელშეკრულების შინაარსს, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსაზღვრავს ხელშეკრულებაში შემავალი პუნქტების ერთობლიობა. თავის მხრივ, ხელშეკრულებაში შემავალი პუნქტების შინაარსის განსაზღვრას პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება თავად ხელშეკრულების განმარტების თვალსაზრისით, რამდენადაც მათზეა დამოკიდებული ხელშეკრულებით შეთანხმებული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობა, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ფაქტის დადგენა და პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების გამოყენების მართებულობის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შინაარსს, რომლის შესაბამისადაც, შპს „...“ ფიზიკურ პირს – მ. ც-ს 4.8 ქვეპუნქტით განსაზღვრული საპრივატიზაციო პირობების შესრულების მიზნით ყოველთვიურად გადასცემს 1100 აშშ დოლარის ოდენობის თანხას ამ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან ხელშეკრულების 4.4 ქვეპუნქტის შესაბამისად 700 კვ/მ საცხოვრებელი ფართის ხსენებული ფიზიკური პირებისათვის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ 30 კალენდარული დღის ამონაწევამდე.

ამავე ხელშეკრულების 7.4 პუნქტის თანახმად, 4.5 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შპს „...“ გამყიდველის სასარგებლოდ ეკისრება პასუხისმგებლობა 4.5 პუნქტით გათვალისწინებული მის მიერ გასაცემი თანხის 0,1 %-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ გადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება დარღვევის სრულ აღმოფხვრამდე.

დადგენილია, რომ შპს „...“ ხელშეკრულების 4.5 პუნქტით განსაზღვრული თანხა მ. ც-ისათვის არ გადაუხდია, რისთვისაც, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, „...“ შემოაღნიშნული 7.4 პუნქტის საფუძველზე გამყიდველის – ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა პასუხისმგებლობა პირგასამტეხლოს სახით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ფორმაზე და აღნიშნავს, როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებიდან და საქმის მასალებიდან დგინდება, პრივატიზაციის პირობები არ შესრულებულა, მე-3 პირების მხრიდან არ მომხდარა ბინების დაქირავება და შესაბამისად, სახეზე არ არის მათთვის მიყენებული ზიანი, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულებით დადგენილია პირგასამტეხლო, ხოლო პირგასამტეხლო მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება გადახდევინებულ იქნას მაშინაც, როდესაც ვალდებულების დარღვევას არ გამოუწვევია ზიანის მიყენება, საკასაციო სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე მითითებას და თვლის, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას, მაგრამ მოცემულ პირობებში დადგენას საჭიროებს საკითხი, არსებობს თუ არა ერთი და იგივე პირობის დარღვევის მოტივით ორი სხვადასხვა პირის მიმართ პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობა და ადგენს თუ არა ამას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისთვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია ცალსახად ეფუძნება ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნებს, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს არ წარმოუდგენია მითითებული მუხლის სრულყოფილი ანალიზი და არ გამოუჩინა ხელშეკრულების ნორმებიდან სხვა პირობების გამომდინარეობის შეუძლებლობა.

სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს ნების გამოვლენის განმარტებას, რაც ნიშნავს იმას, რომ დადგენილ უნდა იქნას ნების შინაარსი, რომელიც, ბუნებრივია, ვერ გასცდება ხელშეკრულების მიზანს.

საკასაციო სასამართლო თვლის, სააპელაციო სასამართლოს შეფასებისა და მსჯელობის საგნად უნდა იქცეს არსებობს თუ არა სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა იმ პირობებში, როცა კასატორმა – მ. ც-მა ვერ მიიღო შესრულება მე-3 პირისაგან და მე-3 პირს, ამ შემთხვევაში შპს „...“, აღნიშნულის გამო ანუ იმისთვის, რომ მ. ც-ს არ გადასცა თანხა, გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – პირგასამტეხლოს სახით.

სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, ხელშეკრულების 7.4 და 7.5 პუნქტებით დადგენილი პასუხისმგებლობა ახდენს თუ არა იმ შემთხვევების დიფერენცირებას, როცა 1. შპს „...“ არ მოახდენდა თანხის მ. ც-ისათვის გადაცემას და 2. მ. ც-ი შპს „...“ თანხის მიღების შემთხვევაში თანხას არ გადასცემდა ან დაგვიანებით გადასცემდა მე-3 პირებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ნორმათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, მათი განმარტების გზით უნდა დადგინდეს სად გადის და სად იმიჯნება კასატორის პასუხისმგებლობის ზღვარი, რა თვალსაზრისითაც საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ის გარემოებები რამაც განაპირობა ხელშეკრულების დადება, ასევე მხარეთა ორმხრივი უფლებები და ინტერესები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე მ. ც-ის სააპელაციო საჩივრის ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება;

საკატანტო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-324-320(კ-12)

6 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: გ. ჭ-ი

მოპასუხე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

სარჩელის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება

სარჩელის საგანი:

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2010 წლის 24 დეკემბრის №136 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
2. მოპასუხის დავალდებულება საქმის წარმოების აღდგენის თაობაზე და გამოგონებაზე პატენტის გაცემა პირველადი განაცხადის შეტანის დღიდან;
3. მორალური ზიანის 10000 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: გ. ჭ-მა 2005 წლის 17 მარტს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში „საქპატენტში“ წარადგინა განაცხადი გამოგონებაზე „მექანიკური გამაძლიერებლის“ სახელით პატენტის მიღების თაობაზე.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2005 წლის 13 აპრილს ექსპერტიზამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ განაცხადი აკმაყოფილებდა ფორმალურ მოთხოვნებს და მიანიჭა განაცხადს ნომერი 2005 008690.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2009 წლის 9 დეკემბრის ექსპერტიზის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის განაცხადზე წარმოება შეწყდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გ. ჭ-მა გაასაჩივრა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში, რომლის 2010 წლის 24 დეკემბრის №1236 გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სამართლებრივი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი, 96-ე და მე-100 მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი.

მოპასუხის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ შესაგებელი:

მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ ექსპერტიზის ჩატარებისას, ხელმძღვანელობს „საქართველოს საპატენტო კანონით“, რაც საქპატენტის მიერ გ. ჭ-ის გამოგონების განაცხადზე საქმის წარმოებისას სრულად იქნა დაცული. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში დასაბუთებულია, რომ გ. ჭ-შვილის მიერ წარმოდგენილი გამოგონების საბოლოო კორექტირებული მასალები სცილდებოდა პირველადი განაცხადის არსს, რითაც დაირღვა „საქართველოს საპატენტო კანონის“ (1999 წლის რედაქცია) 29.2 მუხლის მოთხოვნები.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ საქმის წარმოების მიმდინარეობისას, მიუხედავად, ექსპერტიზის არაერთგზის შეთავაზებისა, განმცხადებელმა არ ისარგებლა „საქართველოს საპატენტო კანონის“ (1999 წლის რედაქცია) 30.5.2 ქვეპუნქტით, მას შემდეგ რაც მიიღო შეტყობინება, რომ დამატებითი მასალები სცილდებოდა პირველად წარდგენილი მასალების არსის ფარგლებს, რის შედეგადაც არარგუმენტირებული პასუხის წარმოუდგენლობის გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზამ 2009 წლის 9 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება №91417 საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. შესაბამისად, მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ექსპერტიზის მსვლელობისას მოქმედებდა კანონით დადგენილ ფარგლებში და სრულიად უსაფუძვლოა მოსარჩელის მოსაზრება, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები.

მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ ასევე იმსჯელა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დისკის თაობაზე და სრულიად კანონიერად არ გაითვალისწინა იგი გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან ასეთი ფორმატი არ იძლევა ობიექტის სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრის შესაძლებლობას. ამასთან, ნაჩვენები მონაცემების კონსტრუქცია და მისი მოქმედების პრინციპი არ შეესაბამება პირველად წარმოდგენილ მასალებში ახსნილ ობიექტს და ცხადად არ წარმოაჩენს იმ ამოცანის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, რაც დასახულია გამოგონებით.

ასევე უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანთან დაკავშირებით, ვინაიდან მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უნდა იყოს დასაბუთებული, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც მოსარჩელეს უშუალოდ „საქპატენტის“ უკანონო ქმედებით მიადგა რაიმე ზიანი.

საქმის გარემოებები: 2005 წლის 17 მარტს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ მოსარჩელემ წარადგინა გამოგონება „მექანიკური გამაძლიერებლის სახელით“, 2005 წლის 13 აპრილის №5024 გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის გამოგონება აკმაყოფილებდა ფორმალურ მოთხოვნებს და მას მიენიჭა განაცხადის ნომერი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2005 წლის 25 მაისის №6736 შეტყობინება-მოთხოვნით მოსარჩელს დაესვა რამდენიმე კითხვა, რომელზეც მან დროულად ვერ უპასუხა და 2005 წლის 11 აგვისტოს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილებით საქმის წარმოება შეწყდა, რომელიც შემდგომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2005 წლის 7 სექტემბრის №10469 შეტყობინებით ისევ განახლდა მის მიერ წარდგენილი მასალებისა და განაცხადის საფუძველზე.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2006 წლის 23 თებერვალს და ამავე წლის 3 აპრილს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ გაუგზავნა გამოგონების დეტალური აღწერილობა, ნახაზები, ფორმულა და მიუთითა იმ ლიტერატურაზე, რომელსაც ეყრდნობოდა.

2006 წლის 23 ივნისის №8690/01 შეტყობინება-მოთხოვნით კვლავ დაესვა კითხვები, რომელიც ეხებოდა 1. გამოგონების აღწერილობაში მოყვანილ ზოგიერთ ტერმინს და ფრაზას; 2. ტექნიკური შედეგს და 3. გამოგონების ფორმულას. აღნიშნულთან დაკავშირებით მან შეიტანა პასუხი, რომლითაც ამომწურავად უპასუხა ყველა შეკითხვას. აღნიშნული შეკითხვებით, მოსარჩელის განმარტებით, „საქპატენტმა“ გამოიჩინა მიკერძოებულობა, როდესაც იგი უთითებდა იმ დროს მოქმედი „საქართველოს საპატენტო კანონის“ 26.5 მუხლზე, ვინაიდან მან მოთხოვნა ჩამოაყალიბა სიტყვიერად, რაც მითითებული კანონის შესაბამისად, სავსებით მისაღები იყო.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2007 წლის 9 მარტის №8690/01 შეტყობინება-მოთხოვნით მას ასევე დაესვა მთელი რიგი კითხვები და განემარტა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მასალები გასცდა პირველად წარდგენილი მასალების ფარგლებს და ექსპერტიზა მათ მხედველობაში ვერ მიიღებდა. მიუთითა ეხელმძღვანელა იმ დროს მოქმედი „საქართველოს საპატენტო კანონის“ 30.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულიც იყო არამართებული, ვინაიდან იგი გამოგონებაში აზუსტებდა მხოლოდ დეტალებს და არ შეხებია ძირითად მექანიზმს, რაც მიუთითა პასუხში და რის შემდეგაც 2007 წლის 13 სექტემბრის №48346 შეტყობინებით საქმის წარმოება გაგრძელდა.

2007 წლის 13 სექტემბრის №48349 შეტყობინება-მოთხოვნით კვლავ დაესვა კითხვები სახელწოდების დაზუსტებაზე და კვლავ მიუთითა, საქართველოს საპატენტო კანონის 30.5 „ა“ პუნქტზე სხვა დეტალების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ანალოგიური შინაარსი იყო სხვა შეტყობინებებშიც.

2009 წლის 15 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილებით შეწყდა საქმის წარმოება, იმ მოტივით, რომ ფორმულის გაშიფვრა ვერ მოახდინა საჭირო დროში.

მიუხედავად მითითებული გადაწყვეტილებისა იგი კვლავ დაჟინებით ითხოვდა მის გამოგონებაზე პატენტის მიცემას და გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

2010 წლის 24 დეკემბერს გაიმართა სააპელაციო საჩივრის განხილვა, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, დატოვა პროტესტის ნიშნად, ვინაიდან დაკარგული იყო მის მიერ წარდგენილი DVD დისკი, რომელზეც ასახული იყო გამოგონების მოდელის მოქმედება, რის თაობაზეც მან რამდენჯერმე მიმართა „საქპატენტის“ თავმჯდომარეს.

მოსარჩელის განმარტებით, კანონით დადგენილ ვადაში არ გადასცეს 2010 წლის 24 დეკემბრის სხდომის ოქმი, ხოლო თავად სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №1236 გადაწყვეტილება გაეგზავნა 2011 წლის 2 მარტს, რომელიც ჩაბარდა 2011 წლის 11 მარტს, თანაც გადაწყვეტილებაში მისი გამოგონებისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი №..., შეცვილი იყო №....-ით.

მოსარჩელის განმარტებით, გამოგონება-№... „ტექნიკური გამაძლიერებლის სახელით“ გრაფიკულად და აღწერილობით, თავისი ახსნა-განმარტებით ნამდვილად არის მუშაუნარიანი. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ სრულიად უმნიშვნელო ხარვეზების გამო, რომელიც არ მოქმედებს მის მუშაუნარიანობაზე, უარი უთხრა პატენტის მისაღებად საქმის აღდგენაზე.

საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და თავდაპირველ მოთხოვნებთან ერთად მოითხოვა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილების, საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ბათილად ცნობა.

შემდგომ მოსარჩელემ კვლავ დააზუსტა მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ დაევალოს დადგენილ 10-დღიან ვადაში მისი გამოგონება გადასცეს თავდაცვის სამინისტროს; საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრისა და ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა; მეორე გამოგონების დათარიღება პირველადი მასალების მიხედვით; №2 გამოგონებას მიენიჭოს პირველადი განაცხადის თარიღი – 2005 წლის 17 მარტი №...; საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ დაევალოს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის 50000 ლარის ანაზღაურება; აღდგენილ იქნეს პირველადი გამოგონების რეგისტრაციის ნომერი და თარიღი – №... 17 მარტი 2005 წელი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

გ. ჭ-მა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ 2005 წლის 17 მარტს წარადგინა განაცხადი, გამოგონება – „მექანიკურ გამაძლიერებელზე“ პატენტის მიღების თაობაზე. განაცხადს მიენიჭა საიდენტიფიკაციო №... .

განაცხადზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2005 წლის 13 აპრილს გადაწყვეტილებით ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრების შესახებ, ექსპერტიზამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ განაცხადი აკმაყოფილებდა ფორმალურ მოთხოვნებს და მიანიჭა მას განაცხადის ნომერი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2009 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით არგუმენტირებული პასუხის წარმოუდგენლობის გამო ექსპერტიზამ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №1236 გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

გ. ჭ-ის მიერ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ წარდგენილი საბოლოოდ დაზუსტებული - კორექტირებული მასალები არ აკმაყოფილებდა „საქართველოს საპატენტო კანონის“ მოთხოვნებს, კერძოდ, საბოლოოდ კორექტირებული განაცხადის საგანსა და ცვლილებებს არ შეიცავდა ადრე წარდგენილი განაცხადი, რაც ნიშნავს, რომ შეტანილი ცვლილებები სცილდება პირველადი განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რის გამოც საბოლოოდ კორექტირებულ მასალებს პირველად შეტანილი განაცხადის შეტანის თარიღი არ შეიძლება შეუნარჩუნდეს და საქმის წარმოება განაცხადზე გაგრძელდეს იმის მიხედვით.

საბოლოოდ წარდგენილი კორექტირებული გამოგონების აღწერილობა არ არის ისეთი სისრულით გადმოცემული, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება.

სასამართლოს დასკვნები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ჭ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს საპატენტო კანონის“ 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამოცალკევებული განაცხადის საგანსა და ცვლილებებს უნდა შეიცავდეს ადრე წარდგენილი განაცხადი. ამ პირობით მას უნარჩუნდება ადრე შეტანილი განაცხადის შეტანის თარიღი (კანონის 1999 წ. რედ). მითითებული მუხლის შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ „საქპატენტში“ წარდგენილი გამოგონების საბოლოო კორექტირებული მასალები სცილდებოდა პირველადი განაცხადის არსს, რითაც დაირღვა „საქართველოს საპატენტო კანონის“ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ მოპასუხის შეტყობინების მიღების შემდეგ არ ისარგებლა „საქართველოს საპატენტო კანონის“ 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, რომლის თანახმადაც, პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს, „საქპატენტში“ იმავე განმცხადებლის უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღით, რომელშიც გახსნილია ამ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის არსი, თუ განაცხადი, რომლითაც მოითხოვება ასეთი პრიორიტეტი, შევიდა გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ხოლო სამრეწველო ნიმუშზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, უფრო ადრინდელი განაცხადი გატანილად ითვლება; (1999 წ. რედ.) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ არგუმენტირებული პასუხის წარუდგენლობის გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ მართებულად მიიღო გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №1236 გადაწყვეტილების გამოცემისას, ასევე არ დაურღვევია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გ. ჭ-ის გამოგონებაზე სრულყოფილადაა პასუხი გაცემული.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და ამ მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა რაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს. ამასთან, სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლებიც.

აპელანტი: გ. ჭ-ი

მონინალმდეგე მხარე (მოპასუხე): საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, პრეზიდენტის №451 ბრძანებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ წარდგენილი განაცხადის გასაიდუმლოების საკითხის გადასაწყვეტად, მასალები „საქპატენტის“ მიერ 10 დღის ვადაში უნდა გადაიგზავნოს თავდაცვის სამინისტროში, რაზედაც საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, საქალაქო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა №2 ფიგურის განხილვასთან დაკავშირებით.

სასამართლოს ასევე არ უმსჯელია №1 ფიგურის რეგისტრაციის ნომრის აღდგენასთან დაკავშირებით, სადაც „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში და ბრძანებაში გამოგონების (ფიგურის) ნომერი №... შეიცვალა №...-ით.

აპელანტის განმარტებით, იგი არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებას, იმასთან დაკავშირებით, რომ 2010 წლის 24 დეკემბრის ზეპირი განხილვისას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ ცნო, რომ №1 ფიგურა უფრო საბოლოო და დაზუსტებული იყო, ვინაიდან ამ დროს მოდელით მეორედ წარდგენილი ფიგურა №2 მოყვანილია მუშა მდგომარეობაში და უფრო დაზუსტებულია, ვიდრე ფიგურა №1.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, მას მონანილოება არ მიუღია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ ჩატარებულ ზეპირ განხილვაში, რითაც დაირღვა „საქართველოს საპატენტო კანონის“ 24-ე მუხლი.

მონინალმდევე მხარის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ შესაგებელი:

ფაქტობრივი: მონინალმდევე მხარის განმარტებით, აპელანტის მიერ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოება უსაფუძვლოა, ვინაიდან ექსპერტიზის საკითხთან დაკავშირებით ზეპირი განხილვის ჩატარებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ხოლო რაც შეეხება აპელანტის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმს, მას არანაირი კავშირი არ აქვს აპელანტის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებასთან.

სამართლებრივი: მონინალმდევე მხარის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამომწურავადა დასაბუთებული ყველა ის გარემოება, რასაც სადავოდ ხდის აპელანტი, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს მისი გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინებით გ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტები განსახილველად წარდგენილი გამოგონების გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროში გადაგზავნის თაობაზე და განმარტა, რომ „საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 16 ოქტომბრის №451 დებულება აწესრიგებს „საქპატენტში“ განსახილველად წარდგენილი გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადების გასაიდუმლოებასა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. აღნიშნული დებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, გასაიდუმლოებას ექვემდებარება განაცხადი გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ახალი სახეობის სამხედრო იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შესახებ, დანართში მოყვანილი ნუსხიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, იგი სათანადო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიჩნეულ იქნეს საიდუმლოების მომცველ განაცხადად. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ აღნიშნული განაცხადი არ აკმაყოფილებდა მითითებული დებულების მოთხოვნებს, რის შესაბამისადაც არ არსებობდა ამ მიმართებით განსახილველად წარდგენილი გამოგონების გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით მისი თავდაცვის სამინისტროში გადაგზავნის კანონისმიერი ვალდებულება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატის განმარტებით, „საქართველოს საპატენტო კანონის“ 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასთან და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მითითებული კანონის VI თავი ითვალისწინებს განაცხადის საპატენტო ექსპერტიზის საფუძველზე პატენტის გაცემას. აღნიშნული კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „საქპატენტი“ ატარებს განაცხადის საპატენტო ექსპერტიზას, რომლის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ექსპერტიზის მსვლელობისას „საქპატენტს“ შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს განაცხადში ცვლილების ან შესწორების შეტანა, ან განმარტების წარმოდგენა, რომლის გარეშეც შეუძლებელია განაცხადის განხილვის გაგრძელება და საგანაცხადო მასალების გამოქვეყნება.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაურღვევია „საქართველოს საპატენტო კანონი“. აღნიშნული კანონის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამოცალკევებული განაცხადის საგანსა და ცვლილებებს უნდა შეიცავდეს ადრე წარდგენილი განაცხადი. ამ პირობით მას უნარჩუნდება ადრე შეტანილი განაცხადის შეტანის თარიღი (კანონის 1999 წ. რედ). განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ „საქპატენტში“ წარდგენილი გამოგონების საბოლოო კორექტირებული მასალები სცილდებოდა პირველადი განაცხადის არსს, რითაც დაირღვა „საქართველოს საპატენტო კანონის“ შემოსხენებული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები. მოსარჩელემ მოპასუხის შეტყობინების მიღების შემდეგ არ ისარგებლა „საქართველოს საპატენტო კანონის“ 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, რომლის თანახმადაც, პრიორიტეტი შეიძლება დადგინდეს, „საქ-

პატენტში“ იმავე განმცხადებლის უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღით, რომელშიც გახსნილია ამ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის არსი, თუ განაცხადი, რომლითაც მოითხოვება ასეთი პრიორიტეტი, შევიდა გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ხოლო სამრეწველო ნიმუშზე უფრო ადრინდელი განაცხადის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, უფრო ადრინდელი განაცხადი გატანილად ითვლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის კანონიერი საფუძველი.

კასატორი: გ. ჭ-ი

მონინალმდევე მხარე: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „გ“ და „ე“ პუნქტები, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, „საქართველოს საპატენტო კანონის“ 30.5, 26.3 მუხლები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ არც მიკროფონი ჩაურთო და არც სასამართლო სხდომის ოქმი გადასცა თავის დროზე, რითაც მოუსპო მისი გასაჩივრების უფლება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი თხოვნა საქმის სირთულიდან გამომდინარე ადვოკატის დანიშვნის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა იმის თაობაზე, რომ „საქპატენტი“ ვალდებული იყო მიეწოდებინა ინფორმაცია „საპატენტო კანონის“ 29-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების არსებობის შესახებ, რითაც უნდა გამოეყო მეორე გამოგონება განაცხადის ბლანკის თანდართვით.

კასატორმა საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი მოსაზრებით მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

მონინალმდევე მხარემ სასამართლო სხდომაზე მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები (სასკ 34.3 მ.):

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილება; საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №136 გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან; გ. ჭ-ის განაცხადი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს მოპასუხე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ და დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადა-

უნყვეტლად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საპატენტო უფლებათა გაფორმების პროცედურების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება „საქართველოს საპატენტო კანონით“ განსაზღვრული ნორმები.

აღნიშნული კანონის (1999 წლის რედაქცია) ანესრიგებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – გამოგონების, სასარგებლო მოდელებისა და სამრეწველო ნიმუშების შექმნასთან, მათ გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს.

საქართველოს საპატენტო კანონის V თავით განსაზღვრულია საპატენტო უფლებათა გაფორმების პროცედურა. აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, განაცხადი გამოგონების ან სასარგებლო მოდელების პატენტის მისაღებად უნდა შეიცავდეს: ა) განაცხადებს პატენტის მიღების თაობაზე, რომელშიც მითითებულია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ავტორი და ის პირი, რომელიც მოითხოვს პატენტის მიღებას; ბ) გამოგონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობას; გ) გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულას; დ) ნახაზებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად; ე) რეფერატს, რომელიც არ გამოიყენება ტექნიკის დონის დასადგენად და გააჩნია მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი; ვ) სხვა დოკუმენტებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ასახსნელად. თუ აღნიშნული მუხლის მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული, განაცხადის განხილვა არ წარიმართება საქპატენტში და წარდგენილი თარიღი არ დაფიქსირდება და გამოგონებას არ მიენიჭება პრიორიტეტი. ამასთან, განაცხადის მიწოდების თარიღისთვის ან არა უგვიანეს ერთი თვისა, წარდგენილი უნდა იყოს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, რომლის გარეშეც განაცხადი არ განიხილება.

განაცხადის მიღების შემდეგ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ აწარმოებს სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზას, რომლის ჩატარების წესი და პროცედურა რეგლამენტირებულია „საქართველოს საპატენტო კანონის“ VI თავით. საპატენტო ექსპერტიზა იყოფა ორ ნაწილად: ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზად და არსობრივ ექსპერტიზად.

თავის მხრივ, ფორმალური ექსპერტიზა იყოფა ორ სტადიად, პირველი სტადიაა განაცხადის შეტანის თარიღის დადგენა, რა დროსაც განაცხადს თარიღი განესაზღვრება თუ იგი აკმაყოფილებს საპატენტო კანონის 27-ე მუხლის მოთხოვნებს ანუ წარმოდგენილია თუ არა განაცხადის ყველა აუცილებელი დოკუმენტი. გადმოცემულია თუ არა ყველა მონაცემი გაფორმების წესებით თანახმად, არის თუ არა ავტორისა და განმცხადებლის ხელმოწერები, აღწერილობა და ფორმულა წარმოდგენილია თუ არა დადგენილი სტრუქტურით და სხვა. ამასთან, შეტანის თარიღის დადგენა ასევე დაკავშირებულია ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასურის გადახდასთან, თუ აღნიშნული არ იქნება წარდგენილი, ექსპერტიზა არ იწყება და განაცხადს თარიღი არ უდასტურდება. თუ ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია, შემდეგ იწყება ფორმალური ექსპერტიზის მეორე სტადია, რომლის დროსაც დგინდება დაცულია თუ არა გამოგონების ან სასარგებლო მოდელის მიმართ კანონმდებლობით და გაფორმების წესებით გათვალისწინებული ერთიანობის მოთხოვნა. თუ ერთიანობა დარღვეულია, განმცხადებელს ეძლევა რეკომენდაცია განაცხადის გაყოფის თაობაზე. თუ აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულდა, ექსპერტიზა განიხილავს ერთ ობიექტს, რომელიც პირველ დამოუკიდებელ მუხლშია წარმოდგენილი. გამოგონების ერთიანობის ექსპერტიზა ამ სტადიაზე ტარდება განცხადებული ობიექტის არსის ღრმად შესწავლის გარეშე, ამ სტადიაზე მოწმდება ერთიანობის აშკარა დარღვევა, რაც სახეზეა თუ განაცხადში აღწერილია 2 ან მეტი აშკარად განსხვავებული დაცვის ობიექტი, თუმცა, ერთიანობის შემონახვა გრძელდება არსობრივი ექსპერტიზის დროსაც, რა დროსაც შეისწავლება საგამომგონებლო იდეა და მისით ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტები. ამ საკითხის შესწავლის შედეგად საქპატენტს გამოაქვს გადაწყვეტილება განაცხადის განსახილველად მიღების შესახებ ან მიღებაზე უარის შესახებ, ხოლო, რაც შეეხება არსობრივ ექსპერტიზას, იგი იწყება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ და გულისხმობს პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შემოწმებას, არსობრივი ექსპერტიზის დროს, თუ ექსპერტიზა დარწმუნდა, რომ გამოგონება აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის ყველა კრიტერიუმს, მაშინ საქპატენტის მიერ გაიცემა პატენტი.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2005 წლის 17 მარტს გ. ჭ-მა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ წარადგინა განაცხადი გამოგონება – „მექანიკურ გამაძლიერებელზე“ პატენტის მიღების თაობაზე.

2005 წლის 13 აპრილს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დამთავრების შესახებ და გამოიტანა გადაწყვეტილება რომ განაცხადი აკმაყოფილებდა ფორმალურ მოთხოვნებს და მას მიენიჭა ნომერი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2005 წლის 25 მაისის №6736 შეტყობინება-მოთხოვნის შესაბამისად განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის მსვლელობის პროცესში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად გ. ჭ-ს დაევალა დასაბუთებული პასუხის წარმოდგენა რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2005 წლის 11 აგვისტოს №9862 არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში არგუმენტირებული პასუხისა და საგანაცხადო მასალების შემცველი გვერდების წარმოდგენლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2005 წლის 7 სექტემბრის №10469 შეტყობინებით ექსპერტიზამ გამოიტანა გადაწყვეტილება განაცხადზე საქმის წარმოების აღდგენის შესახებ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2006 წლის 23 ივნისის №28043 შეტყობინება-მოთხოვნის შესაბამისად, გ. ჭ-ს კვლავ დაევალა განმარტებების წარმოდგენა.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2007 წლის 9 მარტის №39505 შეტყობინება-მოთხოვნის შესაბამისად, განმცხადებელს ეცნობა, რომ 28.12.06 და 19.12.06 თარიღით წარმოდგენილი მასალები სცილდებოდა პირველად 17.03.05 თარიღით წარდგენილ დამატებით მასალების არსს და დაევალა წარმოდგენა პასუხი შეტყობინება-მოთხოვნაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, მასვე განემარტა, რომ ორი თვის ვადაში პასუხის ან პასუხის ვადის გაგრძელების თაობაზე შესაბამისი თხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, საქპატენტი გამოიტანდა უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტის“ 2007 წლის 13 სექტემბრის შეტყობინებით საქმის წარმოება გ. ჭ-ის განაცხადზე გაგრძელდა.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2007 წლის 13 სექტემბრის №48349 შეტყობინება-მოთხოვნის შესაბამისად, განმცხადებელს ეცნობა, რომ კვლავ ვერ მოხერხდა ობიექტის დადგენა, ვინაიდან დაზუსტებას საჭიროებდა გამოგონების დასახელება „მრავალსაფეხურიანი ბერკეტი“. რის გამოც განმცხადებელს დაევალა დასაბუთებული პასუხის წარმოდგენა დასმულ საკითხთან დაკავშირებით და ეცნობა, რომ პასუხის ან პასუხის ვადის გაგრძელების თაობაზე შესაბამისი თხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, „საქპატენტი“ გამოიტანდა უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2008 წლის 17 სექტემბრის №68554 შეტყობინება-მოთხოვნით განმცხადებელს კვლავ ეცნობა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მასალები არ იყო შესრულებული საპატენტო კანონის მოთხოვნების შესაბამისად და განაცხადზე ობიექტის დადგენა ვერ ხერხდებოდა, რის გამოც განმცხადებელს კვლავ მიეცა ვადა დასაბუთებული პასუხის წარმოსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში „საქპატენტი“ გამოიტანდა გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ „საპატენტო კანონის“ 32.2 მუხლის თანახმად.

არსობრივი ექსპერტიზის მსვლელობის პროცესში გ. ჭ-ს არაერთხელ მიეცა ვადა დასაბუთებული პასუხის წარმოსადგენად.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2009 წლის 20 ნოემბრის №90137 შეტყობინება-მოთხოვნით განმცხადებელს ეცნობა, რომ მის მიერ 25.08.09, 16.09.09 და 3.11.09 თარიღებით წარდგენილი მასალები კვლავ არ პასუხობდა შეტყობინებებში დასმულ მოთხოვნებს და წარმოდგენილი კორექტირებული მასალები ისევ სცილდებოდა პირველად წარმოდგენილ განცხადის ფარგლებს. ბოლოს წარდგენილ დამატებით მასალაში დასაზუსტებელი იყო ასევე გამოგონების დასახელება „ძრავა“, რის გამოც განმცხადებელს კვლავ მიეცა ვადა დასაბუთებული პასუხის წარმოსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში, „საქპატენტი“ გამოიტანდა გადაწყვეტილებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ „საპატენტო კანონის“ 32.2 მუხლის თანახმად.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის განაცხადზე შეწყდა საქმის წარმოება არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენლობის გამო.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ 2010 წლის 24 დეკემბრის №1236 გადაწყვეტილებით, „საქართველოს საპატენტო კანონის“ 42-ე მუხლზე დაყრდნობით, არ დააკმაყოფილა გ. ჭ-ის სააპელაციო საჩივრი, გამოგონების „მექანიკური გამაძლიერებლის“ შესახებ საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილების გაუქმებისა და აღნიშნულ გამოგონებაზე პატენტის გაცემის თაობაზე, იმ საფუძველით, რომ გ. ჭ-ის მიერ საბოლოოდ კორექტირებული მასალები არ აკმაყოფილებდა „საქართველოს საპატენტო კანონის“ (1999 წლის რედაქცია) 29.2 მუხლის მოთხოვნს, კერძოდ, საბოლოოდ კორექტირებული განაცხადის საგანსა და ცვლილებებს არ შეიცავდა ადრე წარდგენილი განაცხადი ანუ შეტანილი ცვლილებები, რომელთა შეტანასაც გ. ჭ-ი ითხოვდა პირველად წარდგენილი გამოგონების აღწერილობასა და გრაფიკულ მასალებში სცილდებოდა პირველადი განაცხადის არსს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საბოლოოდ წარმოდგენილი კორექტირებული გამოგონების აღწერილობა არ იყო შესრულებული „საქართველოს საპატენტო კანონის“ (1999 წლის რედაქცია) 26.3 მუხლის შესაბამისად, ანუ გადმოცემული არ იყო ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხილვა, ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, გ. ჭ-მა არ ისარგებლა „საქართველოს საპატენტო კანონის“ (1999 წლის რედაქცია) 30.5.2 მუხლით.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქპატენტმა“ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, გ. ჭ-ს ვერ გაუწია სათანადო სამართლებრივი დახმარება, რაც მოქალაქეს მისცემდა შესაძლებლობას თავისი უფლების რეალიზაცია მოეხდინა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო და-

ნესებულებებმა ადმინისტრაციულ წარმოებათა ჩატარებისას უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოში არსებული დაბალი სამართლებრივი კულტურის ფონი, სამართლებრივ დაცვაზე ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი და მაქსიმალურად სრულფასოვანი სამართლებრივი კონსულტაციის გზით დაეხმარონ პირს მისი კანონიერი ინტერესების განხორციელებაში, რათა კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმალური პროცედურები არ იქცეს პირის მატერიალური უფლებების რეალიზაციის დამაბრკოლებელ გარემოებად. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გ. ჭ-ისათვის გაუგებარი იყო „საქპატენტის“ შეტყობინება-მოთხოვნებში მითითებული მოთხოვნები, რის წარმოდგენასაც ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანო გამოგონების განხილვისათვის. მოწინააღმდეგე მხარე ვალდებული იყო გამოგონების ავტორისათვის უფრო გასაგებად და მკაფიოდ განემარტა თუ რა სახის მასალები ან არგუმენტები უნდა წარმოედგინა გ. ჭ-ს, რომ დაეკმაყოფილებინა „საქპატენტის“ პროცედურული მოთხოვნები მისი გამოგონების განხილვისათვის.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილება არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენლობის გამო გ. ჭ-ის განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე სრულიად დაუსაბუთებელია და საერთოდ არ შეიცავს არანაირ ფაქტობრივ და სამართლებრივ მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის თაობაზე. სადავო აქტი საერთოდ არ შეიცავს საკითხის ამგვარად გადაწყვეტის დასაბუთებას, რასაც იმპერატიულად ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი (1-6 ნაწილები).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი ნაწინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ მარტივად რომ ვთქვათ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავენ მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა ადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მოსამსახურეები არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები წარმოშობს საჯარო ფუნქციის განმხორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას – სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო დაწესებულებათა მოსამსახურეების მიმართ სრულად უნდა გავრცელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე შპს „...“ (მიმართ), რომელიც ეხება საჯარო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტის დადგენას, კერძოდ, სასამართლომ მითითებულ საქმეზე დაადგინა: „აღამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გააჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშო-

რისო დოკუმენტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ა.შ. აუცილებელია დაცული იყოს ნონასწორობა, ერთი მხრივ, იმ დანესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოება და მეორეს, მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურისა და დახმარების განევას, რომელნიც პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

საერთაშორისო აქტებით, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფოთა შიდაეროვნული დოკუმენტებით საჯარო მოხელეთა ძირითად პრინციპებს განეკუთვნება მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, კეთილსინდისიერი სამსახური, ეკონომიურობა, ეფექტურობა და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო და ხალხი მიისწრაფის რა საერთაშორისო თანამეგობრობაში კუთვნილი ადგილის დასაკავებლად, იზიარებს და აღიარებს ფასეულობების სისტემას, როგორც საერთო ცივილიზაციის ნაწილს და რაც დიდწილად ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენამ გამოინიჭია თვისობრივად და ფუნქციურად ახალი, თანამედროვე ტიპის ბიუროკრატიული კლასის ფორმირების აბსოლუტური აუცილებლობა, რაც პრაქტიკაში უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამ ფაქტორების ზეგავლენისა, მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიულად განმტკიცებული ტენდენცია ერის ინტერესების სამსახურში ჩამდგარი საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის შექმნა-ფუნქციონირებისა რეალურად დამკვიდრდეს ცხოვრებაში, უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა (მოქალაქეობის არ მქონე) ლეგიტიმური მოლოდინი კანონშესაბამისი, გულისხმიერი და კომპეტენტური მომსახურების მიღების თაობაზე.

საჯარო სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის საზოგადოების, მისი თითოეული წევრის კანონით დაცული ინტერესების მომსახურება, რისი გაუთვინციობიერებლობა, ვალდებულებათა ჯეროვანი შეუსრულებლობა უშუალოდ აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე, ნაციონალური იდენტობის ხარისხზე, საკუთარი ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის თანაგანცდაზე, რომლის გარეშე საფრთხე ექმნება დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თანამედროვე საქართველოს ბიუროკრატიის ამოცანას, გამოწვევას წარმოადგენს განვითარებადი სახელმწიფოს სტატუსის დასაძლევად მაქსიმალური ძალისხმევა, რაც ქვეყნის სამართლებრივი, ეკონომიკური, მენტალური და კულტურული მოდერნიზაციის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს თანამედროვე ყოფა დაუყოვნებლივ საჭიროებს სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას, საჯარო სამსახურის სისტემის სამართლებრივი სტანდარტებითა და პრინციპებით ფუნქციონირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ექნება და პოზიტიურ გავლენას ვერ მოახდენს საზოგადოების განვითარებაზე. განსხვავებით ტოტალიტარულიდან, დემოკრატიული სახელმწიფოს ბიუროკრატია, ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, ემსახურება არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის – მმართველი ფენის, ოლიგარქიის, რელიგიური კონფესიის, არამედ, დამქირავებლის – საკუთარი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს პროგრესს. თანამედროვე დემოკრატიული გაგება საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისა, გამორიცხავს საჯარო მოსამსახურეთაგან არაპროფესიულ, არაკომპეტენტურ, გულგრილ, ქედმაღლურ და დისკრიმინაციულ მოპყრობას დაინტერესებული პირისადმი.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვას /ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სამოხელეო სამართალი, პრინციპებთან, როგორცაა – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის, საქვეყნოობის, საიდუმლოებისა და ა. შ. სრულ შესაბამისობაშია 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული – საქართველოში საჯარო სამსახურის პრინციპები, რომელთა დადგენით კანონმდებელი ხაზს უსვამს საჯარო სამსახურის მიზნის და დანიშნულების მნიშვნელობას, მის გავლენას საზოგადოების ინტერესებზე.

საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერ აღსრულებას ემსახურება ქვეყნის ზოგადი წესების ანუ სპეციალური ეთიკის განსაზღვრა კანონის ახალი – VII თავის ნორმების დადგენით /2010 წლის 1 იანვარი/.

მითითებული ნორმების შინაარსი აყალიბებს თანამედროვე საქართველოს საჯარო მოსამსახურის პროფესიულ სახეს, მთლიანად საჯარო სამსახურის იმიჯს“.

საკასაციო სასამართლო სამართლებრივ შეფასებას აძლევს ასევე გასაჩივრებულ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №1236 გადაწყვეტილებას, რომლის შესწავლის შედეგად, ასკვნის, რომ მიუხედავად მისი დასაბუთებულობისა (რაც თავისთავად არ არის საკმარისი აქტის კანონიერად მიჩნევისათვის), იგი არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამდენადაც ვერც სააპელაციო პალატამ ვერ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პირის პროცედურული უფლებების სრულფასოვანი დაცვა, კერძოდ, საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე, მართალია, გ. ჭ-ი მიწვეული იყო, მაგრამ მან სხდომა დატოვა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირო-

ბებში თუ გ.ჭ-ი სრულად და ცხადად იქნებოდა ინფორმირებული სხდომაზე მონაწილეობის მიღების მნიშვნელობაზე, სხდომის არსზე და ზეპირი განხილვის დანიშნულებაზე, მისაღები გადაწყვეტილების მომზადების პროცესში, ამასთან, განემარტებოდა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, ჩამოუყალიბდებოდა ნდობის სხვა ხარისხის საჩივრის განმხილველი ორგანოს მიმართ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებათა საქმიანობა და მისი კანონიერება დიდწილად ფასდება არა მხოლოდ საკითხების, განცხადებების სტატისტიკური განხილვების შედეგად, არამედ, დაინტერესებულ პირთა წრის ნდობის ფაქტორით და კანონიერი, ავტორიტეტული, ადმინისტრირების მოლოდინით.

იმ ვითარებაში, როცა მხარემ პირველ სტადიაზე მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი, შესაბამისად უკანონო გადაწყვეტილება, სააპელაციო პალატას ევალებოდა პირის მაღალი ნდობის მოპოვება, მისთვისვე საფუძვლიანი სათანადო სამართლებრივი კონსულტაციის მეშვეობით.

პირის დარწმუნება – მიიღოს მონაწილეობა ზეპირ განხილვაში მისცეს ახსნა-განმარტებები საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე – არსებითად მიიღოს მონაწილეობა კანონიერი გადაწყვეტილების მომზადების სტადიაზე, არის უკიდურესად საჭირო და მოითხოვს დიდ გულისხმიერებას, მოთმინებას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სამართლებრივი პრინციპებისა და მიზნის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

გ.ჭ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვის დროისათვის მოქმედი „საქართველოს საპატენტო კანონის“ 9.1 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატა იხილავს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, ასევე მათი დაცვის კრიტერიუმებთან, პატენტის გაცემასთან დაკავშირებულ დავებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ საჩივრის განხილვისას სრულყოფილად არ გამოიკვლია „საქპატენტმა“ დაარღვია თუ არა გ.ჭ-ის მიერ განაცხადის წარდგენის დროისთვის მოქმედი, „საქართველოს საპატენტო კანონი“, რამდენად სრულყოფილად შეაფასა გ.ჭ-ის მიერ წარდგენილი განაცხადები ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების დროს და სრულად არ გამოიკვლია რამდენად სწორად იყო წარდგენილი განაცხადის აღწერილობა და გამოგონების ფორმულა, წარმოდგენილი იყო თუ არა გამოგონების აღწერილობის არსებითი ნიშნები. გ.ჭ-ის განაცხადი სრულად აკმაყოფილებდა თუ არა არსობრივი ექსპერტიზისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

საკასაციო პალატამ მიუხედავად მისი დასაბუთებული გადაწყვეტილებისა მკაფიოდ ვერ განმარტა, თუ საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ რატომ არ შეიძლება 2010 წლის 24 დეკემბრის წარდგენილი საბოლოოდ დაზუსტებული კორექტირებული მასალების საფუძველზე საქმის წარმოების განახლება ან კიდევ მისი ცალკე განაცხადად მიჩნევა და მასზე ახალი წარმოების დაწყება პატენტუნარიანობის დასადგენად და არა მისი, როგორც ადრე წარდგენილ განაცხადში ცვლილებების შეტანად განხილვა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე შპს „...“ (მიმართ) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებს და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურს, მიუხედავად ერთიანი სისტემური ბუნებისა, ფუნქციური მრავალფეროვნება ახასიათებს. იქნება ეს – მართლწესრიგის დაცვის, საბაჟო-საგადასახადო სისტემის, სამხედრო სამსახურის, თუ თვითმმართველობის სფერო, ყოველ მათგანს განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა საერთო აქვთ მიზანი და ამოცანა – ზრუნვა საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ.

ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების განვეისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას და რომლის შესრულების კანონიერი, პატივსაღები მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოცემულობა – დაბალი სამართლებრივი კულტურა, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სრულფასოვანი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმიუწვდომლობა, პროფესიული კავშირების საქმიანობის არაეფექტიანობა და სხვა, განაპირობებს ზოგადად, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების საერთო-ეროვნული ტრადიციის, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბების სირთულეს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თანხის ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა შექმნილი კლიშეს, ან კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ, მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. სწორედ, თანამედროვე საჯარო მოსამსახურეების კეთილსინდისიერებაზე, ნებისყოფასა და მზრუნველ დამოკიდებულებაზე არის მიბმული, თუ რამდენად მცირერიცხოვანი იქნება, ან რა მასშტაბებს მიიღებს მოქალაქეთა კონფლიქტი კანონთან. საჯარო სამსა-

ხურის არსი, ნამდვილი შინაარსი სწორედ ამგვარი შესაძლო კონფლიქტის პრევენციას გულისხმობს. თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის მხრიდან მითითებული პროფესიული და მორალური ტვირთის გასიგრძელებაც, საკუთარი სტატუსის და პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით უაღრესად დადებით როლს შეასრულებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ ნდობის, პატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებაში, საზოგადოების პოზიტიური განვითარების ტენდენციის გამოკვეთაში“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით ცალსახად არ არის დადგენილი ის გარემოება, თუ რატომ არ იძლევა გ. ჭ-ის მიერ 2010 წლის 24 დეკემბერს საბოლოოდ წარდგენილი დაზუსტებული კორექტირებული მასალები საქმის წარმოების გაგრძელების და მათ საფუძველზე პატიენტის გაცემის შესაძლებლობას და რაში მდგომარეობს არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენლობა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება, განიხილოს მხარის მიერ წარმოდგენილი განაცხადები სრულად, ხელახლა დეტალურად განიხილოს №1 და №2 ფიგურები, მოუსმინოს მხარის ახსნა-განმარტებებს და სრულყოფილად გამოიკვლიოს და შეაფასოს განაცხადზე დართული მასალები, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ შეწყდა წარმოება და რა იგულისხმება არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენლობაში, მასში მითითებული არ არის არც ერთ საკანონმდებლო ნორმაზე, რომლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადავო – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მიიჩნეული უფლებამოსილება სასამართლომ იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ექსპერტის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილება და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №136 გადაწყვეტილება, გამოცემის მომენტიდან და ამასთან, მოპასუხეს უნდა დაევალოს გ. ჭ-ის განაცხადის ხელახლა განხილვა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე.

ამასთან, ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად არის ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს გ. ჭ-ის განაცხადის ხელახალი განხილვა, საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს ზიანის ანაზღაურების საკითხზე. საკასაციო სასამართლო ასევე ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს მისი გამოგონების გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც გ. ჭ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53 მუხლის თანახმად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 32.4; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372-ე, 390-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე წ ვ ი ტ ა :

1. გ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი:

ა) საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ექსპერტიზის 2009 წლის 9 დეკემბრის №91417 გადაწყვეტილება;

ბ) საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის №136 გადაწყვეტილება, გამოცემის მომენტიდან;

4. გ. ქ-ის განაცხადი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს მოპასუხე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ და დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში;

5. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-78-78(კ-12)

27 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 1 ივნისს ლ. მ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ე. ს-ას, შ. ბ-ას, მ. ს-ის, ა. ს-ის, რ. გ-ის, გ. ხ-ას, რ. კ-ას, კ. ხ-ას, თ. ს-ას, პ. ჯ-ის, კ. ა-ას, კ. ლ-ას, პ. კ-ის, ე. მ-ის, მ. მ-ისა და თ. შ-ას მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხეებისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 300 000 ლარის და მორალური ზიანის – 1 000 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2001 წლის 14 ივლისს ქ. ფოთის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლების მიერ უკანონოდ დაკავებულ იქნა მისი შვილი თ. მ-ა, რომელიც გადაიყვანეს და საპროცესო გაფორმების გარეშე მოათავსეს სატრანსპორტო პოლიციის სამორიგეო ნაწილში. ამის შემდეგ, ასევე საპროცესო ნორმების დარღვევით, თ. მ-ა გადასცეს ქ. ფოთის შს სამმართველოს. მოსარჩელის მითითებით, ე.წ. აღიარებითი ჩვენების გამოძღვის დროს ანამეს მისი შვილი, რასაც მოყვა მისი სიკვდილი. კვალის დაფარვის მიზნით ფოთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა პროკურატურის ხელშეწყობით გააყალბეს არაერთი საპროცესო დოკუმენტი, რათა გაემართლებინათ თ. მ-ას დაკავება.

მოსარჩელის განმარტებით, 2001 წლის 15 ივლისს ქ. ფოთის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი შუამდგომლობის საფუძველზე საქმე გადაეცა ქუთაისის სამხარეო პროკურატურას, რომელიც ხელს უწყობდა დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. ამის შემდგომ, ისევ მისი შუამდგომლობის საფუძველზე საქმე თბილისის პროკურატურას გადაეცა, რომელმაც დადგენილებით შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე მისი შვილის მიმართ, ხოლო სასამართლომ ამ დადგენილების საფუძველზე 2003 წლის 22 მაისს გამოიტანა დადგენილება თ. მ-ას სრული რეაბილიტაციის შესახებ. გარდა ამისა, თბილისის პროკურატურამ 2002 წლის 2 ოქტომბერს პასუხისგებაში მისცა ფოთის შს სამმართველოს სამძებროს უფროსის მოადგილე მ. მ-ი, მოგვიანებით კი 2005 წლის 9, 10, 11 თებერვალს – ინსპექტორები კ. ა-ა, პ. კ-ე, ე. მ-ე; 2005 წლის 15 მარტს – სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე მ. ს-ი, 2005 წლის 1 ივლისს – შ. ბ-ა, ე. ს-ა, კ. ხ-ა. 2006 წლის 22 სექტემბერს ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით ხსენებული პირები დამნაშავედ არიან ცნობილნი. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ.

მოსარჩელის განმარტებით, ფოთის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაინიშნა გამოძიება და 2006 წლის 4 მაისს პასუხისგებაში მისცა ფოთის შს სამმართველოს ყოფილი უფროსი თ. ს-ა, 2006 წლის 15 აგვისტოს – ფოთის ყოფილი პროკურორი გ. ხ-ა, 2006 წლის 12 ივნისს – ინსპექტორები ა. ს-ი, კ. ლ-ა და თ. შ-ა, 2006 წლის 15 აგვისტოს – მორიგე რ. კ-ა, 2006 წლის 15 მაისს – ნაბადის ქვედანყოფილების ყოფილი უფროსი პ. ჯ-ე. ზუსტად ამ საქმით დადგინდა თ. მ-ას წამების ფაქტი. 2007 წლის 14 მარტს ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენით მითითებული პირები

დამნაშავედ არიან ცნობილი. აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულის შემდეგ გენერალურ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება მ. ს-ის, კ. ა-ას. ჰ. კ-ის და ე. მ-ის მიმართ, ხოლო 2008 წლის 19 სექტემბერს ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მათ მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც უცვლელად დარჩა გასაჩივრების მიუხედავად.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნულ საქმეზე ბოლო განაჩენი გამოტანილია 2009 წლის 14 სექტემბერს.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეთა მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასტურდება მოპასუხეთა მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენებით. ამასთან, მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს, რომ მატერიალური ზიანი დასტურდება მგზავრობის, სატელეფონო ზარების, საქმის მასალების ქსეროასლების გადაღების, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი მასალების თარგმნისა და გაგზავნის, ადვოკატთა მომსახურების და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებით 8 წლის განმავლობაში. რაც შეეხება მორალურ ზიანს, მოსარჩელის მითითებით იგი დასტურდება მაშინდელი შსს-ს და პროკურატურის თანამშრომლების ცინიკური დამოკიდებულებით ამ საქმის მიმართ, მოპასუხეთა მიერ მისი და მისი გარდაცვლილი შვილის შეურაცხყოფითა და დამცირებით.

მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მოპასუხეებმა – გ. ხ-ამ, პ. ჯ-ემ, ა. ს-მა, კ. ა-ამ, კ. ლ-ამ, თ. შ-ამ და თ. ს-ამ სარჩელი არ ცნეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამასთან, მოპასუხე – ა. ს-ი მიუთითებდა, რომ განსახილველი საქმე უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან, არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე დავის საგანზე და აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული. მოპასუხეებმა – ე. ს-ამ, შ. ბ-ამ, მ. ს-მა, რ. გ-ემ, რ. კ-ამ და კ. ხ-ამ სარჩელი არ ცნეს უსაფუძვლობის გამო. ხოლო მოპასუხეებს – ჰ. კ-ეს, ე. მ-ეს და მ. მ-ს არც საქმის განხილვასთან და არც სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ. მ-ას სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ლ. მ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის პროკურატურის 2002 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე №... თ. მ-ას მიმართ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ტყვარჩელის საქალაქო და ოჩამჩირის რაიონულ სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის დადგენილებით, ქ. თბილისის პროკურატურის 2002 წლის 26 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, გარდაცვლილი თ. მ-ა სრულად იქნა რეაბილიტირებული.

ლ. მ-ამ ტყვარჩელის საქალაქო და ოჩამჩირის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას უარი განაცხადა მორალური ზიანის ფულადი სახით კომპენსაციის ანაზღაურებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრების მოთხოვნაზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2006 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით რ. გ-ს ძე გ-ის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით) და საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის III ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით); კ. ა-ა, ე. მ-ე და ჰ. კ-ე – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით; შ. ბ-ა, ე. ს-ა, კ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. სამოქალაქო მოსარჩელე ლ. მ-ას უფლება მიეცა ედავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის განაჩენით, მ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით), მ. მ-ი – საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით და 147-ე მუხლით; კ. ა-ა, ე. მ-ე, ჰ. კ-ე – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით; შ. ბ-ა, ე. ს-ა, კ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლით (2000 წლის 30 ივნისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. სამოქალაქო მოსარჩელე ლ. მ-ას უფლება მიეცა ედავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის განაჩენი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის განაჩენით თ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის III ნაწილით და 369-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); პ. ჯ-ე – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით, 333-ე, 335-ე და 369-ე (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია).

ცია); ა. ს-ი – საქართველოს სსკ-ის 333-ე და 369-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); თ. შ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); კ. ლ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); გ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); რ. კ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ივლისის განაჩენით, თ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით) და 369-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით), პ. ჯ-ე – 117-ე და 333-ე მუხლით, 335-ე და 369-ე მუხლით; ა. ს-ი – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლი და 369-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით); თ. შ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით; კ. ლ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით; გ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით; რ. კ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 იანვრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ივლისის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, თ. ს-ას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 332-ე მუხლზე და სხვა ნაწილში ზ/აღნიშნული განაჩენი დარჩა უცვლელი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენით, მ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24-ე, 117-ე მუხლით, 333-ე მუხლით, 332-ე მუხლით და 24-ე, 335-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); კ. ა-ა, ე. მ-ე და პ. კ-ე – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით და 335-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენით, უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, მ. ს-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 24-ე, 117-ე მუხლით, სსკ-ის 333-ე მუხლით და სსკ-ის 24-ე, 335-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, სხვა ნაწილში ზ/აღნიშნული განაჩენი დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ას სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების – გ. ხ-ას, პ. ჯ-ის, ა. ს-ის, თ. შ-ას, ე. ს-ას, შ. ბ-ას, რ. გ-ის, რ. კ-ას, კ. ხ-ას, თ. ს-ას, მ. მ-ის და კ. ლ-ას მიმართ იყო ხანდაზმული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, ამასთან, აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ლ. მ-ას მიმართ მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულებაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ხოლო ამავე კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა – მ. მ-ის, შ. ბ-ას, ე. ს-ას და კ. ხ-ას მიმართ 2007 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო, ხოლო თ. ს-ას, პ. ჯ-ის, ა. ს-ის, თ. შ-ას, კ. ლ-ას, გ. ხ-ას და რ. კ-ას მიმართ 2008 წლის 15 იანვრიდან ანუ იმ მომენტიდან, როდესაც მათ მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრისა და 2008 წლის 15 იანვრის განაჩენები.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა რ. გ-ის მიმართ დაიწყო 2006 წლის 15 აგვისტოდან, იმ მომენტიდან, როდესაც ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილებით რ. გ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. მ-ას მიერ სარჩელის შეტანის დროისათვის – 2011 წლის 1 ივნისისათვის, ზემოთ აღნიშნული მოპასუხეების მიმართ გასული იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დადგენილია, რომ მო-

პასუხების: მ. ს-ის, კ. ა-ას, ე. მ-ისა და ჰ. კ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილი ქმედებები სასამართლოს მიერ დაკვალიფიცირდა როგორც დანაშაული, რასაც შედეგად მოჰყვა აპელანტის ლ. მ-ას შვილის – თ. მ-ას სიკვდილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მოპასუხების მიმართ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2009 წლის 14 სექტემბრიდან, ანუ იმ მომენტიდან, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. შესაბამისად, ლ. მ-ას სარჩელის შეტანის დროისათვის – 2011 წლის 1 ივნისისათვის, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასული არ იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგინდა მიიჩნია, რომ მოსარჩელე ლ. მ-ა ითხოვდა მგზავრობის, სატელეფონო საუბრის, საქმის მასალების ასლის გადაღების, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი საქმის მასალების თარგმნის და გაგზავნის, ასევე, ადვოკატის მომსახურებისა და სხვა ხარჯებს, რომლის უშუალოდ მოპასუხეთა ქმედებიდან წარმოშობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა ლ. მ-ამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვერ წარადგინა რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ აპელანტმა აღნიშნული სახის ხარჯები გასწია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

სააპელაციო სასამართლომ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ზიანის ერთ-ერთ ნაირსახეობას მორალური ზიანი წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების სულიერ-ფსიქიკურ ტანჯვასთან. ამგვარი მდგომარეობა ასევე ექვემდებარება ანაზღაურებას. მორალური ზიანის მიყენება შესაძლებელია როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი უფლებების დარღვევით. განსხვავებულია მათი ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი. მორალური ზიანი, რომელიც მიყენებულია არაქონებრივი უფლებების ხელყოფით, შეიძლება, ანაზღაურდეს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა, ხოლო როდესაც მორალური ზიანი წარმოიშობა ქონებრივი უფლების ხელყოფით, ანაზღაურების ვალდებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ითვალისწინებს ამგვარ ურთიერთობებს კანონმდებელი. სწორედ ამ პირობაზე უთითებს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; ხოლო მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მითითებას, რომ მოპასუხეების მხრიდან, თ. მ-ას გარდაცვალების შემდეგ ადგილი ჰქონდა პატივისა და ღირსების შელახვას მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის ლ. მ-ას მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ სრულიად უმართებულოდ თქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის მოტივით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა არა პროცესუალური, არამედ მატერიალური კანონმდებლობით წარმოშობდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეზე წარდგენილ მტკიცებულებებს და სათანადოდ არ გამოიკვლია ხანდაზმულობის საკითხი.

კასატორის მითითებით, სასამართლომ მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413.2 მუხლი, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეების მხრიდან ვერ იქნა დადასტურებული ლ. მ-ასათვის პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტები. კასატორის მითითებით, რა მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მონინალმდევე მხარის მიერ წლების მანძილზე შვილადღუპული დედის შელახული „ღირებული ინტერესები“, თუ არა იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ სარჩელის ხანდაზმულობასთან ერთად მსჯელობას საჭიროებდა იმის განსაზღვრა, რვა წლის შემდეგ მაინც სამართლიანი სასამართლოს განცდა უჩნდებოდა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 27 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. მ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებლად იქნა ცნობილი ლ. მ-ას საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2012 წლის 5 აპრილს 15:00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის პროკურატურის 2002 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე №... თ. მ-ას მიმართ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ტყვარჩელის საქალაქო და ოჩამჩირის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის დადგენილებით, ქ. თბილისის პროკურატურის 2002 წლის 26 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, გარდაცვლილი თ. მ-ა სრულად იქნა რეაბილიტირებული.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ლ. მ-ას ტყვარჩელის საქალაქო და ოჩამჩირის რაიონულ სასამართლოში არ ჰქონია აღძრული სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სარჩელში დასახელებული ფიზიკური პირების მიმართ, რის გამოც, იმ დროს მის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვერ გახდებოდა ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2006 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით რ. გ-ის ძე გ-ის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით) და საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის III ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით); მ. ს-ი – საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით); კ. ა-ა, ე. მ-ე და ჰ. კ-ე – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით; შ. ბ-ა, ე. ს-ა, კ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. სამოქალაქო სარჩელი დარჩა განუხილველი, ხოლო სამოქალაქო მოსარჩელე ლ. მ-ას უფლება მიეცა ედავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის განაჩენით მ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით), მ. მ-ი – საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით და 147-ე მუხლით; კ. ა-ა, ე. მ-ე, ჰ. კ-ე – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით; შ. ბ-ა, ე. ს-ა, კ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლით (2000 წლის 30 ივნისის რედაქციით, 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. სამოქალაქო მოსარჩელე ლ. მ-ას უფლება მიეცა ედავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის განაჩენი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის განაჩენით თ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლის III ნაწილით და 369-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); პ. ჯ-ე – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით, 333-ე, 335-ე და 369-ე (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); ა. ს-ი – საქართველოს სსკ-ის 333-ე და 369-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); თ. შ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); კ. ლ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); გ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); რ. კ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ივლისის განაჩენით თ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით) და 369-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით), პ. ჯ-ე – 117-ე და 333-ე მუხლით, 335-ე და 369-ე მუხლით; ა. ს-ი – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლი და 369-ე მუხლით (1999 წლის 22 ივლისის რედაქციით); თ. შ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით; კ. ლ-ა – საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლით; გ. ხ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით; რ. კ-ა – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 იანვრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ივლისის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, თ. ს-ას მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 147-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 332-ე მუხლზე და სხვა ნაწილში აღნიშნული განაჩენი დარჩა უცვლელი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენით მ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24-ე, 117-ე მუხლით, 333-ე მუხლით, 332-ე მუხლით და 24-ე, 335-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია); კ. ა-ა, ე. მ-ე და ჰ. კ-ე – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით და 335-ე მუხლით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენით, უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, მ. ს-ის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 24-ე, 117-ე მუხლით, სსკ-ის 333-ე მუხლით და სსკ-ის 24-ე, 335-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, სხვა ნაწილში აღნიშნული განაჩენი დარჩა უცვლელი.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ას სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების – გ. ხ-ას, პ. ჯ-ის, ა. ს-ის, თ. შ-ას, ე. ს-ას, შ. ბ-ას, რ. გ-ის, რ. კ-ას, კ. ხ-ას, თ. ს-ას, მ. მ-ის და კ. ლ-ას მიმართ ხანდაზმულია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა მ. მ-ის, შ. ბ-ას, ე. ს-ას და კ. ხ-ას მიმართ 2007 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო, ხოლო თ. ს-ას, პ. ჯ-ის, ა. ს-ის, თ. შ-ას, კ. ლ-ას, გ. ხ-ას და რ. კ-ას მიმართ – 2008 წლის 15 იანვრიდან ანუ იმ მომენტიდან, როდესაც დასახელებული პირების მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრისა და 2008 წლის 15 იანვრის განაჩენები. რაც შეეხება რ. გ-ეს, მის მიმართ 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2006 წლის 15 აგვისტოდან, ე.ი. იმ მომენტიდან, როდესაც ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილებით რ. გ-ის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. მ-ას მიერ სარჩელის შეტანის დროისათვის – 2011 წლის 1 ივნისისათვის, აღნიშნული მოპასუხეების მიმართ გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, მ. ს-ის, კ. ა-ას, ე. მ-ისა და ჰ. კ-ის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2009 წლის 14 სექტემბრიდან, ანუ იმ მომენტიდან, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენება. შესაბამისად, აღნიშნული მოპასუხეების მიმართ ლ. მ-ას სარჩელის შეტანის დროისათვის – 2011 წლის 1 ივნისისათვის გასული არ არის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე – ლ. მ-ა სარჩელით მოპასუხეებისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 300 000 ლარის და მორალური ზიანის – 1 000 000 ლარის ანაზღაურების დაკისრებას მოითხოვს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მატერიალურ ზიანად მიუთითებს მგზავრობის, სატელეფონო ზარების, საქმის მასალების ქსეროასლების გადაღების, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი მასალების თარგმნისა და გაგზავნის, ადვოკატთა მომსახურების და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას და დამატებით განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მატერიალური ზიანის სახით მოთხოვნილი მგზავრობის, სატელეფონო ზარების, საქმის მასალების ქსეროასლების გადაღების, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი მასალების თარგმნისა და გაგზავნის, ადვოკატთა მომსახურების და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები განეკუთვნება მატერიალური ზიანისგან დამოუკიდებელ სასამართლოს გარეშე ხარჯებს, რომლის ანაზღაურების საფუძვლიანობაზეც სასამართლო მსჯელობს საქმეზე წარდგენილი სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე; შესაბამისად, აღნიშნული ხარჯების მტკიცების ტვირთიც მოსარჩელეს ეკისრება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის – ლ. მ-ას მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულ ნაწილში მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხეთა მიერ მისთვის 300 000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, როგორც საქმის მასალებით არის დადგენილი, მოპასუხეთა ქმედებას მოჰყვა მოსარჩელის შვილის – თ. მ-ას გარდაცვალება. საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, გარდაცვლილის დაკრძალვა გარკვეულ პროცედურებს მოიცავს, რომლებიც თავის მხრივ ხარჯებთან არის დაკავშირებული. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში რთულია ყოველი კონკრეტული პროცედურისა და მისი შესაბამისი ხარჯების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია მიცვალებულის დაკრძალვისათვის. ამიტომ, უნდა განისაზღვროს ის სავალდებულო მინიმალური სარიტუალო პროცედურები და მათი ანაზღაურების მინიმუმი, რომლებიც საქართველოში არსებული წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით აუცილებელია მიცვალებულის დასაკრძალად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მატერიალურ ზიანს სწორედ მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯები განეკუთვნება და მოსარჩელესაც მოცემულ შემთხვევაში მატერიალური ზიანის სახით აღნიშნული სახის ხარჯების ანაზღაურება შეეძლო მოეთხოვა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში მოსარჩელე თავისუფლდება ზიანის მინიმალური ოდენობით მტკიცების ტვირთისაგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მთავარია მოსარჩელემ დააყენოს აღნიშნული საფუძვლით მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ლ. მ-ა მოითხოვს არა აღნიშნული ზიანის ანაზღაურებას, არამედ, ისეთი სახის ხარჯის ანაზღაურებას (მგზავრობის, სატელეფონო საუბრის, საქმის მასალების ასლის გადაღების, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი საქმის მასალების თარგმნის და გაგზავნის, ადვოკატის მომსახურების და სხვა), რომლის უშუალოდ მოპასუხეთა ქმედებიდან წარმოშობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს და რომლის დადასტურებაც მოსარჩელემ ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცებულებებით.

ამდენად, მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლოა კასაციონის მოთხოვნა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩიების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტით პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცო. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით სამსახურეობის უფლება-მოვალეობის განხორციელებისას პოლიციელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, აგრეთვე, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანაზღაურების ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, უკეთუ მას დანაშაულის უშუალოდ მიაღვა ზიანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე შვილის უკანონოდ დაკავებას, მის წამებით სიკვდილს, წლების განმავლობაში ეფექტური მართლმსაჯულების განუხორციელებლობას შვილის დაღუპვით განცდილი უდიდესი სულიერი ტანჯვის ფონზე, ასევე, მოპასუხეთა მიერ აღნიშნული საქმის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებით მისთვის უშუალო ზიანის მიყენებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით უტყუარად დგინდება, რომ სწორედ მოპასუხეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია მოსარჩელის მიძიმე სულიერი ტანჯვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2009წ. ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-972-936(3კ-08) ჩამოყალიბებულ განმარტებას, შემდეგზე, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. „სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიძიმებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონანსოების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის შვილის – თ. მ-ას უკანონოდ დაკავება და მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით მისი წამებით გარდაცვალება დედისათვის განეკუთვნება მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის, ასევე, სახეზეა ხელმყოფი პირის ბრალი, რამდენადაც, თ. მ-ას უდანაშაულობა და მისი უკანონოდ დაკავება დადასტურებულია ქ. თბილისის პროკურატურის 2002 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით და ტყვარჩელის საქალაქო და ოჩამჩირის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის დადგენილებით, რომლითაც გარდაცვლილი თ. მ-ა მოსარჩელის დაჟინებული ბრძოლის შედეგად სრულად იქნა რეაბილიტირებული.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაძველოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. შელახული სიკეთის ხასიათიდან გამომდინარე და სულიერი ტანჯვის ხარისხის ზუსტად განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, უფრო მართებულია ზიანის კომპენსაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ. როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პროპორციულობის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მ. ს-ს, კ. ა-ს, ე. მ-ს და ჰ. კ-ეს ლ. მ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ მორალური ზიანის სახით – 10 000 ლარის სოლიდარულად ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების მატერიალურ-პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ლ. მ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება – მოპასუხეების: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მ. ს-ის, კ. ა-ას, ე. მ-ისა და ჰ. კ-ის მიმართ ლ. მ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მ. ს-ს, კ. ა-ას, ე. მ-ესა და ჰ. კ-ეს ლ. მ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1779-1747(კ-11) 28 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ფ. კ-ისა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურება მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 10.09.2010 წ. მესტიის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე ფ. კ-ის მართვის ქვეშე მყოფი, სსიპ აფხაზეთის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება (სახ.ნომ. ...) შეეჯახა ნ. ფ-ის მართვის ქვეშე მყოფ, სს „...“ დაზღვეულ მიცუბიში ჩელენჯერის მარკის ავტომანქანას (სახ.ნომ. ...). საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით სამართალდამრღვევად მიჩნეულ იქნა ფ. კ-ი. მოსარჩელემ დაზიანებული ავტომობილის – მიცუბიში ჩელენჯერის მესაკუთრეს ზ. გ-ეს აუნაზღაურა მატერიალური ზიანი 5619 აშშ დოლარის ოდენობით. არსებულზე დაყრდნობით, მოსარჩელემ მიუთითა რა სკ-ის 317.1, 992-ე, 832.1, 999.4 მუხლებზე, მოითხოვა მოპასუხეთათვის მის სასარგებლოდ 5619 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.03.2011 წ. განჩინებით საქმეში მესამე მოპასუხედ მოწვეულ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.07.11 წ. გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი ფ. კ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, ფ. კ-ს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 5619 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა. მოსარჩელის სარჩელი მოპასუხეების – აფხაზეთის მთავრობისა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება აფხაზეთის მთავრობისა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ უარის თქმის ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.10.11 წ. განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.07.11 წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 28.11.2008 წ. ხელშეკრულების თანახმად, აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტრომ სსიპ „აფხაზეთის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული „კამაზ ნეფაზი“ (სახ.ნომ. ...) თხოვების ფორმით გადასცა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ამ უკანასკნელსა და ფ. კ-ს შორის 01.02.2009წ. დადებული №93 შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ფ. კ-ის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა მოსახლეობის ტრანსპორტირება მესტია-ბეჩო-მაზე-

რის მიმართულებით. 10.09.2010 წ. №... სამართალდარღვევის ოქმზე დაყრდნობით პალატამ დადგინდა, რომ სოფ. ... ტერიტორიაზე „კამაზის“ მარკის ავტომანქანის (სახ.ნომ. ...) მძღოლმა ფ. კ-მა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და შეეჯახა საპირისპირო მხრიდან მოძრავ ნ. ფ-ის მართვის ქვეშ მყოფ, სს „...“ დაზღვეულ „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტო მანქანას, რამაც გამოიწვია სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. 28.09.2010 წ. საგადასახადო დავალების თანახმად, დადგინდა, რომ სს „...“ მიერ „მიცუბიში ჩელენჯერის“ მესაკუთრის ანგარიშზე გადარიცხულ იქნა სადაზღვევო ანაზღაურება 5619 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში – 10230, 51 ლარი.

სააპელაციო სასამართლო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას დაეყრდნო რა სკ-ის 317.1, 992-ე, 998-ე მუხლებს, აღნიშნა, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, ვერ დადასტურდა სს „...“ აფხაზეთის მთავრობისა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალული მოქმედების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტი, რაც მათი პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველია. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა 28.11.2008 წ. თხოვნის ხელშეკრულების 2.3 მუხლის „გ“ პუნქტზე, რომლის თანახმადაც მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებული იყო გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე არ გადაეცა ქონება სარგებლობისთვის მესამე პირზე და აღნიშნა, რომ საქმეში არ არსებობს მითითებული თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც კიდევ ერთ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ აფხაზეთის მთავრობას არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოსთვის მისი მოსამსახურის ქმედების გამო ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობებიც, რადგან ფ. კ-ი არ შეიძლება განხილულ იქნეს მესტიის მუნიციპალიტეტის მოსამსახურედ, ვინაიდან იგი არ ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას ადგილობრივ თვითმმართველობაში. ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას წარმოადგენს მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება და არა უშუალოდ მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.10.11 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, ფ. კ-ი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1, მე-2 და მე-4 მუხლების თანახმად, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს, რადგან ამ უკანასკნელთან აკავშირებს ანაზღაურებადი სამსახურეობრივი ურთიერთობა. ფ. კ-ი მესტიის მუნიციპალიტეტისგან ანაზღაურების სახით იღებდა მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსულობების ნაწილს, კერძოდ, სვლაგზიდან მისაღებ შემოსავალს. კასატორისვე მითითებით გაურკვეველია თუ რას ეფუძნება ან რა მიზანს ემსახურება სადავო განჩინებაში სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და უშუალოდ სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ურთიერთგამიჯვნა. ამასთან, სს მიიჩნევს, რომ ფ. კ-ი რომც არ ყოფილიყო გამგეობის თანამშრომელი, მაინც იარსებებდა მესტიის მუნიციპალიტეტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რადგან იგი წარმოადგენდა ავტოსატრანსპორტო საშუალების (სახ.ნომ. ...) მფლობელს. რაც შეეხება, აფხაზეთის ა/რ მთავრობას, მასთან დაკავშირებით კასატორი დაეყრდნო რა სკ-ის 999.4 მუხლს აღნიშნა, რომ განსახილველი მუხლით საგამონაკლისო წესით დადგენილია მესაკუთრის პასუხისმგებლობა სატრანსპორტო დელიქტისას მისი ბრალის მიუხედავად, რადგან ავტომობილი წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.04.2012 წ. განჩინებით სს „...“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარემ – აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და მოითხოვა მის ნაწილში სააპელაციო პალატის განჩინების უცვლელად დატოვება. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტყობინების მიუხედავად საკასაციო პალატის სხდომაზე არ გამოცხადდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 10.09.2010წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმის თანახმად, 10.09.2010წ. მესტიის რაიონის სოფ. ... ტერიტორიაზე, „კამაზის“ მარკის ავტომანქანის (სახ.ნომ.: ...) მძღოლმა ფ. კ-მა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და შეეჯახა საპირისპირო მხრიდან მოძრავ ნ. ფ-ის მართვის ქვეშ მყოფ „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტომანქანას (სახ. ნომ.: ...), რამაც გამოიწვია სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. ფ. კ-ი დაჯარიმდა 250 ლარით. ავტომობილის №... დაზღვევის პოლისის თანახმად, ავტომანქანა „მიცუბიში ჩელენჯერი“ (სახ.ნომ.: ...) დაზღვეული იყო სს „...“. შპს „...“ მიერ 17.09.2010წ. გაცემული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტომანქანის (სახ.ნომ.: ...) მიმართ შესრულებული სამუშაოების ხარჯებმა შეადგინა 9325 ლარი, ევაკუატორის მომსახურებამ – 1200 ლარი. 28.09.2010 წ. საგადასახადო დავალების თანახმად, სს „...“ მიერ „მიცუბიში ჩელენჯერის“ მარკის ავტომანქანის მესაკუთრის ზ. გ-ის ანგარიშზე გადარიცხულ იქნა სადაზღვევო ანაზ-

ლაურება 5619 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, კერძოდ, 10 230 ლარი და 51 თეთრი. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მზღვეველმა აუნაზღაურა დამზღვევეს ზიანი. სკ-ის 832-ე მუხლის მიხედვით, თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის აუნაზღაურებს დამზღვევეს ზიანს. განსახილველ დავაში მოსარჩელე სს „...“ სარჩელზე მოპასუხეებს წარმოადგენენ ფ. კ-ი, აფხაზეთის ა/რ მთავრობა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა. მოპასუხე ფ. კ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.07.11წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5619 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა. გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში არ გასაჩივრებულა, რის გამოც საკასაციო სასამართლო ფ. კ-ისათვის თანხის დაკისრების ნაწილში მსჯელობას ვერ იქონიებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 992-ე მუხლის, არამედ აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე. სზაკ 207-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ნორმები იმ შემთხვევაში, უკეთეს ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სზაკ 208-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო პასუხს აგებს, როგორც მისი მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის, ასევე იმ კერძო პირის ქმედების შედეგად დამდგარი ზიანისთვის, რომელიც თვითმმართველობის ორგანოს დავალების საფუძველზე მოქმედებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფ. კ-ი არ იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე არ გამოირიცხავს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას ის შეადგენს, რომ პასუხისმგებლობა ზიანისთვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი (სკ-ის 999.1 მუხ.). სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას ხელშეკრულების საფუძველზე. სკ-ის 155.2 მუხლის თანახმად, მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან, მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. საქმეში დაცულია ფ. კ-სა („დაქირავებული“) და მესტიის მუნიციპალიტეტს („დამქირავებული“) შორის 01.02.2009წ. დადებული №93 შრომითი ხელშეკრულება, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაქირავებული დაქირავებულისთვის ახორციელებს მოსახლეობის ტრანსპორტირებას: მესტია – ბეჩო – მაზერის მიმართულებით. ამავე ხელშეკრულების 5.1.2 პუნქტით დაქირავებული მოვალეა მოახდინოს შრომის ანაზღაურება მე-6 მუხლში მითითებული ოდენობით, რომლის თანახმად, დაქირავებულის ანაზღაურებას წარმოადგენს სვლა-გეზიდან მიღებული შემოსავალი.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ფ. კ-ს შორის 01.02.09წ. დადებული №93 ხელშეკრულების თანახმად, ფ. კ-ი ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დავალებით ახორციელებდა გარკვეულ ანაზღაურებად საქმიანობას, შესაბამისად, სზაკ 208-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას, წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ დადგინდება, რომ ავტოავარიის შედეგად ზიანის მიყენებისას ფ. კ-ი მოქმედებდა დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. აღნიშნულ გარემოებაზე მსჯელობის გარეშე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტზე ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები არ არსებობს მისი არაბრალეულობის გამო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ ფიზიკური პირის ბრალეულობა გამოიხატება განზრახვაში ან გაუფრთხილებლობაში, რაც პირის სუბიექტური დამოკიდებულებით განისაზღვრება, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. ამ სხვაობას განაპირობებს ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო როგორც ასეთი თავად არ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, იგი თავის საქმიანობას ახორციელებს თავისი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობის შეფასებისას, უნდა შეფასდეს სწორედ ამ პირისა თუ ორგანოს ბრალეულობის საკითხი. განსახილველ შემთხვევაში თვითმმართველობის ორგანოს დავალებით მოქმედ პირს წარმოადგენს ფ. კ-ი, რომელიც მოქმედებდა ბრალეულად და მართლსაწინააღმდეგოდ, რის შედეგადაც დადგა ზიანი. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანის დადგომაში არ იკვეთება ფ. კ-ისთვის „დავალების მიმცემის“ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრალი არ გამოირიცხავს უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმადაც, მოვალე, რომელიც თავისი ვალდებულებების შესრულებისას იყენებს მესამე პირებს, ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს მესამე პირების ქმედებებისთვის, როგორც საკუთარი ქმედებების დროს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას (სკ-ის 999.1 მუხ.), რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა. მძღოლი ფ. კ-ი სატრანსპორტო საშუალებას იყენებდა მფლობელის – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნებართვით, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია მფლობელის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას – ფ. კ-ის მიერ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვის გარეშე გამოყენებას (სკ-ის 999.4 მუხ.). გამგეობის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ გამოირიცხავს აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მიხედვით

თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას შეადგენს მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება და არა უშუალოდ მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა არ შეიცავს ასეთი მომსახურების აკრძალვის რაიმე ნორმას, ამასთანავე მესტიის გამგეობას ავტოსატრანსპორტო საშუალება სწორედ გამგეობის ინიციატივით გადაეცა, ხოლო გამგეობასა და ფ. კ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ცნობილი არ ყოფილა.

რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც მოსარჩელე ავტომობილ „კამაზის“ (სახ.ნომ.) მესაკუთრედ მიიჩნევს და სკ 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ითხოვს ზიანის ანაზღაურების მასზე დაკისრებას, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს აფხაზეთის ა/რ მთავრობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ავტომანქანა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადასცა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტრომ, მინისტრის პირველი მოადგილის 27.11.08წ. №01/126 ბრძანებით აფხაზეთის ა/რ კუთვნილი, სსიპ „აფხაზეთის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანა გადაეცა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას სამსახურებრივი საჭიროებისთვის („სსიპ აფხაზეთის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 24.03.2009წ. №5 დადგენილებს მე-2 პუნქტის თანახმად, აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს დაევალა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებისთვის – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოსთვის გადაცემა). ხსენებული ბრძანების საფუძველზე აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტს და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის 28.11.08 წ. დადებული ხელშეკრულების 2.3 პუნქტის თანახმად, მონათხოვრე ვალდებული იყო „გამნათხოვრებლის“ თანხმობის გარეშე არ გადაეცა ქონება სარგებლობაში მესამე პირისთვის. მასვე უნდა გაენიხა ყველა ხარჯი, ეზრუნა ქონების ნორმალური მოვლისთვის, რაც „გამნათხოვრებლის“ მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარებოდა. ხელშეკრულების თანახმად, გამგეობას ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა პირისთვის გადაცემა არ შეეძლო აფხაზეთის ა/რ მთავრობის ნერილობითი თანხმობის გარეშე. საქმეში არ მოიპოვება ასეთი თანხმობა. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აფხაზეთის მთავრობის ნებართვის გარეშე გადასცა ავტომანქანები ფ. კ-ს, რომელიც, როგორც აღინიშნა, მესტიის მუნიციპალიტეტის დავალების საფუძველზე ახორციელებდა მგზავრთა გადაყვანას. ამდენად, იმისთვის რომ დადგინდეს რამდენად შეესაბამებოდა მესტიის მუნიციპალიტეტის ეს ქმედება მუნიციპალიტეტსა და აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს შორის დადებული თხოვნების ხელშეკრულების 2.3. პუნქტს, (მონათხოვრე ვალდებულია „გამნათხოვრებლის“ თანხმობის გარეშე არ გადასცეს ქონება სარგებლობისათვის მესამე პირებს), უნდა გაირკვეს მიიჩნევა თუ არა ფ. კ-ი მესამე პირად ხელშეკრულების ამ პუნქტის მიზნებისთვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გამგეობის მიერ ფიზიკური პირისთვის ავტომობილის სამართავად გადაცემა, თავისთავად არ ქმნის ამ პირის „მესამე პირად“ მიჩნევის საფუძველს, რადგან ადმინისტრაციული ორგანო, როგორც აღინიშნა, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ორგანოების ან ფიზიკური პირების მეშვეობით, შესაბამისად, ბუნებრივია ავტომობილის ფიზიკური პირისათვის სამართავად გადაცემა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთ ფიზიკურ პირებად, შეიძლება მოვიხაროთ ერთი მხრივ, ორგანოს თანამდებობის პირები ან მოსამსახურეები და მეორე მხრივ, ფიზიკური პირები, რომლებიც ორგანოს დავალების საფუძველზე გარკვეულ საქმიანობას ახორციელებენ. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ფ. კ-ს შორის 01.02.09წ. დადებული №93 ხელშეკრულების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ფ. კ-ი მართალია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მისთვის ავტომობილის გადაცემის საფუძველზე მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, თუმცა არ წარმოადგენდა ორგანოს მოსამსახურეს ან თანამდებობის პირს, შესაბამისად, მისთვის ავტომობილის გადაცემა განიხილება როგორც ხელშეკრულების საფუძველზე ავტომობილის მესამე პირისთვის სამართავად გადაცემა და არა, როგორც ორგანოს მიერ თავისი მოსამსახურეების მეშვეობით ავტომობილის მართვა. ამდენად, ავტომანქანის ფ. კ-ისთვის გადაცემა საჭიროებდა გამნათხოვრებლის თანხმობას.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ქმნის არაბრალეული მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში აფხაზეთის მთავრობას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან 28.11.08წ. თხოვნის ხელშეკრულების საფუძველზე „გამნათხოვრებლის“ თანხმობის გარეშე მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ ჰქონდა ქონების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება. საქმეში კი თანხმობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ მოიპოვება. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე – აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიმართ აღდგინი არ აქვს სკ-ის 463-ე, 999-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს. აფხაზეთის ა/რ მთავრობა არ მონაწილეობდა ზიანის დადგომაში, ის არ არის სოლიდარული მოვალე, ვინაიდან არ არსებობს სკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძველი. მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ ფ. კ-ისთვის ავტომობილის უნებართვო გადაცემით აფხაზეთის ა/რ მთავრობა განთავისუფლდა არაბრალეული პასუხისმგებლობის ტვირთისგან, რადგან მომეტებული საფრთხის წყაარო – ავტომობილი, მთავრობის კონტროლის სფეროდან მის მიერ შესაბამისი ნებართვის გაცემის გარეშე გავიდა. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და
დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.10.2011 წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.07.2011 წ. გადაწყვეტილება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.10.2011 წ. განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
4. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.